



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

# საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა  
და არჩევნების შემდგომი პერიოდის  
მონიტორინგის ანგარიში

1-ლი ივნისი – 21 ნოემბერი, 2020

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და  
არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის  
ანგარიში

1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020

თბილისი  
2021

საიას საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის სადამკვირვებლო მისიის განხორციელება და საბოლოო ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა საქართველოში ნორვეგიის საელჩოს, საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს, ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



British Embassy  
Tbilisi



ღია  
საზოგადოების  
ფონდი

**გამოცემის ხელმძღვანელები:** ნიკოლოზ სიმონიშვილი  
ვახუშტი მენაბდე

**ავტორი:** მარიამ ლაცაბიძე

**მე-5 თავის „ადგილობრივი  
თვითმმართველობის“ ქვეთავის ავტორი:** კოკა კილუჩაძე

**რედაქტორი:** ხათუნა ყვირალაშვილი

**ტექ. რედაქტორი:** ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
[www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შემაჯამებელი დასკვნები .....	4
2. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია .....	10
3. სამართლებრივი გარემო და პოლიტიკური კონტექსტი .....	15
4. საარჩევნო ადმინისტრაცია .....	22
5. წინასაარჩევნო პერიოდი .....	26
6. კენჭისყრის დღე .....	52
7. კენჭისყრის დღის შეჯამება .....	75
8. რეკომენდაციები .....	84

## 1. შემაჯამებელი დასკვნები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გლობალური პანდემიის ფონზე, ახალი საარჩევნო სისტემის პირობებში ჩატარდა. წინასაარჩევნო გარემო ძირითადად თავისუფალი იყო, თუმცა მას მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია. ეს უკავშირდებოდა ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას, არასრულყოფილ კანონმდებლობასა და გამოძიების გაჭიანურებას წინასაარჩევნოდ გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, ძალადობის, მუქარისა და ზეწოლის ფაქტებზე, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახა ნდობაზე საარჩევნო პროცესების მიმართ.

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოლიტიკური სუბიექტების ქცევაზე. ასეთ ვითარებაში ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბრძოლის გამოცდილება აქამდე არ არსებობდა, ამიტომ სახელმწიფოს, პარტიებს, მედიას, სადამკვირვებლო მისიებსა და მოქალაქეებს ახალ რეალობასთან მორგება და უცხო გამოწვევებთან გამკლავება მოუწიათ. პანდემიის პირობებში არჩევნების ადმინისტრირება განსაკუთრებულ მოქნილობასა და ეფექტიანობას საჭიროებდა. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით და არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად ცესკო რეგულარულად მართავდა სამუშაო შეხვედრებს პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სფეროს ექსპერტების მონაწილეობით. შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და კომისიის შენობებში დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ამის გარდა, ცესკომ, მართალია ფორსმაჟორულ ვითარებაში, თუმცა მაინც განსაზღვრა საარჩევნო პროცედურები და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

2020 წლის არჩევნებს წინ უძღოდა საკონსტიტუციო ცვლილებები და საარჩევნო რეფორმა, რამაც თავდაპირველად შექმნა მოლოდინი, რომ პროცესი წინა წლებთან შედარებით უკეთესად ჩაივლიდა. საბოლოოდ კანონმდებლობა ბევრი მიმართულებით გაუმჯობესდა, თუმცა, საკვანძო საკითხებს გვერდს უვლიდა. საბოლოოდ მკაფიოდ გამოჩნდა ნორმატიული ჩარჩოს ნაკლოვანებები და ქვეყანა კვლავ გამოწვევების წინაშე დადგა. ამის ნათელი მაგალითია საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკა და მისი საქმიანობა. საუბნო კომისიები დაკომპლექტდა ახალი წესების შესაბამისად, რომელიც გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტს და კრძალავდა იმ პირების პროფესიული ნიშნით არჩევას, რომლებიც წინა საერთო არჩევნებზე კომისიაში პარტიული ნიშნით იყვნენ განწესებულნი. იმის მიუხედავად, რომ ამით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მანამდე გაცემული რეკომენდაცია შესრულდა, იმპლემენტაციის ეტაპზე ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის პოლიტიკური მიუკერძოებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. როგორც აღმოჩნდა, ზუგდიდის უბნების პროფესიული წევრების უმრავლესობა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრებით დაკომპლექტდა. ამით კანონი არ დარღვეულა, თუმცა საიას მიერ ცუდ პრაქტიკად აღირიცხა, რადგან ნორმამ მიზანს ვერ მიაღწია - ვერ უზრუნველყო საუბნო კომისიის წევრების მიუკერძოებლად აღქმა.

უნდობლობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ოპოზიციამ პროტესტი გამოუცხადა საუბნო საარჩევნო კომისიების პირველ სხდო-

მებს, რომლებზეც კომისიის ხელმძღვანელი პირები აირჩიეს. პარტიის კვოტით წარდგენილი წევრებიდან თავმჯდომარის პოზიციაზე დანიშნული ყველა პირი „ქართული ოცნებიდან“ იყო. ეს ცხადყოფს, რომ მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდი უპირატესობა ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეზე. ამის მიღმა, მუდმივად ჩნდებოდა კითხვები და ბრალდებები საარჩევნო ადმინისტრაციის მისამართით. ამის მიზეზი, პირველ რიგში, საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობა და მისი ინსტიტუციური ჩარჩოა, რომელიც *de facto* გამორიცხავს ოპოზიციის როლს. დაკომპლექტების წესმა ისედაც უპირატესობაში მყოფ მმართველ პარტიას დამატებით შესაძლებლობა მისცა გავლენების გასაძლიერებლად.

COVID-19-მა წინასაარჩევნოდ განსაკუთრებული გარემოებები წარმოშვა. კრიზისის გამო, გაუარესდა მოსახლეობის ყოფითი მდგომარეობა. შედეგად, მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების წილი გაიზარდა. ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ხელისუფლება ვალდებულია, კრიზისისგან მიყენებული დარტყმების შესუსტების მიზნით საზოგადოების სოციალური დაცვის მექანიზმები შეიმუშაოს. ამან საჯარო რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების თვალსაზრისით დამატებითი პრობლემები წარმოქმნა. წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო სწორედ სახელმწიფოს მხრიდან კრიზისის შედეგების შესარბილებლად გადადგმული ნაბიჯები. მთავრობას ეკისრება ვალდებულება, ასეთ დროს მკვეთრი ზღვარი გაავლოს სახელმწიფოსა და პარტიას შორის. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ვერ მოხერხდა. ხელისუფლებამ ანტიკრიზისულ აქტივობებს პერსონიფიცირებული ხასიათი მისცა და საკუთარ თავთან მათ აფილირებას ხელი შეუწყო. შესაბამისად, მის მიერ გადადგმული ნაბიჯები საიამ არაერთ შემთხვევაში კამპანიის ნაწილად და საარჩევნო მანიპულაციად შეაფასა. სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარი არც მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, სამთავრობო და ადგილობრივი თვითმართველობების დინისციპლების დროს იყო დაცული.

წინასაარჩევნოდ საია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ცვლილებებსაც დააკვირდა. შესწავლილი მუნიციპალიტეტებიდან სოციალურ დანმარებებზე გამოყოფილი სახსრების კანონსაწინააღმდეგო ზრდა გამოვლინდა ლანჩხუთში, მარნეულსა და ცაგერში. კიდევ ერთი საკითხი წინასაარჩევნოდ ბიუჯეტში „სუბსიდიის“, „გრანტის“, „შრომის ანაზღაურების“ და „სხვა ხარჯების“ მიმართულებით თანხების ზრდაა. ეს სამართალდარღვევა არ არის, თუმცა, უმრავლესობამ ის პოტენციურად, შეიძლება გამოიყენოს საჯარო რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებისთვის. მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში „სუბსიდიის“ გაზრდილი დაფინანსების აუცილებლობა ვერ დაასაბუთეს რუსთავისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებმა. სხვა მიმართულებით საიას ამ არჩევნებზე საეჭვო შემთხვევები არ დაუფიქსირებია.

კვლავ გამოწვევად რჩება საჯარო მოხელეთა საარჩევნო პროცესში მონაწილეობა და ბიუჯეტით დაფინანსებული დონისციპლების საარჩევნო კამპანიისთვის ირიბი გამოყენება. წინასაარჩევნო პერიოდში საიამ საარჩევნო ადმინისტრაციას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საჩივრით მიმართა. ეს გადაწყვეტილება კანონის არასწორ განმარტებას დაეფუძნა, რითაც სახელისუფლებო კანდიდატს გამართლებელი უპირატესობა მიენიჭა.

საიას მისიამ წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევებიც აღრიცხა. ამომრჩევლის მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფენომენებს, განსხვავების გარდა, საერთო განზომილებაც აქვს. ორივეს მიზანი სარგებლის გაცემით ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენაა, ოღონდ ერთ შემთხვევაში კერძო რესურსი გამოიყენება, ხოლო მეორეში - საჯარო. ამიტომ, ორივე ერთ

ჭრილში უნდა გაანალიზდეს. ამომრჩევლის მოსყიდვაში ჩართული იყო როგორც მმართველი, ისე ზოგიერთი ოპოზიციური პარტია. სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაზე გამოძიება არ დაწყებულა და, სადაც დაიწყო, ამ დრომდე არ მისულა ეფექტიან შედეგამდე.

წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტებზე საიამ ცესკოს 4 საჩივრით მიმართა. ისინი საჯარო მოხელეებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობას შეუხებოდა. ცესკომ თავის გადაწყვეტილებებში მიიჩნია, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით აგიტაცია მხოლოდ მაშინ იქნება დარღვევა, თუ პირი ამ დროს საბიუჯეტო რესურსებით სარგებლობს. საიას შეფასებით, ეს მცდარი ინტერპრეტაციაა, რომელიც ქმნის შესაძლებლობას, საჯარო მოხელეებმა სამუშაო საათების განმავლობაში კამპანიაში პირადი სოციალური გვერდების საშუალებით ჩაერთონ, რაც, ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს და საჯარო სამსახურის ნეიტრალიტეტის პრინციპს.

2020 წლის არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად ხელისუფლებამ არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადადგა. მაგალითად, გამკაცრდა რეგულაციები და არჩევნებზე ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, დაშინებისა და იძულების შემთხვევებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა. ამის გარდა, ცესკომ ფასილიტაცია გაუწია პოლიტიკური პარტიების ქვევის კოდექსის შემუშავებას, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მშვიდობიანი და არაძალადობრივი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა იყო. მას 40 პოლიტიკური პარტია შეუერთდა, მათ შორის, ხელმძღვანელი მმართველი პარტია. დამატებით, გამოწვევებთან უკეთესად გასამკლავებლად ცესკოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის მემორანდუმი გაფორმდა. ამ ძალისხმევის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ერთობლივი მიზნების სრულფასოვნად შესრულება, მათ შორის, ვერც არჩევნების წყნარ და მშვიდ გარემოში ჩატარება.

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საიამ აღრიცხა ზეწოლის, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და აქტივისტებზე თავდასხმის, მათი ოფისების დარბევისა და ძალადობის არაერთი შემთხვევა. სექტემბერი გამოირჩეოდა ძალადობრივი ინციდენტებით, რამაც კულმინაციას ბოლნისსა და მარნეულში მომხდარი დაპირისპირების დროს მიაღწია. შედეგად, დაშავდნენ მოქალაქეები, მედიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. განსაკუთრებით შემამფოთებელი იყო ამ პროცესებში საჯარო პირების მონაწილეობა. იგივე ტენდენცია გაგრძელდა ოქტომბერშიც. არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, დაძაბულობის ინტენსივობაც იზრდებოდა.

საიას მიერ იდენტიფიცირებული ფაქტების უმრავლესობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. საქმეთა 2/3-ზე მეტ შემთხვევაში გამოძიება ჭიანჭურდება და პასუხისმგებელი პირები ჯერ კიდევ არ არიან გამოვლენილნი. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს რეაგირება ამგვარ ფაქტებზე არაღამაკმაყოფილებელია და ნორმალური წინასაარჩევნო გარემოს ფორმირებაში სათანადო წვლილი ვერ შეაქვს.

საიამ აღრიცხა წინასაარჩევნოდ ოპოზიციური პარტიებისთვის დაბრკოლებების შექმნის არაერთი შემთხვევა, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამართალდამცავებისა და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. საარჩევნო კამპანიის წარმოების ხელშემშლის რამდენიმე ინციდენტი კანონმდებლობის არასწორ ინტერპრეტაციას უკავშირდება. სახელმწიფო გაუმართლებელ შემთხვევებში იყენებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმას, რომელიც მსუბუქი



კონსტრუქციების თვითნებურად განთავსებას კრძალავს და ოპონენტი პარტიების აქტივისტებს აგიტაციის მიზნებისთვის დროებითი ტენტების დადგმის ნებას არ რთავდა.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს საარჩევნო უბნები დროულად და არსებული წესების დაცვით გაიხსნა. ამ კუთხით პრობლემები შეინიშნებოდა მხოლოდ სა-ზღვარგარეთის უბნებზე, სადაც, ამის გარდა, ტექნიკური ხარვეზებიც გამოვლინდა. თუმცა, მათ ძირითად შემთხვევებში კომისიის წევრები მითითების შემდეგ ასწორებდნენ.

კენჭისყრის მიმდინარეობისას საიამ ქვეყნის მასშტაბით არაერთი პროცედურული დარღვევა და ხარვეზი აღრიცხა. კერძოდ, გამოვლინდა წილისყრის პროცედურის, ასევე ხმის მიცემის წესის დარღვევა, მათ შორის, მარკირების გარეშე ან/და ერთი და იმავე პირის მიერ ხმის ორჯერ მიცემის ფაქტები, აგრეთვე, არასათანადო დოკუმენტაციით უბანზე დაშვება და ხმის მიცემა, გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული დარღვევები, არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე და გადაადგილება უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული ხარვეზები.

ორივე ტურში ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა კომისიის წევრების არაორგანიზებულიობა და დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას არაპროფესიონალიზმი. მათ უჭირდათ პროცესის ეფექტიანად და თანმიმდევრულად წარმართვა, რაც აფერხებდა კენჭისყრის მიმდინარეობას. კენჭისყრის ორდინარული პროცედურების მიღმა, ორგანიზების პრობლემები შესამჩნევი იყო COVID-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დადგენილი წესების შესრულებისას.

საიას მიგნებებით დასტურდება, რომ ამომრჩევლის ნების კონტროლი კენჭისყრის დღის მთავარი გამოწვევა იყო. ეს ნეგატიური პრაქტიკა ორივე ტურის მიმდინარეობისას, მისი ფორმის და მასშტაბურობის გათვალისწინებით, საგანგაშო ხასიათს ატარებდა. ზემოქმედების შემთხვევები კენჭისყრის ოთახშიც გამოვლინდა, თუმცა მთავარი მოვლენები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარდა. ეს უმთავრესად გულისხმობდა უბნებთან ბაზირებულ მოთვალთვალებებს, რომლებიც ან საკუთარი მხარდამჭერების კენჭისყრის ადგილზე გამოცხადებას აღნუსხავდნენ (ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყოფდნენ მათ ტრანსპორტირებასაც), ან აგიტაციას ეწეოდნენ და კენჭისყრის შენობის შესასვლელთან ცდილობდნენ ამომრჩევლის დარწმუნებას, ან, უბრალოდ, იქ ყოფნით ზეწოლის გარემოს ქმნიდნენ. ეს, საერთო ჯამში, თვალთვალის შთაბეჭდილებას ტოვებდა და აჩენდა ამომრჩევლის ბუნებრივი ქცევის დამახინჯების საფრთხეს.

ბოლო ცვლილებებით, საარჩევნო კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც მიზნად ისახავს კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის ნების კონტროლის პრობლემის აღმოფხვრას. ამ რეგულაციით, დაუშვებელია კენჭისყრის შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ამ წესის შემოღების მიუხედავად, საიასთვის ცნობილი გახდა არაერთი ფაქტის შესახებ, როდესაც უბნიდან 25 მეტრიანი რადიუსის ფარგლებში ხდებოდა ამომრჩეველთა შეფერხება და მათზე სხვადასხვა ფორმით ზემოქმედება. ამის გარდა, ცალკეულ შემთხვევებში, დაირღვა 25 მეტრის დისტანციაზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვის წესიც.

ამომრჩევლის გულის მოგების მიზნით ფინანსური სარგებლის გაცემის ხერხს პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, ოფიციალური კამპა-



ნიის დაწყებამდე მიმართეს. ამან გააჩინა მოლოდინი, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა კენჭისყრის დღესაც გაგრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები ყოველთვის ხილული არ არის და რთულია იდენტიფიცირება, არჩევნების პირველ ტურში საიას დამკვირვებლებმა მაინც შეძლეს მათი გამოვლენა. ამომრჩევლებისთვის თანხის ხელიდან ხელში გადაცემის ფაქტები მათ ორ სხვადასხვა უბანზე აღრიცხეს.

31 ოქტომბერს, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში, უბნებსა და გარე პერიმეტრზე შეინიშნებოდა დაძაბულობა, რაც, ძირითადად, პარტიული მოტივით იყო განპირობებული. საიამ აღრიცხა ფიზიკური დაპირისპირებების არაერთი შემთხვევა, რომლებშიც, მათ შორის, დამკვირვებლები, აქტივისტები და მოქალაქეები მონაწილეობდნენ. სამართალდამცავებს ამ ფაქტების უმრავლესობაზე დროული რეაგირება ჰქონდათ და დაიწყო გამოძიება.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები. 31 ოქტომბერს, დღის განმავლობაში, რამდენიმე უბანზე საიას დამკვირვებლებს არ მიეცათ თავიანთი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვის საშუალება. ზოგ შემთხვევაში ისინი უსამართლოდ გააძევეს უბნიდან, ან მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. კენჭისყრის მეორე ტურში დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის ფორმამ და მასშტაბებმა საგანგამო ხასიათი მიიღო. გამოვლინდა საიას დამკვირვებლების მიმართ ზეწოლისა და მუქარის ფაქტებიც. ეს, საერთო ჯამში, ხელს უშლიდა სადამკვირვებლო მისიას სრულფასოვან მუშაობაში და ქმნიდა მტრულ და დაძაბულ გარემოს უბნებზე.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, პირველ ტურში გამოვლინდა მათზე თავდასხმისა და შეურაცხყოფის ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, აგრესიული მოქალაქე თავს დაესხა „პუბლიკის“ ჟურნალისტს. იმავე ტერიტორიაზე დაზიანება მიიღო „TV პირველის“ ჟურნალისტიც. ამ ფაქტებზე სამართალდამცავებს დროული რეაგირება ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ მომხდართან დაკავშირებით საიამ იმავე დღეს გაავრცელა განცხადება, რომლითაც შესაბამის ორგანოებს დროული, ეფექტიანი გამოძიებისა და სწორი კვალიფიკაციით საქმის წარმართვისკენ მოუწოდა. მსს-მ ეს რეკომენდაცია მიიღო, ბრალდება გადაკვალიფიცირდა და გამოძიება ჟურნალისტის საქმიანობის ხელშეშლის მუხლით გაგრძელდა.

საიამ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვებით არაერთი პროცედურული დარღვევა და ხარვეზი გამოავლინა. პრობლემური იყო საარჩევნო დოკუმენტაციის სათანადო წესით წარმოება. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ოლქებში საარჩევნო დოკუმენტაცია ზოგჯერ დაულუქავ მდგომარეობაში იგზავნებოდა. იმავედროულად, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს ჰქონდა უამრავი ხარვეზი, მათ შორის, ისინი არასწორად იყო შევსებული, აკლდა კომისიის წევრების ხელმოწერა ან/და ბეჭედი. უარყოფითი ტენდენციის სახით გამოიკვეთა საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის არსებობა. მეტიც, ხშირად მათ თან არ ახლდა შესწორების ოქმი ან/და ახსნა-განმარტება. გასაჩივრებული ოქმების გადათვლაზე უარმა გააჩინა შესაბამისი უბნების შედეგების მიმართ უნდობლობა და ხელი არ შეუწყო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას.

საია შემაჯამებელი ოქმების დარღვევებთან დაკავშირებით 109 უბანზე ითხოვდა დალუქული დოკუმენტაციის გახსნას/მონაცემების გადათვლას და შემაჯამებელი ოქმის ბათილობას, აგრეთვე, შესაბამისი წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. გასაჩივრებული შემაჯამებელი ოქმებიდან 19 უბნის დალუქული დოკუმენტაცია გაიხსნა და გადაითვალა, ხოლო 78 უბანთან მიმართებით

მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული ოქმების დიდი ნაწილის გადათვლაზე უარმა გააჩინა უნდობლობა შესაბამისი უბნების შედეგების მიმართ.

საბოლოო ჯამში, რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ, რომელთა შორისაა არასაკმარისად სამართლიანი საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და დავების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებები, წინასაარჩევნოდ სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლა, კენჭისყრის დღეს უბანზე არსებული პროცედურული ხარვეზები, შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებული უზუსტობები, ასევე, პოლიტიზებული და ძალადობრივი გარემო, ეს არჩევნები ქართული ოცნების მმართველობის პირობებში ყველაზე ცუდად ორგანიზებულ არჩევნებად აქცია. ამან კი ხელი შეუწყო პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას, რომელთან გამკლავებაც მხოლოდ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიერ ინიცირებული მედიაციის პროცესის შედეგად გახდა შესაძლებელი. ანალოგიური სცენარის თავიდან ასარიდებლად, საჭიროა ინსტიტუციური, პროცედურული რეფორმების გატარება და დადგენილი წესების სათანადო იმპლემენტაციის ხელშეწყობა, შესაბამისმა უწყებებმა კი უნდა უზრუნველყონ ინციდენტებზე ეფექტიანი რეაგირება. ამ საკითხების გადაწყვეტის გზები წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის მოცემული.

## 2. სადამკვირვებლო მისიის გასაშტაბი და მეთოდოლოგია

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საიამ სადამკვირვებლო საქმიანობა 2 ინსტრუმენტის - გრძელვადიანი (Long-Term Observation, LTO) და მოკლევადიანი (Short-Term Observation, STO) სადამკვირვებლო მისიების მეშვეობით განახორციელა.

გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო (LTO) მისიის ამოცანა იყო საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი ფარავს 2020 წლის 1-ლი ივნისიდან 31 ოქტომბრამდე და კენჭისყრის შემდგომ 21 ნოემბრამდე (მეორე ტური) პერიოდს. საია მას 9 რეგიონული მონიტორინგის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში დააკვირდა. საიას მონიტორინგები უზრუნველყოფდნენ ფაქტების მოძიებას და მათ გადამოწმებას. მონიტორინგის ძირითად ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა პირველწყაროდან ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიღება, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა/ანალიზი, საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება/დამუშავება,<sup>1</sup> მონიტორინგის სუბიექტების ვებგვერდებსა და Facebook-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესწავლა/ანალიზი, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრება და მათ აქტივობებზე დაკვირვება.

LTO მისიის სტრატეგიაზე დაყრდნობით, მონიტორინგმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ დარღვევებზე:

- ❖ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მათ შორის, სახელმწიფო/მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვა;<sup>2</sup>
- ❖ ამომრჩევლის მოსყიდვა;
- ❖ უკანონო აგიტაცია;
- ❖ კამპანიაში/აგიტაციაში ხელშეშლა;
- ❖ ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა დაშინების და იძულების გზით;
- ❖ პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლება;
- ❖ პოლიტიკური მოტივით განპირობებული ფიზიკური დაპირისპირებები და ძალადობრივი ინციდენტები;
- ❖ პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანება;
- ❖ საარჩევნო კანონმდებლობის სხვა დარღვევები ან ისეთი ქმედებები, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ცუდი პრაქტიკაა და წინასაარჩევნო გარემოს ამახინჯებს.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მონაცემები თარიღდება საგამოძიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისი რიცხვით. შესაძლოა, მას შემდეგ კონკრეტულ საქმეში ცვლილებები მომხდარიყო, რაც ამ ანგარიშში არ არის ასახული.

<sup>2</sup> მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ცვლილებების პროცესს საია შემდეგი მიმართულებებით დააკვირდა: (1) სოციალური დახმარებების ოდენობების ზრდა, (2) ბიუჯეტში ახალი პროგრამის დამატება და სუბსიდიის, გრანტის, შრომის ანაზღაურების და სხვა ხარჯების ზრდა.

დარღვევების გამოვლენისას საიამ შესაბამისი განცხადება/საჩივრით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის ამოცანა არ ყოფილა ყველა ასეთი შემთხვევის იდენტიფიცირება და აღნუსხვა, არამედ ის კონცენტრირებული იყო ძირითადი ტენდენციების გამოვლენაზე. წინასაარჩევნო პერიოდში საია უმეტესად მაშინ ამახვილებდა ყურადღებას დარღვევაზე, როდესაც მას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა ან/და შეეძლო, გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოსა და არჩევნების შედეგებზე.<sup>3</sup>

LTO მისიის ფარგლებში, მონიტორინგის ობიექტები იყვნენ შემდეგი დაწესებულებები და ჩართული პირები:

- ❖ საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოები;
- ❖ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;
- ❖ პოლიტიკური პარტიები.

საიას მოკლევადიანი სადამკვირვებლო (STO) მისიის სტრუქტურის თანახმად, 31 ოქტომბერს 06:00 საათიდან ამოქმედდა ცენტრალური და 7 რეგიონული შტაბი: თბილისში (ფუნქციონირებდა თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის), თელავში, რუსთავში, გორში (შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის), ქუთაისში (რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებისთვის), ზუგდიდსა და ბათუმში (აჭარისა და გურიის რეგიონებისთვის). მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული შტაბი პასუხისმგებელი იყო მისი დაფარვის ზონაში დამკვირვებლების კოორდინაციაზე, მათთვის კონსულტაციის გაწევაზე, ინციდენტების შემთხვევაში რეაგირებაზე, დარღვევების, გადაცდომებისა და გამოვლენილი ცუდი პრაქტიკის აღრიცხვაზე. ცენტრალური შტაბისთვის შეგროვებული ინფორმაციის მუდმივ რეჟიმში მიწოდებაზე.

დამკვირვებლები უბნებზე გამოცხადდნენ 07:00 საათიდან. ამ დროიდან 08:00 საათამდე საია აკვირდებოდა საარჩევნო უბნების გახსნასა და კენჭისყრის ოთახების მომზადებას, 08:00-დან უბნების დახურვამდე - უშუალოდ კენჭისყრის პროცესს. 20:00-დან ყველა იმ უბანში თვლის დასრულებამდე, სადაც საიას წარმომადგენელი ჰყავდა, თითოეული დამკვირვებელი პროცესს ბოლომდე ადევნებდა თვალს. გარდა ამისა, 20:00-დან საიას მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია წარმომადგენელი იყო საოლქო საარჩევნო კომისიებში.

## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური

31 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3 657 უბანი 30 ძირითად და 43 დამხმარე ოლქში. საიას მოკლევადიანი საარჩევნო მისია დაიყო 4 კატეგორიად: (1) მობილური ჯგუფი; (2) უბნის სტატიკური დამკვირვებელი; (3) პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი და (4) ოლქის დამკვირვებელი. კენჭისყრის ოთახებზე დაკვირვების პარალელურად, რასაც მისიის პირველი და მეორე ტიპის წარმომადგენლები უზრუნვე-

<sup>3</sup> საარჩევნო დავების ანალიზის შესახებ საიამ ცალკე დოკუმენტი გამოსცა, იხ. ბექიშვილი ლ. და სხვები, *საარჩევნო დავების ანალიზი (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, პირველი და მეორე ტური)* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fKhvBc>, განახლებულია: 30.05.2021.

ლყოფდნენ, საიას პერიმეტრისა და მობილური ჯგუფების დამკვირვებლები მუდმივად ადევნებდნენ თვალს კენჭისყრის ოთახის მიღმა, უბნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს. უბნის სტატიკური დამკვირვებლები არ ტოვებდნენ კენჭისყრის ოთახს და უბნის მომზადებიდან ხმების დათვლის დასრულებამდე პროცესს თვალს ადევნებდნენ შემაჯამებელი ოქმის მისაღებად. ოლქის დამკვირვებლებმა საქმიანობა 20:00-დან 70 საოლქო საარჩევნო კომისიაში დაიწყეს. ისინი დაესწრნენ ოლქებში უბნებიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმების, საარჩევნო ატრიბუტიკისა და დოკუმენტაციის შემოტანის პროცესს - მისი დაწყებიდან დასრულებამდე. გარდა ამისა, მათი მთავარი ამოცანა იყო შემაჯამებელ ოქმებში დარღვევების აღმოჩენა, რაზეც საიას სტრატეგიის შესაბამისად მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ ის დამკვირვებლები, რომლებიც თავიანთ მისიას უბნის გარეთ ახორციელებდნენ, ორგანიზაციის დავალებით, უმეტეს შემთხვევაში დარჩნენ ამავე პოზიციასზე დათვლის დასრულებამდე. ამან საიას საშუალება მისცა, შეეგროვებინა ინფორმაცია არა მხოლოდ უბნის აქტიური საქმიანობის პერიოდში, არამედ თვლის პროცესში მიმდინარე მოვლენებზეც უბნის გარეთ. პერიმეტრის დამკვირვებლის ელემენტის შემოღება საიას მეთოდოლოგიაში განაპირობა ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა მიხედვით კენჭისყრის ოთახიდან 25 მეტრის რადიუსში იკრძალება ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება და სააგიტაციო მასალის განთავსება. ამასთან, არჩევნებზე დაკვირვების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მთავარი მოვლენები არა უბნის შიგნით, არამედ მის გარეთ, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითარდებოდა. აქედან გამომდინარე, საიას ამოცანა იყო, დაკვირვებოდა პერიმეტრის პროცესებს, რათა შეესწავლა ყველა ის გარემოება, რომელიც გავლენას ახდენდა ამომრჩევლის ნებაზე კენჭისყრის ოთახში შესვლამდე.

ამრიგად, საიას STO სტრუქტურა იყო შემდეგი:

- ❖ ცენტრალური შტაბი;
- ❖ 7 რეგიონული შტაბი: თბილისი-მცხეთა-მთიანეთი; კახეთი; ქვემო ქართლი; შიდა ქართლი-სამცხე-ჯავახეთი; იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი; სამეგრელო; გურია-აჭარა.
- ❖ ოლქის დამკვირვებლები;
- ❖ უბნის დამკვირვებლები: მობილური ჯგუფის დამკვირვებელი; უბნის სტატიკური დამკვირვებელი; პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი.

არჩევნების პირველი ტურისთვის მოქმედი 3 657 უბნიდან მისიამ სრულად მოიცვა 63%, რაც 2 308-ს უდრის. საიას დამკვირვებლებმა დაფარეს უბნების 62% კახეთში, 74% - აჭარაში, 90% - თბილისში, 77% - სამეგრელოში, 44% - მცხეთა-მთიანეთში, 80% - შიდა ქართლში, 60% - იმერეთში, 28% - სამცხე-ჯავახეთში, 73% - გურიაში, 38% - ქვემო ქართლში. მისიის შემადგენლობაში 745 ადამიანი იყო ჩართული, მათგან: უბნის სტატიკური დამკვირვებელი - 265; პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი - 62; მობილური ჯგუფი - 294; ოლქის დამკვირვებელი - 70; საზღვარგარეთ შეიქმნა დამატებით 57 უბანი, საიდანაც საიამ, უბნის სტატიკური დამკვირვებლების მეშვეობით, დაფარა 11 უბანი (შემდეგ ქალაქებში: ვაშინგტონი, ლონდონი, პარიზი, ბარსელონა, ბრიუსელი, ბერლინი, ფრანკფურტი, ვენა, რომი, ოსლო და ათენი). საიას 40 თანამშრომელი განაწილებული იყო ცენტრალურ და რეგიონულ შტაბებში.



## 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური დაინიშნა 8 რეგიონში, 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და ის ჩაატარა 17 ძირითადმა და 16 დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიამ. არჩევნების მეორე ტურს ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა, შესაბამისად, მასში მონაწილეობას მხოლოდ 1 პარტია - „ქართული ოცნება“ იღებდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საია მეორე ტურს შემცირებული მისიითა და შეცვლილი მეთოდოლოგიით დააკვირდა:

- ❖ სადამკვირვებლო მისია მხოლოდ 5 რეგიონს ფარავდა. ესენია: თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და აჭარა;
- ❖ 17 ძირითადი ოლქიდან 12 ოლქის ის უბნები დაიფარა, რომლებიც დიდ ქალაქებში მდებარეობდა;
- ❖ მისიაში არ მონაწილეობდნენ პერიმეტრის დამკვირვებლები; მათი ფუნქცია სრულად მობილურმა ჯგუფებმა შეითავსეს;
- ❖ საოლქო დამკვირვებლები მხოლოდ იმ ძირითად და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებში მოქმედებდნენ, რომელთა ფარგლებში შემავალ უბნებზე საიას საუბნო დამკვირვებლები მუშაობდნენ;
- ❖ ოპერირებდა თბილისის ცენტრალური და 4 რეგიონული შტაბი ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში.

სხვა ასპექტებში საიას სადამკვირვებლო მისიის მეთოდოლოგია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურისთვის არ შეცვლილა.

არჩევნების მეორე ტურისთვის მოქმედი 2003 უბნიდან საიას სადამკვირვებლო მისიამ დაფარა 58% - 1165 უბანი. აქედან, აჭარაში დაიფარა უბნების 34%, იმერეთში - 42%, სამეგრელოში - 89%, ქვემო ქართლში - 88% და თბილისში - 94%.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის სადამკვირვებლო მისია შედგებოდა 214 ადამიანისგან, მათგან 19 იყო ცენტრალური შტაბის, 19 კი რეგიონული შტაბების წევრი, ასევე, 14 - საოლქო; 116 - მობილური ჯგუფის, 46 - უბნის სტატისტიკური დამკვირვებელი.

ორივე ტურის შემთხვევაში კენჭისყრის დღეს საიამ ყურადღება გაამახვილა როგორც საარჩევნო პროცედურების დაცვაზე (საარჩევნო უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და შეჯამების პროცესი), ასევე მონიტორინგი გაუწია საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაციამ სტრატეგიული სამართალწარმოების მექანიზმი გამოიყენა.

საიაში მუშაობდა სპეციალური ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით. ცენტრალურ ოფისში მუშაობდა ორგანიზაციის მედიაკოორდინატორი, რომელიც ჟურნალისტების საქმიანობის მონიტორინგს აწარმოებდა და, იმავდროულად, მათთვის იურიდიული კონსულტაციის გაცემაზე იყო პასუხისმგებელი.

სადამკვირვებლო მისიის შედეგებს საზოგადოებას საია პრესკონფერენციების მეშვეობით აცნობდა.

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა კენჭისყრის დღის დარღვევები საიას მიერ წარდგენილი საჩივრებისა და საოლქო კომისიების გადა-

წყვეტილებების ანალიზის საფუძველზე. საჩივრების ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დავების რეესტრში განთავსებულ ინფორმაციას.

## **COVID-19**

2020 წლის არჩევნების მონიტორინგის პროცესში მთავარი გამოწვევა COVID-19-ის პანდემია იყო. ვირუსის გავრცელების გამო, ორგანიზაცია წინასაარჩევნო მოვლენებს, ძირითადად, დისტანციურად აკვირდებოდა, რამაც გაართულა ინფორმაციის მოპოვება/გადამოწმება. ამასთან, შემცირდა LTO მისიის დაკვირვების ინსტრუმენტები, რადგან საჯარო შეხვედრები, ფოკუსჯგუფები და ქსელური შეხვედრები იშვიათად იმართებოდა. საია შეზღუდულად დააკვირდა პარტიების პროგრამების პრეზენტაციას და მოსახლეობასთან შეხვედრებს. ისეთ პერიოდში, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა, საიას მონიტორები შეკრებებს არ ესწრებოდნენ. გაზრდილი რისკებიდან გამომდინარე, ორგანიზაციას დისტანციურად მოუწია იმ პროცესებზე დაკვირვება, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებში მიმდინარეობდა.

ვირუსის გავრცელება განსაკუთრებით დიდი გამოწვევა იყო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის კენჭისყრის დღეს. დაგეგმილი 1000-მდე დამკვირვებლიდან საიამ ამ დღეს მხოლოდ 750-მდე დამკვირვებლის მობილიზება შეძლო. დანარჩენებმა, უმეტესად პანდემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით, მისიაში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

## **სხვა დაბრკოლებები**

მონიტორინგის პროცესში ინფორმაციის მოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საჯარო ინფორმაციის მიღება და დამუშავებაა. ამ მიზნით საიამ რამდენჯერმე მიმართა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებს, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებებს, მათ შორის, ცესკოს, პროკურატურას, აუდიტის სამსახურს. ცენტრალურ დონეზე მოთხოვნილი ინფორმაცია საიამ კანონით დადგენილ ვადებში მიიღო. თუმცა, ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა საჯარო ინფორმაცია მხოლოდ 2 თვის შემდეგ გასცა.

კენჭისყრის დღეს, პირველ და მეორე ტურებში, საიას დამკვირვებლების ნაწილს არ მიეცა თავისი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა. ეს გამოიხატებოდა კომისიის წევრებისა და სხვა სუბიექტების მხრიდან დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლაში (უბნიდან უსაფუძვლოდ გაძევება, პროცედურაზე არდაშვება, საჩივრის დაწერაში ხელშეშლა). კენჭისყრის მეორე ტურში ამგვარი შემთხვევების რაოდენობამ და ფორმამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. გამოვლინდა საიას დამკვირვებლების მიმართ ზეწოლისა და მუქარის ფაქტები.

ცესკოს საჩივრების რეესტრში ზოგ შემთხვევაში არასწორად ან საერთოდ არ იყო მოცემული საოლქო კომისიის გადაწყვეტილება. ზოგჯერ ერთ გადაწყვეტილებაში რამდენიმე საჩივარი იყო გაერთიანებული. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანალიზი ემყარება მხოლოდ იმ დოკუმენტაციას, რომელიც საიას საარჩევნო გუნდისთვის იყო ხელმისაწვდომი რეესტრის საშუალებით.



### 3. სამართლებრივი გარემო და პოლიტიკური კონტექსტი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ახალი საარჩევნო სისტემით ჩატარდა. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, ქართველმა ამომრჩეველმა პარლამენტის 120 დეპუტატი პროპორციული, ხოლო 30 მაჟორიტარული წესით აირჩია. საარჩევნო ბარიერი 1%-მდე შემცირდა, რამაც ხელი შეუწყო პოლიტიკურ ველზე ახალი პარტიების გამოჩენას. ეს იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯი უფრო პლურალისტური და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს შექმნისკენ. ამასთან, ცვლილებები შევიდა საარჩევნო კანონმდებლობაში, რამაც, ფორმალურად, წინასთან შედარებით, უფრო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საფუძველი შექმნა. თუმცა, ამას წინ უძღოდა საპროტესტო აქციები, პოლიტიკური კრიზისი და მხარეებს შორის გრძელვადიანი მოლაპარაკებები, რამაც გააღრმავა პოლარიზაცია და ხელი შეუშალა არჩევნების მშვიდ გარემოში გამართვას.

პროცესი ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, როდესაც მმართველი პარტიის თავმჯდომარემ 2020 წლის არჩევნების ჩატარება სრულად პროპორციული წესით, ნულოვანი ბარიერით დააანონსა.<sup>4</sup> პროპორციული საარჩევნო სისტემის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ამ დროს პარტიის წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში მიღებული ელექტორალური მხარდაჭერის პროპორციულად ნაწილდება და, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა დაყვანილი დაკარგული ხმების რაოდენობა.<sup>5</sup> იმავდროულად, ბუნებრივი ბარიერი იძლევა შესაძლებლობას, საკანონმდებლო ორგანომ სარკისებურად, მაქსიმალური სიზუსტით ასახოს ის პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც საზოგადოებას აქვს.<sup>6</sup> აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს გამოკითხული მოსახლეობის 68%-ს ჰქონდა ინფორმაცია პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ და მათგან 78% ემხრობოდა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას.<sup>7</sup>

2019 წლის 28 ივნისს პარლამენტში დაინიცირდა შესაბამისი კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით, ბარიერის გარეშე ჩატარებას ითვალისწინებდა.<sup>8</sup> თუმცა, საზოგადოების წარმოდგენა პარლამენტის წევრებს შორის კონსენსუსის არსებობის შესახებ მცდარი აღმოჩნდა. ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩავარდა, რადგან საჭირო 113 ხმა ვერ მოგროვდა.<sup>9</sup> ამ ფაქტს მოქალაქეთა პროტესტი და აქციები მოჰყვა, რომელიც პარლამენტის შენობასთან თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.<sup>10</sup>

ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების დასაძლევად, დიპლომატიური კორ-

<sup>4</sup> თინიკაშვილი რ. *საინფორმაციო ბიულეტენი №2, ნოემბერი 1 - დეკემბერი 1, 2019* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019), გვ. 1, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eYOUScl>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>5</sup> „საია მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას აფასებს“, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი*, 2019 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Tv3bVW>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> Center for Insights in Survey Research, *Public Opinion Survey Residents of Georgia, September-October 2019* (International Republican Institute, 2019), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vYVvga>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>8</sup> თინიკაშვილი რ. *საინფორმაციო ბიულეტენი №2, ნოემბერი 1 - დეკემბერი 1, 2019*, გვ. 1.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 2-3.

პუსის წარმომადგენლების ინიციატივით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები დაიწყო.<sup>11</sup> ოპოზიციამ წარადგინა წინადადება არჩევნების ე.წ. „გერმანული საარჩევნო სისტემით“ ან მრავალმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების პირობებში ჩატარების შესახებ.<sup>12</sup> ამის საპირისპიროდ, ხელისუფლება საარჩევნო სისტემის მხოლოდ მცირე მოდიფიცირებას სთავაზობდა, რაც 100 დეპუტატის პროპორციული, ხოლო 50-ის მაჟორიტარული წესით არჩევას ითვალისწინებდა.<sup>13</sup> საბოლოოდ, 2020 წლის 8 მარტს პოლიტიკურმა პარტიებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობით მოხერხდა.<sup>14</sup> პოლიტიკური დიალოგის მონაწილეებმა „ურთიერთგაგების მემორანდუმს“ მოაწერეს ხელი, რითაც განისაზღვრა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო სისტემის ახლებური მოდელი.<sup>15</sup> ეს შეთანხმება ითვალისწინებდა პროპორციულთან მიახლოებულ 120/30 მოდელზე გადასვლას და ბარიერის 1%-მდე შემცირებას.<sup>16</sup> ამასთან, ხელმომწერები შეთანხმდნენ რეაგირების აუცილებლობაზე ისეთ ქმედებებთან მიმართებით, რომლებიც, შესაძლოა, აღქმული ყოფილიყო სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაციად, ასევე, მომავალში მსგავსი ქმედებების თავიდან აცილების საჭიროებაზე.<sup>17</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეფერხდა. ამის მიზეზი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემია გახდა. პრეზიდენტის №1 ბრძანებით 21 მარტიდან 21 აპრილის ჩათვლით ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო მოგვიანებით, №2 ბრძანებით, 22 მაისამდე განაგრძლივდა.<sup>18</sup> ამ აქტმა იურიდიული ძალა 2020 წლის 23 მაისს დაკარგა.<sup>19</sup> კონსტიტუციის მიხედვით, უზენაესი კანონის გადასინჯვის პროცედურა ასეთ დროს ჩერდება.<sup>20</sup> საგანგებო რეჟიმის გაუქმებასთან ერთად, პროცესი განახლდა და 29 ივნისს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები 117 ხმით, ბოლო მოსმენით დაამტკიცა.<sup>21</sup> მეორე და მესამე კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დეპუტა-

<sup>11</sup> თინიკაშვილი რ. *საინფორმაციო ბიულეტენი №4, იანვარი 1 - თებერვალი 1, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 1, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xpnDfWJ>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> თინიკაშვილი რ. *საინფორმაციო ბიულეტენი №6, მარტი 1 - აპრილი 1, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 1, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xq0iUX>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> ოპოზიცია „8 მარტის“ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილად ე.წ. „პოლიტპატიმარ“ გიორგი რურუს, გიგი უგულავას და ირაკლი ოქრუაშვილის დროულად გათავისუფლებას მიიჩნევდა. თუმცა, ხელისუფლების თქმით, ეს შეთანხმება ამ საკითხს არ ეხებოდა, იხ. „პოლიტპატიმრების“ საკითხზე ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის უთანხმოებაა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2020 წლის 10 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wy0FfI>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>18</sup> ყრუაშვილი ნ. და სხვები, *სუვერენი - „პრემიერი“* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 17, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fyDdcP>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 77-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>21</sup> ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №9, ივნისი 1 - ივლისი 1, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S1O7Pf>, განახლებულია: 30.05.2021.

ტებმა.<sup>22</sup> მათ მიუხედავად 8 მარტის შეთანხმების სრულყოფილად შესრულება და „პოლიტიკატიმრების“ გათავისუფლების მოთხოვნა დაასახელეს.<sup>23</sup> საია მიესალმა საარჩევნო სისტემის ცვლილებას.<sup>24</sup> მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონსტიტუციური დებულებები საერთაშორისო სტანდარტისა და შეთანხმების პირობების დარღვევით ავლებდა საზღვრებს მაჟორიტარულ ოლქებს შორის,<sup>25</sup> ეს გადაწყვეტილება იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი სამართლიანი საარჩევნო სისტემისკენ.

2020 წლის 5 ივლისს საკონსტიტუციო ცვლილებები აჭარის უმაღლესმა საბჭომაც დაამტკიცა და ავტონომიურ დონეზე არჩევნების შერეული წესით ჩატარებას (18 პროპორციული და 3 მაჟორიტარული) დაუჭირა მხარი.<sup>26</sup> აღსანიშნავია, რომ ინიცირებული კანონპროექტი ითვალისწინებდა 2020 წლის არჩევნებისთვის უმაღლესი საბჭოს სრულად პროპორციული წესით დაკომპლექტებას და საყოველთაო-სახალხო განხილვებზეც ეს მოდელი იყო გამოტანილი.<sup>27</sup> თუმცა, ამ განხილვების შემდგომ უმაღლესმა საბჭომ კანონპროექტში გარდამავალი დებულება ჩაამატა, რომლითაც არჩევნების ჩატარება შერეული მოდელით განისაზღვრა და კენჭი ამ მოდელს უყარა.<sup>28</sup> ოპოზიციამ მიიჩნია, რომ ამით კანონით დადგენილი პროცედურები დაირღვა და, პროტესტის ნიშნად, სხდომას არ დაესწრო.<sup>29</sup> კანონმდებლობის მიხედვით, საყოველთაო-სახალხო განხილვების ეტაპზე ცვლილების შეტანა აკრძალული არ არის, თუმცა ისინი არ უნდა იყოს არსებითი ხასიათის (მაგალითად, თუ საქმე ეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას, ამის მაგივრად, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის წესი არ უნდა შეიცვალოს). ვინაიდან ცვლილება უკავშირდებოდა საკითხს, რომელიც თავდაპირველად ინიცირებული პროექტის ფარგლებში ექცეოდა, საიას შეფასებით, პროცედურა არ დარღვეულა.

საარჩევნო სისტემის დამტკიცების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მუშაობა დაიწყო საარჩევნო რეფორმაზე. კანონმდებლობაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც შეეხო, *inter alia*, პარტიების დაფინანსებას, საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესს ქვედა დონეზე, ამომრჩევლის ნების კონტროლს, წინასაარჩევნო აგიტაციას, მედიაკამპანია და საეთერო დროს, გენდერულ კვოტირებას და სხვა.<sup>30</sup> საიამ პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების პროექტზე დასკვნა წარუდგინა.<sup>31</sup> ორგანიზაცია მიესალმა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს და დადებითად შეაფასა კანონპროექტის შემუშავების დია ფორმატი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.<sup>32</sup> თუმცა, არაერთ მნიშვნელოვან საკითხს ეს კანონპროექტი გვერდს უვლიდა, ან

<sup>22</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №10, ივლისი 1 - აგვისტო 1, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 2-3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iLXg9x>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი №07-3/476/9, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dXuxbC>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>31</sup> *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტზე* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eWHX9o>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 1.

შემოთავაზებული რეგულაციები არ იყო საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, რეფორმა არ ითვალისწინებდა საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩოს გადახედვას, სიჩუმის პერიოდის შემოღებას, ამომრჩევლის ნების კონტროლის წესების აღსრულების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რეგულაციების გამკაცრებას, სასამართლო კონტროლის გაზრდას საარჩევნო დავებზე და სხვა.<sup>33</sup>

საარჩევნო რეფორმამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესები. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ პარტიებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მისაღებად დაწესებული ბარიერი 3%-დან 1%-მდე შემცირდა.<sup>34</sup> ამასთან, შეიცვალა დაფინანსების ფორმულა და განისაზღვრა შემდეგნაირად: პარტია ყოველწლიურად პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50 000 ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარს, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ხმისთვის – 5 ლარს მიიღებს.<sup>35</sup> საია მიიჩნევს, რომ ახალი რეგულაციებით, პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ფორმულა უფრო დაბალანსებული და სამართლიანი გახდა.

დამატებით, საარჩევნო რეფორმის ცვლილებების შედეგად:

- ❖ დაზუსტდა შემომწირველი იურიდიული პირის კრიტერიუმები - ის შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის პარტნიორები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები არიან;<sup>36</sup>
- ❖ აუდიტის სამსახურს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობა მიეცა;<sup>37</sup>
- ❖ შემომწირველის პერსონალური მონაცემები უფრო დაცული გახდა;<sup>38</sup>
- ❖ პოლიტიკური პარტიის კონტრაგიტაციის მიზნით უკანონო ხარჯების გაწვევისთვის განისაზღვრა სანქცია - პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავებისთვის გაწეულ უკანონო ფულად ხარჯსა და სერვისზე პირს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.<sup>39</sup>
- ❖ გაფართოვდა აკრძალული დაფინანსების დეფინიცია და მას დაუსაბუთებელი ქონების გამოყენებით გაცემული შემომწირულება, საწევრო შენატანი და ხარჯი დაემატა;<sup>40</sup>
- ❖ გაუქმდა აუდიტის სამსახურის კომპეტენცია ამომრჩევლის მოსყიდვის დანაშაულის გამოძიებაზე და ის სრულად პროკურატურას გადაეცა.

2020 წლის არჩევნებში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონაცემები ასე გა-

<sup>33</sup> იქვე, გვ. 4-6.

<sup>34</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>35</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>36</sup> იქვე, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>37</sup> იქვე, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი.

<sup>38</sup> ძველი რედაქციით, შემომწირველი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის ადგილი იყო საჯარო ინფორმაცია. ცვლილებების შედეგად, შემომწირველი ფიზიკური პირის რეგისტრაციის ადგილი აღარ არის საჯარო ინფორმაცია.

<sup>39</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 34<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>40</sup> იქვე, მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მოიყურება: მასში სულ მონაწილეობდა 50 სუბიექტი, მათ შორის 48 პოლიტიკური პარტია, 2 საარჩევნო ბლოკი (ორ ბლოკში გაერთიანდა შვიდი პარტია).<sup>41</sup> ასევე დარეგისტრირდა 11 საინიციატივო ჯგუფი.<sup>42</sup> არჩევნების დანიშნვიდან საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე, საერთო ჯამში, მათ 47 მილიონამდე ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს.<sup>43</sup> აქედან შემოწირულობის თანხამ შეადგინა 37 მილიონამდე ლარი, საიდანაც დაახლოებით 43% ეკუთვნის „ქართულ ოცნებას“, 16% - „ლელოს“, 13% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 7-7% - „ევროპულ საქართველოს“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“, 5% - „პატრიოტთა ალიანსს“, ხოლო 9% - სხვა დანარჩენ სუბიექტებს ერთად.<sup>44</sup> პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, შემოსავლების უთანასწორობამ მნიშვნელოვნად დააცილა ერთმანეთს პარტიების საარჩევნო შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც თან ახლდა ბოლო რეფორმას, იყო გენდერული კვოტირების შემოღება, რომლის მიხედვითაც, ცესკოსთვის მიწოდებული პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.<sup>45</sup> ეს არის წინადადებული ნაბიჯი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოში ინკლუზიურობას და მრავალფეროვნებას. თუმცა, მას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. ხსენებული ცვლილებები პარტია „გირჩმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.<sup>46</sup> ის ითხოვდა იმ ჩანაწერის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის საფუძველზეც, მას ეკისრება ვალდებულება, პროპორციულ სიაში ყოველი მეოთხე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი შეიყვანოს.<sup>47</sup> საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება,<sup>48</sup> რომლითაც ამ ცვლილებას მხარი დაუჭირა.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა კვოტირების შესაბამისობაზე დემოკრატიის პრინციპთან და მიიჩნია, რომ ის არ არის საარჩევნო უფლების არსის საწინააღმდეგო.<sup>49</sup> მეტიც, მსგავსი ტიპის შეზღუდვას, მისი შინაარსის და ბუნების გათვა-

<sup>41</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაკორიტიარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროს და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების მუალდური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თურჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები (თბილისი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, 2021), გვ. 7, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3p2gcBS>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>44</sup> წინასაარჩევნო კამპანიამდე, 2020 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებების რაოდენობამ, ჯამში, 12 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან 54% „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რაც აღემატება ყველა პარტიის მიერ ერთად მიღებული შემოწირულებების რაოდენობას. იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020 წლის 8 ოქტომბერი, პრეზენტაცია.

<sup>45</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 203-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>46</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/8/1526 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ა(ა)პ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>47</sup> იქვე, I-3.

<sup>48</sup> „საიამ კვოტირების საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება წარუდგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tXY9hi>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>49</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)პ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.



ლისწინებით, არ აქვს შეხება ხელისუფლების წყაროს პრინციპსა და ხელისუფლების მითვისების დაუშვებლობასთან.<sup>50</sup> გადაწყვეტილებაში საუბარია ქალთა არასაკმარის წარმომადგენლობაზე პარლამენტში და მის გამომწვევ მიზეზებზე, მათ შორის, სქესთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ შეხედულებებზე, უსამართლო სასტარტო პირობებსა და ქალის როლის გაბატონებულ აღქმაზე, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის სოციალური ფუნქციების კონსერვატორულ გადანაწილებას გულისხმობს.<sup>51</sup> სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც ქალებისთვის ქმნის არსებითად არათანაბარ გარემოს, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით<sup>52</sup> და კვოტის ლეგიტიმურ მიზნად თანასწორობის მიღწევა მიიჩნია.<sup>53</sup> აუცილებლობის ნაწილში, სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მისაღწევად სახელმწიფოს სხვადასხვაგვარი ღონისძიების გატარება შეუძლია,<sup>54</sup> თუმცა, მისი აზრით, კვოტირება არის „ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმი დასახული მიზნის უზრუნველსაყოფად“.<sup>55</sup> იმავდროულად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საარჩევნო ნორმის ის შინაარსი, რომელიც საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი მამაკაცის ჩაწერას ითვალისწინებდა.<sup>56</sup>

COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული გარემოებები წარმოშვა. ამ გამოწვევაზე რეაგირების ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ განსაზღვრა დროებითი რეგულაციები, მათ შორის, საარჩევნო კომისიების შენობებში დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური წესები<sup>57</sup> და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი.<sup>58</sup> ამასთან, დაადგინა პროცედურა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.<sup>59</sup> ამომრჩევლებს, რომლებიც თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ, ამ მიზნით ზეპირი განცხადებით უნდა მიემართათ ცესკოს საინფორმაციო ცენტრისთვის 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.<sup>60</sup> მოგვიანებით, საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ეს ვადა 27 ოქტომბრამდე განაგრძობდა.<sup>61</sup> საიას შეფასებით, ცესკოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი ადე-

<sup>50</sup> იქვე, II-14.

<sup>51</sup> იქვე, II-26

<sup>52</sup> იქვე, II-27.

<sup>53</sup> იქვე, II-38.

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება, II-56.

<sup>55</sup> იქვე, II-58.

<sup>56</sup> იქვე, III-2.

<sup>57</sup> „სანიტარიულ-ჰიგიენური წესების განხილვა საარჩევნო კომისიებისთვის“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bR5Mi7>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>58</sup> „ცესკომ პარტიებთან და სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი შეიმუშავა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SYaLES>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>59</sup> „საარჩევნო ადმინისტრაცია სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას სანიტარიულ-ჰიგიენური წესების სრული დაცვით უზრუნველყოფს“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36qzGAQ>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>60</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაკორიტიარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 31.

<sup>61</sup> იქვე.

კვატურად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს, თუმცა, სამწუხაროდ, მასზე მსჯელობისთვის საკმარისი დრო არ იყო გათვალისწინებული. შედეგად, ორგანიზაციას ფორმალურად მოუწია პროექტის შეფასება.<sup>62</sup>

ცესკომ საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლებსაც, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ. საია ამ პროცესების აქტიური მონაწილე იყო და სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკუთარი მოსაზრებებიც წარადგინა. ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად, ცესკომ შეიმუშავა პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ შეთანხმება.<sup>63</sup> ხელმომწერებმა გამოთქვეს მზაობა, რომ იხელმძღვანელებდნენ კანონმდებლობით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და ქვევის (ეთიკის) კოდექსით, ხელს შეუწყობდნენ არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გზით, დაიცავდნენ კანონის უზენაესობას.<sup>64</sup> დოკუმენტს ხელი მოაწერა ცესკოს თავმჯდომარემ და 33 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.<sup>65</sup> მას საიაც შეუერთდა.

---

<sup>62</sup> ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №13 ოქტომბერი, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 1-2, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pWVST6>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>63</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაკორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 8.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იქვე.



#### 4. საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი ინსტიტუტია.<sup>66</sup> მისი დაკომპლექტების არსებული მოდელი შერეულ სისტემას განეკუთვნება.<sup>67</sup> ის სამდონიანი<sup>68</sup> და ყველა საფეხურზე 12 წევრისგან შედგება.<sup>69</sup> უმაღლესი ორგანოა ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), რომლის შემადგენლობაშიც შედიან თავმჯდომარე და 11 წევრი.<sup>70</sup> ცესკოს 5 არაპარტიულ წევრს პრეზიდენტის მიერ ნომინირებული კანდიდატებიდან ნიშნავს პარლამენტი აბსოლუტური უმრავლესობით,<sup>71</sup> რაც *de facto* გამოირიცხავს ოპოზიციის ჩართულობას ამ პროცესში. ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურას ასახელებს პრეზიდენტი და ამტკიცებს ცესკო 2/3-ით.<sup>72</sup> დანარჩენ 6 წევრს პარტიები ნიშნავენ.<sup>73</sup> თითოეულის კვოტა წინა საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად განისაზღვრება.<sup>74</sup> ამასთან, პარტიას არ აქვს უფლება, დანიშნოს ცესკოს 3 წევრზე მეტი.<sup>75</sup> 2020 წლის არჩევნებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „ქართული ოცნება“ 3 წევრით, ხოლო „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თითო-თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილნი. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების იგივე პრინციპი მოქმედებს ოლქის და უბნის დონეზე, სადაც 12-დან 6 წევრს ნიშნავს ზემდგომი საარჩევნო კომისია, ხოლო დარჩენილ 6-ს - პოლიტიკური პარტიები.<sup>76</sup> 2020 წლის საარჩევნო რეფორმა არ შეხებია საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ ჩარჩოს და ამ კუთხით *status quo* შენარჩუნდა. დაკომპლექტების წესმა კი ისედაც უპირატესობაში მყოფ მმართველ პარტიას, თეორიულად, დამატებითი შესაძლებლობა მისცა გავლენების გასაძლიერებლად, რაც, საერთო ჯამში, ამცირებდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას. ეუთოს პრიორიტეტული რეკომენდაციით, „თუ პარტიები საარჩევნო კომისიების წევრთა დასახელების უფლებას შეინარჩუნებენ, შესაძლებელია კომისიის წევრთა დანიშვნის ფორმულის გადახედვა და უფრო დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული აღქმების გაძლიერებას“.<sup>77</sup>

**საია იზიარებს ამ რეკომენდაციას და მიზანშეწონილად მიაჩნია ყველა დონის საარჩევნო კომისიის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება. პარლამენტმა საარჩევნო კომისიის წევრები კონსენსუსზე დაფუძნებული მოდელით, უმრავლესობით დაინიშნა.**

<sup>66</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>67</sup> დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელში გამოიყოფა სამი კატეგორია: პროფესიული, პოლიტიკური და შერეული (ამ ორი ვარიანტის გაერთიანება). შერეულ მოდელს ორი ქვეტიპი აქვს - მოსამართლე-პოლიტიკური და პროფესიულ-პოლიტიკური. საქართველო ამ უკანასკნელის სახესხვაობაა, იხ. ალავერდაშვილი გ. და ტალიური ლ. *საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vul3wP>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>68</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>69</sup> იქვე, მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი და 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>70</sup> იქვე, მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>71</sup> იქვე. აგრეთვე, პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>72</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>73</sup> იქვე, მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>74</sup> იქვე, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე, მე-19 და 24-ე მუხლები.

<sup>77</sup> *Georgia, Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report*, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2019), p. 7, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vuvtNM>, განახლებულია: 30.05.2021.

**ვლესობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების საფუძველზე უნდა დაამტკიცოს.** ეს უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის გაზრდას და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებას. მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია, საარჩევნო ადმინისტრაციის შერეული მოდელის შენარჩუნება იმ პირობით, თუ ის უპირატესობას არცერთ პარტიას არ მიანიჭებს და ოპოზიციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულო ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს.

საარჩევნო რეფორმით დაზუსტდა საუბნო კომისიის წევრების არჩევის წესები, რითაც უუთოს ზოგიერთი რეკომენდაცია შესრულდა.<sup>78</sup> ცვლილებების მიხედვით, საუბნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული 3 წევრი მაინც.<sup>79</sup> შერჩევის პროცედურაში მონაწილეობა აკრძალა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, თუ ის არის შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი.<sup>80</sup> საკანონმდებლო ცვლილებებით გამოირიცხა იმ პირის პროფესიული ნიშნით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა, რომელიც წინა საერთო არჩევნებზე კომისიაში პარტიული ნიშნით იყო განწესებული.<sup>81</sup> ცესკომ, დამატებით, 2020 წლის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციები შეიმუშავა. ამ რეკომენდაციების მიხედვით, საოლქო კომისიებს საუბნო კომისიების წევრებად ისეთი პირები უნდა განეხილათ, რომლებსაც ჰქონდათ საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციურად და მიუკერძოებლად მუშაობის გამოცდილება და ბოლო 2 წლის მანძილზე საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობისას არ დაჰკისრებიათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.<sup>82</sup> ამ ძალისხმევის მიუხედავად, ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრის პოლიტიკური მიუკერძოებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. როგორც აღმოჩნდა, ზუგდიდის უბნების პროფესიული კვოტების უმრავლესობა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრებით შეივსო.<sup>83</sup> ზუგდიდის საოლქო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ბოლო საერთო არჩევნებად 2019 წლის მერის რიგგარეშე არჩევნები<sup>84</sup> მიიჩნია. საიას შეფასებით, საარჩევნო კოდექსის ახალი ნორმა და „საერთო არჩევნების“ შინაარსი, რომელიც მოიცავს მორიგ ან რიგგარეშე არჩევნებს, იძლევა მანი-

<sup>78</sup> უუთომ 2018 წლის ანგარიშში პრობლემურ გარემოებად დაასახელა საუბნო საარჩევნო კომისიების პოლიტიკური მიუკერძოებლობა და ნეპოტიზმი შერჩევის პროცესში. ამასთან, მიიჩნია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების შერჩევის წესები ცესკოს მიერ იყო არასაკმარისად რეგულირებული, ხოლო, ზოგადად, პროცესი - არათანმიმდევრული და ნაკლებად გამჭვირვალე, იხ. *Georgia, Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report*, p. 7.

<sup>79</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თუთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 21.

<sup>83</sup> „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“-მა ზუგდიდის 67-ე ოლქში 94 საჩივარი შეიტანა. მაგ. იხ. სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამოქალაქო პლატფორმა 2020-ის“ 2020 წლის 29 სექტემბრის №44 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PvKkZ6>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>84</sup> რიგგარეშე არჩევნები მიიჩნევა საერთო არჩევნებად, იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

პულაციის საშუალებას. იმ შემთხვევაში, თუ მორიგ არჩევნებამდე დაინიშნება რიგ-გარეშე არჩევნები, ეს, პოტენციურად, ტოვებს შესაძლებლობას, საუბნო კომისიის წევრებად დაინიშნონ ბოლო მორიგ არჩევნებზე განწესებული პარტიული წევრები, როგორც ეს 2020 წელს მოხდა. ამით კანონი არ დარღვეულა, თუმცა, საიამ ის ცუდ პრაქტიკად აღრიცხა, რადგან ნორმამ მიზანს ვერ მიაღწია, უზრუნველყო საუბნო კომისიის წევრების მიუკერძოებლობა.

**აქედან გამომდინარე, საია მიიჩნევს, რომ საჭიროა უფრო მკაფიო რეგულაცია, რომელიც ცალსახად გამორიცხავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევას, რომელიც ბოლო მორიგ არჩევნებზე საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული.** ეს უზრუნველყოფს უფროს რეკომენდაციას, სადაც წერია, რომ შესაძლებელია „[...] საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები კიდევ უფრო დაიხვეწოს კანონმდებლობაში“.<sup>85</sup>

ცესკომ, განკარგულების შესაბამისად, გამოაცხადა კონკურსი პროფესიული ნიშნით საუბნო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად.<sup>86</sup> ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, 4-9 სექტემბერს ჩატარდა საუბნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსები, ხოლო 11-14 სექტემბერს, 73 საოლქო კომისიის მიერ 3,652 საუბნო კომისიაში არსებულ 21,942 ვაკანტურ ადგილზე 21,894 წევრი შეირჩა.<sup>87</sup> საოლქო კომისიებში სულ 25,201 განაცხადი შევიდა.<sup>88</sup> **საიას შეფასებით, განაცხადის მიღებისა და განხილვის დრო არ იყო საკმარისი მათი სრულყოფილი შეფასებისთვის. პროცესის გაჯანსაღების მიზნით, სასურველია, გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების ვადები ქვედა დონეზე.**

გარდა ამისა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა აჭარბებს კენჭისყრის დღეს არსებული ფუნქციების რიცხვს. ამიტომ, 12 წევრი საჭირო არ არის. უფროს პრიორიტეტული რეკომენდაციით, შესაძლებელია, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე საარჩევნო კომისიების წევრების რაოდენობა რეალური საჭიროების მიხედვით განისაზღვროს.<sup>89</sup> **საია იზიარებს ამ მოსაზრებას და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიულ დაკომპლექტებაზე გადასვლის შემდეგ კომისიის წევრების შემცირებას აუცილებლად მიიჩნევს.**

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) პირველივე სხდომაზე ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია.<sup>90</sup> მათი კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვს კომისიის 2 წევრს.<sup>91</sup> გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.<sup>92</sup> 28-30 სექტემბერს ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები.<sup>93</sup> კომისი-

<sup>85</sup> Georgia, Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report, p. 8.

<sup>86</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 1-ლი სექტემბრის №69/2020 განკარგულება.

<sup>87</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაკორიტიარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების მუალეური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების შერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 21.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> Georgia, Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report, გვ. 7.

<sup>90</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>91</sup> იქვე.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენ-

ის ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე კონკურსის წესით არჩეულთა რაოდენობა, მთლიანობაში, აღემატებოდა პარტიის მიერ დანიშნულ წევრთა რაოდენობას.<sup>94</sup> პარტიული კვოტით არჩეული წევრებიდან თავმჯდომარის პოზიციაზე დანიშნული ყველა პირი (სულ 434 წევრი) „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო.<sup>95</sup> იგივე ვითარება შეიქმნა სხვა ხელმძღვანელ პოსტებზეც - კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებისა (584 წევრი) და მდივნების (465 წევრი) პოზიციები, უმეტესად, „ქართულმა ოცნებამ“ დააკომპლექტა. რაც შეეხება სხვა პარტიებს, თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე 5 წევრი წარმოადგენდა „პატრიოტთა ალიანსს“, 2 - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და 1 - „ევროპულ საქართველოს“, ხოლო მდივნების პოზიციებზე 3 წევრი - „პატრიოტთა ალიანსს“, თითო-თითო კი - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“.<sup>96</sup> ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდი უპირატესობა ჰქონდა საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეზეც.

რაც შეეხება ტექნიკურ და ორგანიზაციულ ნაწილს, ცესკოს საქმიანობა, უმეტესად, იყო ღია და გამჭვირვალე, ხოლო ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ - საჯაროდ ხელმისაწვდომი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ცესკო რეგულარულად მართავდა შეხვედრებს საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან. COVID-19-ის პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით ის აქტიურად თანამშრომლობდა პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან.<sup>97</sup> საერთო ჯამში, საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელი პროცედურები დადგინილ ვადებში, კანონის დაცვით ჩაატარა.

---

ლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაქორითარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 22.

<sup>94</sup> „ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომებისა და თავმჯდომარე/მოადგილე/მდივნის არჩევის პროცესის შესახებ/სტატისტიკა 2 ოქტომბრის მდგომარეობით“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lFi8xl>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაქორითარული საარჩევნო სისტემით გამართული ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, კასპის, ონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები, ცესკო, გვ. 40.

## 5. წინასაარჩევნო პერიოდი

### სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

6 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის შედეგების წინააღმდეგ მიმართული ანტიკრიზისული გეგმის მესამე ეტაპი გააცნო საზოგადოებას.<sup>98</sup> გეგმა სოციალური მხარდაჭერის რამდენიმე მსხვილ მიმართულებას მოიცავდა.<sup>99</sup> მისი წარდგენისას მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან მუდმივად კეთდებოდა აქცენტი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის როლსა და მის პირად ფინანსურ წვლილზე.<sup>100</sup> ამით ხელისუფლებამ კრიზისის დასაძლევად გადადგმულ ნაბიჯებს პერსონიფიცირებული ხასიათი მისცა და მის პარტიულ აფილირებას შეუწყო ხელი.<sup>101</sup> ამის გამო, ზოგ შემთხვევაში ეს ღონისძიებები უმრავლესობის კამპანიის ნაწილად აღიქმებოდა, მაშინ, როდესაც მოქალაქეების დახმარება ამგვარი ვითარების დროს სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულებაა.<sup>102</sup>

ზღვრის ბუნდოვანება სხვა სოციალურ ინიციატივებშიც შეინიშნებოდა. მაგალითად, მთავრობის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, სიმსივნის სამკურნალო მედიკამენტების ნუსხა გაფართოვდა და ონკოპაციენტისთვის გამოყოფილი დაფინანსების თანხა 8 000 ლარით გაიზარდა.<sup>103</sup> ეს პროგრამა 40 000-მდე ადამიანს შეეხო.<sup>104</sup> აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს 31 ოქტომბრის განცხადებით, მოქალაქეებს სსიპ „გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის“ მიმართ 2009 წლიდან სხვადასხვა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანება ჩამოეწერებოდათ.<sup>105</sup> ამ შეღავათით დაახლოებით ათასამდე მოქალაქე ისარგებლებდა.<sup>106</sup> ეს ინფორმაცია სამინისტრომ წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების წინა დღეს გაავრცელა.<sup>107</sup>

ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“.<sup>108</sup> გარდა ამისა, COVID-

<sup>98</sup> 2020 წლის 6 აგვისტოს მთავრობის სხდომა, *საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი*, 2020 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FIWVlQ>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>99</sup> „საქართველოს მთავრობამ ანტიკრიზისული გეგმის შემდგომი - III ეტაპი შეიმუშავა“, *საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი*, 2020 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hbUPZy>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>100</sup> ამის მაგალითია პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ასეთი მასშტაბური სოციალური მხარდაჭერა „StopCov ფონდში“, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის დახმარებით გახდა შესაძლებელი. აგრეთვე, ფინანსთა მინისტრის პოზიცია, როდესაც მან განაცხადა, რომ ამ მასშტაბურ კამპანიას ფინანსურად ზურგს ფონდის მთავარი შემომწირველი (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი) უმაგრებდა იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 7-8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2R9k4UU>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>104</sup> იქვე.

<sup>105</sup> იქვე.

<sup>106</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 8-9.

<sup>107</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე.

<sup>108</sup> Organization for Security and Co-operation in Europe, *Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE* (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vzFHwU>, განახლებულია: 30.05.2021.



19-ის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მიზნით, ეუთო/ოლირმა სპეციალური რეკომენდაციებიც გამოსცა და სახელმწიფოებს მოუწოდა, „სოციალურ-ეკონომიკური მასტიმულირებელი გეგმების შემუშავებისას დახმარება იმგვარად გაანაწილონ, რომ არ შეიქმნას მმართველი პოლიტიკური ძალის პოზიციის გაუმჯობესების შთაბეჭდილება“.<sup>109</sup> სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეს სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა. მოქალაქეებზე ზრუნვისა და ფინანსური წნეხის შემსუბუქების ინიციატივები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა ამგვარი გადაწყვეტილებები მან წლის დასაწყისში, ბიუჯეტისა და პროგრამების დაგეგმვის დროს უნდა მიიღოს ან კენჭისყრის შემდეგ. საარჩევნო კამპანიის რეგულაციების ამოქმედებამდე მცირე ხნით ადრე ასეთი ნაბიჯების გადადგმა ამომრჩეველთა გულის მოგებაზეა გათვლილი და, ამასთან, *de facto* გვერდს უვლის კანონმდებლობას, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას კრძალავს.<sup>110</sup>

სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარი არც მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივობების წარმოჩენის დროს იყო დაცული. მთავრობის ადმინისტრაციამ 31 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია ქვეყნის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გაზრდის პროექტ - Log-in Georgia-ს შესახებ, რომელსაც მსოფლიო ბანკი 40 მილიონი აშშ დოლარით აფინანსებს. პრემიერ-მინისტრის მაშინდელი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი საუბრობდა ამ პროექტის იმპლემენტაციაში ფონდ „ქართუს“<sup>111</sup> როლსა და მის მიერ დახარჯულ მილიონობით ლარზე.<sup>112</sup> კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა 15 ოქტომბერს მოხდა, როდესაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ურბანული ტყის ლანდშაფტის ადგენა-რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილის და ფონდ „ქართუს“ უპრეცედენტო დახმარებაზე ისაუბრა.<sup>113</sup>

ეს პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც არსებობდა. 26 ოქტომბერს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოფიციალური Facebook-გვერდის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქალაქში მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადგენის სამუშაოები, რომლებსაც, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, ფონდი „ქართუ“ ახორციელებდა.<sup>114</sup>

<sup>109</sup> OSCE Human Dimension Commitments and State Responses to the COVID-19 Pandemic (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2020), p. 86, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uA86lg>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>110</sup> წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში უკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 48-ე მუხლი.

<sup>111</sup> ფონდი „ქართუ“ მმართველი პარტიის ყოფილ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაციაა.

<sup>112</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, სექტემბერი* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e2U45u>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>113</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, ოქტომბერი* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dejLR9>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>114</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3scnD9z>, განახლებულია: 30.05.2021.

ზემოთ განხილული შემთხვევები წინასაარჩევნო პერიოდში უმრავლესობის მიერ სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვრის ბუნდოვანებაზე მიუთითებს, რაც, საბოლოო ჯამში, ამომრჩევლის აღქმაზე აისახება და არსებულ უმრავლესობას საარჩევნო უპირატესობას აძლევს. ხელისუფლებას საარჩევნო მართაობაში ისედაც აქვს ბუნებრივი პრიორიტეტული მდგომარეობა. ხოლო, თუ ამას საჯარო რესურსების მის სასარგებლოდ გამოყენება დაემატება, უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

## საჯარო რესურსის გამოყენება

წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მიზნით ცესკომ მემორანდუმი გააფორმა უწყებათაშორის კომისიასა და 13 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.<sup>115</sup> ამავე მიზნით შეთანხმება დაიდო ცესკოს, ევროპის საბჭოს ოფისს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის.<sup>116</sup>

კანონმდებლობით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.<sup>117</sup> ამ წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა.<sup>118</sup> საარჩევნო კანონმდებლობის გარდა, საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს ადგენს ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ კანონი“, რომელიც საჯარო მოხელეს უკრძალავს სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას.<sup>119</sup>

საიასთვის ცნობილი გახდა ასევე შემთხვევის შესახებ, როდესაც მმართველმა პარტიამ შეზღუდვების ამოქმედებამდე მცირე ხნით ადრე საჯარო მოხელეები საკუთარ აქტივობებში ჩართო. 2020 წლის 31 აგვისტოს, როცა საარჩევნო რეგულაციების დაწყებამდე 1 დღე იყო დარჩენილი,<sup>120</sup> ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობასთან გამართულ „ქართული ოცნების“ შეხვედრას, სადაც მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერები აჭარის მაღალმთიანეთში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს წარადგინდნენ, სამუშაო საათებში საჯარო მოხელეებიც ესწრებოდნენ.<sup>121</sup> მართალია, ეს ქმედება საარჩევნო კოდექსს არ ეწინააღმდეგება, რადგან აკრძალვა ჯერ არ მოქმედებდა, მაგრამ სამუშაო დროის პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად გამოყენება არღვევს საჯარო მოხელის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

გამოწვევად რჩება ბიუჯეტით დაფინანსებული ღონისძიებების საარჩევნო კამპა-

<sup>115</sup> ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №12, სექტემბერი 1 - ოქტომბერი 1, 2020* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 6-7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iRQV6h>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>118</sup> იქვე, 88-ე მუხლი.

<sup>119</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, მე-15 მუხლი.

<sup>120</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>121</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 9-10.



ნიისთვის ირიბი გამოყენება. 2 ივლისს საოჯახო მედიცინის ცენტრ „მკურნალში“, ა(ა)იპ „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის“ ორგანიზებით, დეპუტატის, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვოლსკისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ადგილობრივ მოსახლეობას უფასო სამედიცინო შემოწმება ჩატარდა.<sup>122</sup> ბატონი ვოლსკის ღონისძიებაში მონაწილეობა პირდაპირ არ უკავშირდებოდა მის თანამდებობას და მხოლოდ პერსონალურ-პარტიული დატვირთვა ჰქონდა. საჯარო რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, არც ეს ფაქტია კანონდარღვევა, მაგრამ ცუდი პრაქტიკის მაგალითია, რადგან საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობით მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ამ ღონისძიების მასთან ასოცირებას შეუწყო ხელი.

საიამ, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების გამო, ერთ შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართა.<sup>123</sup> საჩივარი უკავშირდებოდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სეზონის გახსნაში „ქართული ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაზა ლომინაძის სასარგებლოდ აგიტაციას.<sup>124</sup> მოქმედმა დეპუტატმა გენადი მარგველაშვილმა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ „ესტაფეტა ლომინაძემ უნდა გადაიბაროს“.<sup>125</sup> სიტყვა თავად კანდიდატმაც წარმოთქვა.<sup>126</sup> ცესკომ, მოკვლევის შედეგად, დაადგინა, რომ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა ლომინაძე ამ ღონისძიებაზე მიწვეული არ იყო როგორც ოფიციალური პირი, არამედ იგი თეატრის გახსნას მეგობრისა და ქველმოქმედის სტატუსით ესწრებოდა.<sup>127</sup> ცესკოს თქმით, ღონისძიებაზე არ გაკეთებულა საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო პოლიტიკური განცხადებები, ხოლო თავად ღონისძიება არ ემსახურებოდა სააგიტაციო მიზანს.<sup>128</sup> ამ არგუმენტაციით, საარჩევნო ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ საქმეში კანონმდებლობის დარღვევა არ იკვეთებოდა.<sup>129</sup>

საიას შეფასებით, ცესკოს გადაწყვეტილებაში რამდენიმე პრობლემური ასპექტია. პირველ რიგში, წინასაარჩევნო აგიტაციად მხოლოდ წინასწარ ამ მიზნით გაცხადებული ღონისძიებების მიჩნევა კანონის არასწორი ინტერპრეტაციაა. საარჩევნო კანონმდებლობა აგიტაციას ფართო შინაარსს ანიჭებს და ასეთად მიიჩნევს ნებისმიერ საჯარო ქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან უშლის საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტების კანდიდატის არჩევას. ამ შემთხვევაში ზაზა ლომინაძის მონაწილეობა, სიტყვით გამოსვლა და მოქმედი დეპუტატის მხარდაჭერა სოციალური კაპიტალის დაგროვებას ემსახურებოდა და ხელს უწყობდა არჩევნებში მის გამარჯვებას. შესაბამისად, ეს უნდა შეფასდეს აგიტაციად. იმავდროულად, ამ მსჯელობის მიზნებისთვის, თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა ფორმით იყო მიწვე-

<sup>122</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>123</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 21 ოქტომბრის №488/გ02 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wSHJJz>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 30 ოქტომბრის №133/გ02 განკარგულება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mO3lCn>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

ული ღონისძიებაზე ზაზა ლომინაძე, მითუმეტეს, რომ „მოწვევის ფორმის“ ცნებას ქართული კანონმდებლობა არ იცნობს.

საია მიიჩნევს, რომ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობით კანდიდატმა, შესაძლოა, მოიპოვოს საარჩევნო უპირატესობა და ამ პროექტების მასთან ასოცირება გამოიწვიოს, რაც შემდგომ მის საარჩევნო მხარდაჭერაში კონვერტირდება. სახელისუფლებო კანდიდატისთვის ამ შესაძლებლობის მიცემა საჯარო რესურსების წინასაარჩევნო მიზნით გამოყენებაა.

### უწყებათაშორისი კომისია

საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და ამ დარღვევებზე რეაგირების მიზნით იქმნება უწყებათაშორისი კომისია.<sup>130</sup> მისი შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.<sup>131</sup> კომისია იკრიბება თავმჯდომარის მოწვევით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ – კვირაში ერთხელ მაინც.<sup>132</sup> სხდომებზე განიხილება მედიაში გავრცელებული და, ასევე, ის ინფორმაცია, რომელსაც კომისიას საარჩევნო სუბიექტები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები აწოდებენ.<sup>133</sup> დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს, ცესკოს გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.<sup>134</sup>

კანონმდებლობის შესაბამისად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია 30 ივნისს შეიქმნა.<sup>135</sup> დებულების თანახმად, მის შემადგენლობაში შევიდნენ მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.<sup>136</sup> წინასაარჩევნო პერიოდში კომისია 10-ჯერ შეიკრიბა.<sup>137</sup> სხდომებზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: აგიტაციაში საჯარო მოხელეების უკანონო მონაწილეობა, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლება, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტები, ასევე, წინასაარჩევნო კამპანიის დროს პროვოკაციებისა და დაპირისპირების შემთხვევები.<sup>138</sup> საერთო ჯამში, კომისიამ 3 არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა, მათ შორის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებისთვის და მათ აგიტაციაში მონაწილეობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.<sup>139</sup> წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაპირისპირებისა და

<sup>130</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>131</sup> იქვე.

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> იქვე, მე-7 ნაწილი.

<sup>134</sup> იქვე, მე-9 ნაწილი.

<sup>135</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eiEIDB>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>136</sup> იქვე, 1-ლი მუხლი.

<sup>137</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიში 30.06.2020-28.11.2020, *საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hT5w7n>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის 25 აგვისტოს რეკომენდაცია.

კონფლიქტების პრევენციის მიზნით კომისიამ რეკომენდაციით მიმართა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებსაც.<sup>140</sup> აგრეთვე, საპარლამენტო არჩევნებამდე 3 დღით ადრე მან რეკომენდაციები გამოსცა საგანმანათლებლო რესურსცენტრების, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისთვისაც.<sup>141</sup>

ეუთო/ოღირის რეკომენდაციის მიხედვით, „სახელმწიფოსა და პარტიის ერთმანეთისგან მკვეთრი განცალკევების უზრუნველსაყოფად, სასურველია, ჩამოყალიბდეს ისეთი ეფექტიანი და დროული მექანიზმი, რომელიც მიუკერძოებელი და კომპეტენტური ორგანოს წინაშე ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას უზრუნველყოფს. ამ ორგანოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სანქციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლება უნდა ჰქონდეს“.<sup>142</sup> უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას არ გააჩნია მკაფიო მანდატი და იგი შემოიფარგლება რეკომენდაციების გაცემით, რაც არსებული გამოწვევების გადასაჭრელად საკმარისი არ არის. **საია იზიარებს ეუთო/ოღირის რეკომენდაციას და მიზანშეწონილად მიაჩნია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციისთვის, უწყებათაშორისი კომისიის ნაცვლად, აქცენტი ცესკოს გაძლიერებაზე გაკეთდეს.**

#### **ადგილობრივი თვითმმართველობა**

საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.<sup>143</sup> გამონაკლისია პროექტები/პროგრამები, რომლებიც ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით.<sup>144</sup>

არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია **სოციალური გასაცემლების** (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული იყო.<sup>145</sup> ეს რეგულაცია არ ვრცელდება სტიქიური უბედურებისა ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე.<sup>146</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში 4-მა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში სოციალური გასაცემლების ოდენობა გაზარდა ან ბიუჯეტში ახალი პროგრამა შეიტანა:

- 46 200 ლარი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;<sup>147</sup>

<sup>140</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის 7 ოქტომბრის რეკომენდაცია.

<sup>141</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის 28 ოქტომბრის რეკომენდაცია.

<sup>142</sup> Georgia, Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report, p. 12.

<sup>143</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>144</sup> იქვე.

<sup>145</sup> იქვე, მე-4 ნაწილი.

<sup>146</sup> იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>147</sup> ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ოქტომბრის №18 დადგენილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- 183 000 ლარი - მარნეულის მუნიციპალიტეტი;<sup>148</sup>
- 17 000 ლარი - ცაგერის მუნიციპალიტეტი;<sup>149</sup>
- 1.500.000 ლარი - ყვარლის მუნიციპალიტეტი.<sup>150</sup>

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო ცვლილებების მიზეზად სოციალურ დახმარებაზე გაზრდილი საჭიროება დაასახელა,<sup>151</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტმა კი - მოქალაქეთა მომართვიანობის მატება და არსებული რესურსის ამოწურვა.<sup>152</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტს მიზეზი არ აუხსნია.<sup>153</sup> ყვარლის მერის წერილით ირკვევა, რომ პროგრამა ივლისში მომხდარი სტიქიური უბედურების<sup>154</sup> სალიკვიდაციო ღონისძიებებს აფინანსებდა.<sup>155</sup>

საიას შეფასებით, ლანჩხუთის, მარნეულისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სოციალურ დახმარებებზე გამოყოფილი სახსრების ზრდა კანონის დარღვევაა. სოციალურ დახმარებებზე გაზრდილი მოთხოვნის მიზეზით ბიუჯეტის ცვლილება განსაკუთრებით დაუშვებელია წინასაარჩევნო პერიოდში. ამის გაკეთება შეიძლებოდა საარჩევნო ვადის ათვლის დაწყებამდეც. რაც შეეხება ყვარელს, მუნიციპალიტეტის მიერ მოყვანილი არგუმენტი ლეგიტიმურია და მისი ქმედება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.<sup>156</sup> საია მოუწოდებს მუნიციპალიტეტებს, მეტი სიფრთხილით მოეკიდონ წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებულ საბიუჯეტო ცვლილებებს, განსაკუთრებით, სოციალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილში.

წინასაარჩევნოდ „სუბსიდიის“, „გრანტის“, „შრომის ანაზღაურებისა“ და „სხვა ხარჯების“ მიმართულებით ბიუჯეტში ცვლილების შეტანა სამართალდარღვევა არ არის, თუმცა ამან, პოტენციურად, შეიძლება გავლენა მოახდინოს წინასაარჩევნო პროცესში საჯარო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებაზე. **ამიტომ, ამ მუხლებში („სუბსიდია“, „გრანტი“, „შრომის ანაზღაურება“ და „სხვა ხარჯები“) ცვლილებების შეტანა ასევე უნდა დაექვემდებაროს შეზღუდვას და მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იყოს შესაძლებელი.**

**სუბსიდიისთვის** გათვალისწინებული სახსრები 3 მუნიციპალიტეტში გაიზარდა:

- 3000 ლარით - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი;<sup>157</sup>

<sup>148</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 სექტემბრის №22 დადგენილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

<sup>149</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №18 დადგენილება „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>150</sup> ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №18 დადგენილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №29 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>151</sup> ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 24 ნოემბრის №30-302032936 წერილი.

<sup>152</sup> მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 4 დეკემბრის №30-3232033973 წერილი.

<sup>153</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 24 ნოემბრის №2989 წერილი.

<sup>154</sup> „ძლიერმა ქარმა თელავისა და ყვარლის სოფლები დააზარალა“, *საინფორმაციო ჰორტალი ტელეკომპანია „იმედი“*, 16.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vwKBeF>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>155</sup> ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 23 დეკემბრის №04/5556 წერილი.

<sup>156</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 49-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>157</sup> ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 სექტემბრის №213 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №158 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- 4000 ლარით - ადიგენის მუნიციპალიტეტი;<sup>158</sup>
- 4000 ლარით - დმანისის მუნიციპალიტეტი.<sup>159</sup>

მუნიციპალიტეტების მიმოწერაში ზოგიერთი გვერდს უკლის კონკრეტულ განმარტებას (რუსთავი და ადიგენი),<sup>160</sup> ნაწილი კი, კონკრეტულ მომენტში ფორსმაჟორულ გარემოებებზე მიუთითებს, როგორცაა სპორტული და კულტურული აქტივობებისთვის კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის) ხარჯების დაფარვა (დმანისი).<sup>161</sup>

სუბსიდიის მუხლით მუნიციპალური ა(ა)იპ-ები და შპს-ები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ხარჯების საჯაროობის სტანდარტი, მუნიციპალიტეტთან შედარებით, დაბალია.<sup>162</sup> მათი დაფინანსების ზრდა წინასაარჩევნოდ მანიპულაციების საშუალებას იძლევა. წინასაარჩევნო პერიოდში სუბსიდიის დაფინანსების ზრდის აუცილებლობა დასაბუთებას საჭიროებს, რაც, საიას შეფასებით, რუსთავის და ადიგენის მუნიციპალიტეტებს არ გაუკეთებიათ. განსხვავებული მდგომარეობაა დმანისის შემთხვევაში, რომელმაც ფორსმაჟორულ გარემოებაზე მიუთითა. ზოგადად, ეს მისაღები მიზეზია, თუმცა, აქაც, მოწოდებული ინფორმაციით ნათლად ვერ დგინდება, თუ როგორ უკავშირდებოდა სპორტული ღონისძიებებისთვის კომუნალური გადასახადების გაზრდა ფორსმაჟორულ სიტუაციას. საია მიიჩნევს, რომ არჩევნების შედეგებზე ადმინისტრაციული რესურსის გავლენის გამოსარიცხად მუნიციპალიტეტებმა ბიუჯეტში ცვლილებები მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და შესაბამისი დასაბუთებით უნდა შეიტანონ.

**გრანტებისთვის გამოყოფილი სახსრები 3 მუნიციპალიტეტში გაიზარდა:**

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი - 4000 ლარი;<sup>163</sup>
- გორის მუნიციპალიტეტი - 3900 ლარი;<sup>164</sup>
- დმანისის მუნიციპალიტეტი - 4000 ლარი.<sup>165</sup>

ოფიციალური მიმოწერიდან ირკვევა, რომ ორ შემთხვევაში ზრდა გამოწვეული იყო

<sup>158</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 სექტემბრის №24 დადგენილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>159</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 4 სექტემბრის №13 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>160</sup> ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 8 დეკემბრის №4219/09 წერილი; რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 31 ნოემბრის №01-3820335152 წერილი.

<sup>161</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 27 ნოემბრის №07/5572 წერილი.

<sup>162</sup> მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ხარჯების 25%-იანი შეზღუდვა, იხ. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>163</sup> ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 სექტემბრის №213 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №158 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>164</sup> გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №43 დადგენილება „გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

<sup>165</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 4 სექტემბრის №13 დადგენილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.



მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის თანადაფინანსების გადახდის მიზნით (რუსთავი და დმანისი).<sup>166</sup> გორში ეს ფინანსური ოპერაციების შეუფერხებლად განსახორციელებლად გაკეთდა.<sup>167</sup>

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში გრანტის მუხლში იგულისხმება ფინანსური სახსრები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გადაეცემა სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს (მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ს და სხვა ორგანიზაციებს).<sup>168</sup> შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის რესურსის გადაცემით მუნიციპალური ფინანსების წინასაარჩევნო მიზნით გამოყენების რისკი იზრდება.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საიას ამ ნაწილში არ გამოუვლენია შემთხვევა, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საარჩევნო პროცესს, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს.

**სხვა ხარჯებში** მოიაზრება მერის სარეზერვო ფონდი, რომლითაც პროგრამულად გაუთვალისწინებელი აქტივობები ფინანსდება (ძირითადად, არაპროგრამული სოციალური დახმარებები). ამ მიმართულებით სახსრების ზრდა 2 მუნიციპალიტეტში გამოვლინდა:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი - 98 400 ლარი;<sup>169</sup>
- ბაღდათის მუნიციპალიტეტი - 12 300 ლარი.<sup>170</sup>

მუნიციპალიტეტების განმარტებით, ზრდა გამოწვეული იყო სხვადასხვა კაპიტალური ხარჯით და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით (ბაღდათი),<sup>171</sup> ხოლო ქალაქ რუსთავის შემთხვევაში - არაფინანსური აქტივების მუხლის კორექტირებით.<sup>172</sup> საიას შეფასებით, ქალაქ რუსთავის და ბაღდათის მუნიციპალიტეტების განმარტება ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე დამაკმაყოფილებელია.

წინასაარჩევნო პერიოდში არცერთ მუნიციპალიტეტში არ შეცვლილა **შრომის ანაზღაურების** მუხლი. ორგანიზაცია პოზიტიურად აფასებს ამ ფაქტს.

## ოპოზიციის შევიწროების ფაქტი ხელვაჩაურში

ოპოზიციის შევიწროებისა და სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ვაჟა თავდგირიძისთვის უფლებამოსილების

<sup>166</sup> რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 31 ნოემბრის №01-3820335152 წერილი და გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 19 ნოემბრის №20-2020324391 წერილი.

<sup>167</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 27 ნოემბრის №07/5572 წერილი.

<sup>168</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე.

<sup>169</sup> ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 სექტემბრის №213 დადგენილება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №158 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>170</sup> ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ოქტომბრის №21 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>171</sup> ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 29 დეკემბრის №41/722 წერილი.

<sup>172</sup> ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 31 ნოემბრის №01-3820335152 წერილი.



მეწყვეტა.<sup>173</sup> ეს შემთხვევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ამას საკრებულოში წამყვანი ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის დამლა მოჰყვა.<sup>174</sup> კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ არასაპატიო მიზეზით ზედღიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.<sup>175</sup> ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია არკვევს გაცდენის მიზეზს და იმას, იყო თუ არა ეს მიზეზი საპატიო.<sup>176</sup> მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატმა წარმოადგინა ცნობა, სადაც მითითებულია დიაგნოზი, საკრებულოს კომისიამ მას უფლებამოსილება შეუწყვიტა. საიას შეფასებით, დეპუტატის დიაგნოზი საკრებულოს მუშაობაში ჩაურთველობის საპატიო მიზეზი იყო, შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება კანონს ეწინააღმდეგება. საია ამ ნაბიჯს ოპოზიციის შევიწროებად და პოლარიზაციის გაღრმავებად აფასებს.

### აგიტაციაში უკანონო მონაწილეობა

ბოლო ცვლილებებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს (სკოლის და საბავშვო ბაღების პედაგოგები, სსიპ-ების და ააიპ-ების თანამშრომლები) სამუშაო საათებში აგიტაციაში მონაწილეობა აკრძალა.<sup>177</sup> საიამ ამ წესის დარღვევის შესახებ ცესკოს 4 საჩივრით<sup>178</sup> მიმართა. აქედან 3 საჯარო მოხელეებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების მხრიდან სოციალური ქსელის მეშვეობით აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობას შეეხებოდა.<sup>179</sup> ცესკომ თავის გადაწყვეტილებებში მიიჩნია, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით აგიტაცია მხოლოდ მაშინ არის დარღვევა, თუ პირი ამ დროს საბიუჯეტო რესურსებით სარგებლობს.<sup>180</sup> საიას შეფასებით, ეს მცდარი ინტერპრეტაციაა.

საარჩევნო კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას<sup>181</sup> და წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ადმინისტრაციული რესურ-

<sup>173</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო, გვ. 19-20.

<sup>174</sup> იქვე.

<sup>175</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>176</sup> იქვე, მე-5 ნაწილი; აგრეთვე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №07 დადგენილებით დამტკიცებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>177</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>178</sup> აქედან 1 შემთხვევაზე საიამ გაიზიარა ცესკოს არგუმენტაცია.

<sup>179</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 2 ნოემბრის №6119 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YQdC5O>, განახლებულია: 30.05.2021; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 20 ოქტომბრის №გ-01/99-20 საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32fe8vW>; განახლებულია: 30.05.2021; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 23 ოქტომბრის №4893 საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3de4rnH>; განახლებულია: 30.05.2021; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის 24 ოქტომბრის №5086 საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gaZM7Z>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>180</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 28 ოქტომბრის №01-02/1534 კორექსონდენცია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, <https://bit.ly/3gRnaYA>, განახლებულია: 30.05.2021; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 3 ნოემბრის №01-02/1572 კორექსონდენცია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32ZFypW>, განახლებულია: 31.05.2021; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №01-02/1588 კორექსონდენცია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3u7df5q>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>181</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლი.

სის გამოყენებას.<sup>182</sup> სამუშაო დროს ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას საჯარო მოხელეებისათვის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შეზღუდვა უკავშირდება არა მათ მიერ საჯარო რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას, არამედ მათი სამუშაო დროის, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამუშაო საათების, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის წარმოებაში დახარჯვას. ცესკოს მიდგომით, თუ A საჯარო მოხელე სამუშაო საათებში B პარტიის დროში გადაადგილდება, ამით იგი დაარღვევს კანონს, მაგრამ თუ იგივე A საჯარო მოხელე სამუშაო საათებში Facebook-ის საშუალებით პირად გვერდზე B პარტიის ლოგოს დადებს, ამით კანონი არ დაირღვევა. ამრიგად, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის ამგვარი განმარტება ქმნის შესაძლებლობას, საჯარო მოხელეებმა სამუშაო საათების განმავლობაში აგიტაცია პირადი სოციალური გვერდების საშუალებით აწარმოონ, რაც, საიას შეფასებით, ეწინააღმდეგება აგიტაციის აკრძალვის დებულების მიზნებს, საჯარო სამსახურის ნეიტრალიტეტის პრინციპს და აზიანებს წინასაარჩევნო გარემოს.

საიას აზრით, წინასაარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში მონაწილეობის ცნება უნდა დაზუსტდეს და იმგვარად განისაზღვროს, რომ სოციალური ქსელით აგიტაციის აკრძალვა სამუშაო საათების განმავლობაში ინტერპრეტაციას აღარ დაექვემდებაროს.

### ამომრჩევლის მოსყიდვა

საარჩევნო კოდექსი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში,<sup>183</sup> ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი - არასაარჩევნო დროსაც,<sup>184</sup> კრძალავს ამომრჩევლის მოსყიდვას. ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.<sup>185</sup>

საიამ უმრავლესობის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვის რამდენიმე ფაქტი გამოავლინა. ამის მაგალითია სენაკის მუნიციპალიტეტში 2 ივლისს გამართული უფასო სამედიცინო აქცია, რომელშიც „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი ვოლსკი მონაწილეობდა.<sup>186</sup> ასევე, 11 ივლისს თბილისის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის და „ქართული ოცნების“ პარტიული სიის წევრის, რიმა ბერაძის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის საჩუქრად მაცივრისა და საკვები პროდუქტების გადაცემა.<sup>187</sup> აგრეთვე, 5 აგვისტოს ქობულეთის ერთ-ერთ მარკეტში, სავარაუდოდ, მმართველი პარტიის კოორდინატორების მიერ უფასოდ ბოსტნეულის დარიგება.<sup>188</sup>

მოსყიდვაში ჩართული იყო ოპოზიციაც. ასეთი ფაქტებია: პარტია „ლელოს“ მიერ

<sup>182</sup> იქვე, 48-ე მუხლი.

<sup>183</sup> იქვე, 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>184</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 25<sup>2</sup>-ე მუხლი.

<sup>185</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 164<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>186</sup> მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოქალაქეებს, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები ჩაუტარდათ, იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 14.

<sup>187</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 8.

<sup>188</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 8.

ორგანიზაცია „მოდრაობა მომავლისთვის - მომოს“ მეშვეობით გაცემული ჰუმანიტარული დახმარებები<sup>189</sup> და გალელი სტუდენტებისთვის<sup>190</sup> სტიპენდიის დანიშვნის ინიციატივა;<sup>191</sup> პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ 6 აგვისტოს ბათუმის დრამატული და თოჯინების თეატრების მსახიობებისა და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის (ჯამში, 77 პირი) „კარფურისა“ და ირმა ინაშვილის სახელით სასურსათო კალათების დარიგება;<sup>192</sup> ფარმაცევტული კომპანია „PSP ფარმას“ რეკლამა, რომლის მიხედვითაც, ის მოქალაქეებისთვის ზოგიერთი ძვირადღირებული პრეპარატის ყოველგვარი ფასნამატის გარეშე თურქეთიდან იმპორტს უზრუნველყოფდა;<sup>193</sup> პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ავთიაქის გახსნა და „იაფი მედიკამენტების პროგრამის“ ანონსი, სადაც მისი ლიდერი კახა კუკავა მოქალაქეებს მედიკამენტების შეღავათიან ფასად მიყიდვას დაჰპირდა.<sup>194</sup>

საიას ინფორმაციით, პროკურატურაში 8 შემთხვევიდან 6-ზე მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო 2-ზე გამოძიება არ დაწყებულა.<sup>195</sup> ეუთოს რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დროული რეაგირება მოახდინონ ამომრჩეველთა მოსყიდვის შესაძლო შემთხვევებზე.<sup>196</sup> თუმცა, ამ საქმეების შესწავლა უკვე ნახევარ წელზე მეტია გრძელდება და პასუხისმგებელი პირები ჯერ კიდევ არ გამოვლენილან, რაც გამოძიების არაეფექტიანობაზე მიუთითებს. პარალელურად, ეს ნეგატიურად აისახება 2021 წლის წინასაარჩევნო კამპანიაზეც.

იმ საქმეებიდან, რომლებზეც გამოძიება არ დაწყებულა, ერთი უკავშირდება საკრებულოს დეპუტატის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახის დახმარებას, სადაც პროკურატურამ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა.<sup>197</sup> საია არ იზიარებს ამ პოზიციას და მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი არის პარტიის მიერ წარმომადგენლის მეშვეობით მოქალაქეებისთვის მატერიალური ფასულობების არაპირდაპირ გადაცემა, რაც მოსყიდვის ფარგლებში ექცევა.<sup>198</sup> მეორე შემთხვევაში, რომელიც პარტია „ლელოს“ მიერ გალელი სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის ინიციატივას შეეხება, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საიამ ინფორმაცია ვერ მოიპოვა. სოციალური სარგებლის დაპირება/გადაცემისას დიდია ალბათობა, რომ საარჩევნო სუბიექტისადმი მადლიერება პირმა საარჩევნო ყუთთან გამოსატოს. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი სოციალურად მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, დევნილებთან მიმართებით დგას. დევნილები, თავიანთი სტატუსის თანმხ-

<sup>189</sup> ორგანიზაციამ „მოდრაობა მომავლისთვის - მომოს“, 2020 წლის 1-ლ ივნისს მახინჯაურში, სამედიცინო ასოციაცია „თანას“ მიუსაფარ დედათა და ბავშვთა სახლის მობინადრეებისთვის სარეცხი მანქანა, წიგნები და სათამაშოები გადასცა, იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 11-12.

<sup>190</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არიან თუ არა სტუდენტები საქართველოს მოქალაქეები, შესაბამისი ორგანოების მხრიდან დამატებით შესწავლას მოითხოვს.

<sup>191</sup> ორგანიზაციამ „მოდრაობა მომავლისთვის - მომოს“, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების 12 გალელ სტუდენტს სტიპენდია დაუნიშნა, იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 12-13.

<sup>192</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>193</sup> მშს „PSP ფარმას“ 95%-იანი წილის მფლობელი კახა ოქრიაშვილია. ის პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერია.

<sup>194</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 18.

<sup>195</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 ნოემბრის №13/64840 წერილი.

<sup>196</sup> *Georgi,a Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report*, p. 7.

<sup>197</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 7 დეკემბრის №13/67864 წერილი.

<sup>198</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ლები უამრავი სირთულიდან გამომდინარე, მარტივად შეიძლება დაექვემდებარონ უკანონო პოლიტიკურ მანიპულაციას. ეს ფაქტი მათ პარტიებისთვის პოლიტიკური ექსპლუატაციის სამიზნედ აქცევს.<sup>199</sup> ამიტომ, აუცილებელია, საარჩევნო სუბიექტებმა წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ ამგვარი ქმედებებისას, ხოლო საგამოძიებო ორგანოებმა სათანადო რეაგირება მოახდინონ.

## **იძულება, სხვისი ნივთის დაზიანება და ძალადობრივი ქმედებები**

2020 წლის არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა. არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე<sup>200</sup> მან გადაწყვიტა, გაეზარდა ამომრჩევლის დაცულობის ხარისხი და გაემკაცრებინა პასუხისმგებლობა საარჩევნო პროცესებში შესაძლო კანონდარღვევების მიმართ. ამ მიზნით, არჩევნებზე ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, დაშინებისა და იძულების შემთხვევებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა.<sup>201</sup> საია მიესალმა ამომრჩევლის ნების კონტროლზე გავლენის აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს და, იმავდროულად, ხელისუფლებას კანონის ეფექტიანი აღსრულებისკენაც მოუწოდა.<sup>202</sup> ამის გარდა, ერთობლივ გამოწვევებთან გასამკლავებლად მემორანდუმი გაფორმდა ცესკოს თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის.<sup>203</sup> მემორანდუმი მხარეებს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის კოორდინირებულ გაცვლას, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებდა.<sup>204</sup> გარდა ამისა, ცესკომ ფასილიტაცია გაუწია პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის შემუშავებას. ის რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტი იყო და მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესებში დემოკრატიული ღირებულებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვას, სამართლიანი და თანასწორი გარემოს ხელშეწყობას.<sup>205</sup> მას 40 პოლიტიკური პარტია შეუერთდა, მათ შორის, მმართველი გუნდიც.

ამგვარი ძალისხმევის მიუხედავად, ერთობლივი მიზნების სრულფასოვნად შესრულება და არჩევნების წყნარ და მშვიდ გარემოში ჩატარება ვერც ამ არჩევნებზე მოხერხდა.

არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, იცვლებოდა პოლიტიკური კლიმატი და დაძაბულობაც სულ უფრო ღრმავდებოდა. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, აკრძალული მეთოდების გამოყენება და სპორტსმენების არაფორმალურ ჯგუფებად მობილიზება სცადა. გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის პოლი-

<sup>199</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 12-13.

<sup>200</sup> ეუთოს რეკომენდაციით „საარჩევნო კანონმდებლობის „ბოლო წუთს“ მიღებით, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას ნდობას პროცესების მიმართ და არ დატოვოს იმის შესაძლებლობა, რომ საარჩევნო პროცესებში ჩართული სუბიექტები და ამომრჩევლები ამ წესებს დროულად გაეცნონ“, იხ. *Guidelines for Reviewing a Legal Framework for Elections, Second Edition* (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2013), p. 11, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iG59ub>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>201</sup> ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №12 სექტემბერი 1 - ოქტომბერი 1, 2020*, გვ. 1.

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> „ცესკოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს“, *ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი*, 2020 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eYttXp>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>204</sup> იქვე.

<sup>205</sup> პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, *ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/315eCV1>, განახლებულია: 30.05.2021.

ციის მთავარ სამმართველოში კონსპირაციული შეხვედრა გაიმართა, სადაც აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის, თორნიკე რიჟვაძის მამამ და პოლიციის უფროსმა კონსტანტინე ანანიასვილმა მოჭიდავეებს, არჩევნებზე დახმარების სანაცვლოდ, ფული და სხვადასხვა ტიპის სარგებელი შესთავაზეს.<sup>206</sup> მცირე ხნის შემდეგ ამ შეხვედრის მონაწილე ორი სპორტსმენი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.<sup>207</sup> დაკავებულების ოჯახის წევრების თქმით, ეს იყო სასჯელი დახმარებაზე უარის თქმის გამო.<sup>208</sup> პროკურატურის ინფორმაციით, აჭარის მაღალჩინოსნების კონსპირაციული შეხვედრის ფაქტზე ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.<sup>209</sup>

საიასთავის ცნობილი გახდა „ქართული ოცნების“ მხრიდან საჯარო მოხელეების სავარაუდო მობილიზების შესახებ, დაშინებისა და იძულების გზით. გავრცელებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც მმართველ პარტიაში შეიტყვეს, რომ თბილისის უბანს აგებდნენ, კოორდინატორებს დაევაალათ საჯარო მოხელეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხმების მოპოვების მიზნით.<sup>210</sup> შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.<sup>211</sup>

ზემოაღნიშნულის გარდა, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საიამ ზეწოლის, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და აქტივისტებზე თავდასხმის, მათი ოფისების დარბევისა და ძალადობის შემთხვევებიც აღრიცხა.

საარჩევნო კამპანიისას დაშინებასა და ზეწოლაზე რამდენჯერმე ისაუბრა პარტია „ლელომ“. ერთ შემთხვევაში, მათი წარმომადგენლის განცხადებით, „ქართული ოცნების“ კოორდინატორი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოციალური დახმარებისა და უფასო სასადილოს სერვისზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით დაემუქრნენ მათ წევრს, თუ იგი ოპოზიციის მხარდაჭერას განაგრძობდა.<sup>212</sup> კიდევ ერთი საქმე ეხება „ლელოს“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელ ირაკლი მატუას, რომელმაც „ქართული ოცნების“ ზუგდიდის საკრებულოს წევრები მუქარასა და ზეწოლაში დაადანაშაულა.<sup>213</sup> მისი თქმით, საკრებულოს წევრ თაზო ფაცაცას დავალებით, მას ტელეფონით დაუკავშირდა მეორე წევრი ოთარ ქადარია და შეხვედრა სთხოვა.<sup>214</sup> „ლელოდან“ წამოსვლის სანაცვლოდ, მას სახელმწიფო ა(ა)იპ-ში დასაქმება შესთავაზეს, უარის შემდეგ კი დაემუქრნენ.<sup>215</sup> საარჩევნო კამპანიიდან ჩამოშორების სანაცვლოდ, მას გადასცეს თანხა, რომელიც, მისი თქმით, დაშინების გამო აიღო.<sup>216</sup> კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდება „ლელოს“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პრესსამსახურის უფროს დიმა კვარაცხელიას, რომელმაც განაცხადა, რომ მას „ქართული ოცნების“ ჯვარის შტაბის წარმომადგენელი გულბათ ქარდავა დაემუქრა.<sup>217</sup> მმართველი გუნდის საარჩევნო შტაბში მუქარის ბრა-

<sup>206</sup> ამ ფაქტზე დეტალური ინფორმაცია იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 16-17.

<sup>207</sup> იქვე.

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 ნოემბრის №13/64840 წერილი.

<sup>210</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 9.

<sup>211</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>212</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, გვ. 9.

<sup>213</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>214</sup> იქვე.

<sup>215</sup> იქვე.

<sup>216</sup> იქვე.

<sup>217</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 10-11.



ლდება უარყვეს.<sup>218</sup>

ზემოხსენებულ ფაქტებზე გამოძიების მიმდინარეობის დაკვირვების მიზნით სა-  
იამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. შსს-ს ინფორმაციით, „ლელოს“ წევ-  
რის (რომელიც აგრეთვე სოციალურად დაუცველია) მიმართ სავარაუდო ზეწოლის  
თაობაზე გამოძიება არ დაწყებულა.<sup>219</sup> საია მიიჩნევს, რომ სამართალდამცავების  
მხრიდან ამ ფაქტში დანაშაულის ნიშნების არსებობის უგულებელყოფა უარყოფი-  
თი ეპიზოდია წინასაარჩევნო გარემოს ფორმირების პროცესში. რაც შეეხება სხვა  
მუქარის ბრალდებებს, ერთ შემთხვევაში, სადაც საკრებულოს წევრები ფიგურირე-  
ბენ, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება იძულების  
მუხლით<sup>220</sup> მიმდინარეობს.<sup>221</sup> რაც შეეხება „ლელოს“ დეპუტატობის კანდიდატის  
პრესსამსახურის უფროსის საქმეს, შსს-ს ინფორმაციით, 2020 წლის 12 ოქტომბერს  
სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლები უშუალოდ  
გაესაუბრნენ დაზარალებულს და სხვა პირებს.<sup>222</sup> ვინაიდან დანაშაულის ნიშნები არ  
იკვეთებოდა, გამოძიება არ დაწყებულა.<sup>223</sup> თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით,  
ეს ინციდენტი შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის რამდენიმე ნიშანს, რო-  
გორცაა იძულება<sup>224</sup> და პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება-დამუშა-  
ვება.<sup>225</sup> შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ მასზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო.

საიამ ოპოზიციური პარტიის ლიდერებზე, მათ წარმომადგენლებსა და აქტივისტებ-  
ზე თავდასხმის, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, კამპანიის დროს ფიზიკუ-  
რი დაპირისპირების არაერთი შემთხვევა აღრიცხა.

- ❖ 13 აგვისტოს პარტია „ხალხისთვის“ ლიდერ ანა დოლიძესა და მის მხარდამ-  
ჭერებს საარჩევნო კამპანიის დროს წერეთლის №105-ში უცნობმა პირებმა სი-  
ტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დაემუქრნენ.<sup>226</sup> ისინი პარტიის წარმომად-  
გენლებს ამომრჩევლებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდნენ და მათგან  
ტერიტორიის დატოვებას მოითხოვდნენ.<sup>227</sup> შსს-ს ინფორმაციით, ამ ფაქტზე გა-  
მოძიება მუქარის<sup>228</sup> ბრალდებით მიმდინარეობს,<sup>229</sup>
- ❖ 4 სექტემბერს „ლელოს“ წევრ გიორგი გლურჯიძეს რამდენიმე პირი, სავარაუ-  
დოდ, პოლიტიკური მოტივით დაესხა თავს, რის შედეგადაც მან ტვინის შერყე-  
ვა მიიღო.<sup>230</sup> ლევან სამუშიას თქმით, ამ ფაქტს მოწმეებიც შეესწრნენ.<sup>231</sup> შსს-ს  
ინფორმაციით, ამ ფაქტზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო  
ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გ.დ. ძალადობის ბრალდე-

<sup>218</sup> იქვე.

<sup>219</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>220</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>221</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის წერილი.

<sup>222</sup> იქვე.

<sup>223</sup> იქვე.

<sup>224</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>225</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 10-11.

<sup>226</sup> პარტიამ საიას გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიას დამატებითი ინფორმაცია მოაწოდა. მათ მიერ  
გამოგზავნილ ვიდეოში ისმის აგრესიული გამოძახილები და გინება, იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020  
წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 20.

<sup>227</sup> იქვე.

<sup>228</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>229</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>230</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, გვ. 10.

<sup>231</sup> იქვე.

ბით დააკავეს, ხოლო გამოძიება ძალადობის მუხლით<sup>232</sup> გაგრძელდა.<sup>233</sup>

- ❖ 9 სექტემბერს პარტია „ლელოს“ ზუგდიდის მაჟორიტარული კანდიდატის თამარ ბელქანიას წარდგენის ღონისძიებაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფონზე ჩატარდა.<sup>234</sup> იქ მისულ მოქალაქეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.<sup>235</sup> შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე დაიწყო ადმინისტრაციული მოკვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოქალაქე ჯ.მ. ადგილზე შეკრებილ „ლელოს“ მხარდამჭერებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც, მის მიმართ 2020 წლის 25 სექტემბერს წვრილმანი ხულიგნობის<sup>236</sup> საფუძველით შედგა სამართალდარღვევის ოქმი.<sup>237</sup> ეს ინციდენტი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ამიტომ საიას შეფასებით მასზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო.
- ❖ 9 სექტემბერს პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლებს კამპანიის წარმოებისას უცნობი პირები დაესხნენ თავს.<sup>238</sup> მათ აქტივისტებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, პარტიის ბანერი ჩამოხიეს და კარვები დააზიანეს.<sup>239</sup> ამ ინციდენტზე გამოძიება დაიწყო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ბრალდებით.<sup>240</sup> შსს-ს ინფორმაციით ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, დაინიშნა ექსპერტიზა და გამოიკითხნენ მოწმეები, რის შედეგადაც, შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და ორ პირს წვრილმანი ხულიგნობისთვის<sup>241</sup> დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.<sup>242</sup>
- ❖ 16 სექტემბერს პარტია „ლეიბორისტების“ აქტივისტების მიერ სააგიტაციო მასალების გაკვრისას მათსა და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება მოხდა.<sup>243</sup> ერთ-ერთი პირი აცხადებდა, რომ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი მას დაემუქრა.<sup>244</sup> შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე გამოძიება მუქარის მუხლით დაიწყო.<sup>245</sup> გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა,<sup>246</sup>
- ❖ 18 და 24 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.<sup>247</sup> საგამოძიებო პროცესი ერთ შემთხვე-

<sup>232</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 11 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>233</sup> ამ ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ შსს-მ ვერ მოიძია ინფორმაცია, ამიტომ ვეყრდნობით ოფიციალურ წყაროს იხ. „შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, 05 სექტემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3doXeRA>, განახლებულია: 28.06.2021.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 9-10.

<sup>235</sup> იქვე.

<sup>236</sup> საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

<sup>237</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 17 ივნისის წერილი.

<sup>238</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 10-11.

<sup>239</sup> იქვე.

<sup>240</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>241</sup> საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

<sup>242</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 17 ივნისის წერილი.

<sup>243</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 11-12;

<sup>244</sup> იქვე.

<sup>245</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>246</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>247</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 12.

ვამი ჯგუფური ძალადობის,<sup>248</sup> ხოლო მეორეში - ძალადობის<sup>249</sup> და ტელეფონის დაზიანების ფაქტზე<sup>250</sup> მიმდინარეობს;<sup>251</sup>

- ❖ 27 სექტემბერს გლდანულაში მოსახლეობასთან შეხვედრისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერ ნიკა მელიას ქვები დაუშინეს.<sup>252</sup> შსს-ს ინფორმაციით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები;<sup>253</sup>
- ❖ 11 ოქტომბერს „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ სამგორის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბის წევრ ლევან ქართველიშვილს დაესხნენ თავს.<sup>254</sup> გამოძიება იმავე დღეს დაიწყო ჯგუფური ძალადობის ფაქტზე<sup>255</sup> და ის ჯერ არ დასრულებულა;<sup>256</sup>
- ❖ 12 ოქტომბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში ოქტაი სკანდაროვს, რომელიც, სავარაუდოდ, პარტია „ევროპული საქართველოს წევრია“, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.<sup>257</sup> გამოკითხვის შემდეგ მან „მთავარ არხს“ განუცხადა, რომ ეს შემთხვევა პოლიტიკური მოტივით არ მომხდარა და იგი მმართველი პარტიის წარმომადგენელია.<sup>258</sup> თუმცა, „ევროპული საქართველოს“ გარდაბნის რაიონის შტაბის ხელმძღვანელმა გაბილ გასიმოვმა მომხდართან დაკავშირებით განმარტა, რომ ოქტაი სკანდაროვს ჩვენება შეაცვლევინეს და, სინამდვილეში, ის მათი პარტიის წევრია.<sup>259</sup> ამ ინციდენტზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო<sup>260</sup> და ის არ დასრულებულა;<sup>261</sup>
- ❖ 19 ოქტომბერს ბოლნისში მანქანას, რომელშიც „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერები ისხდნენ, ესროლეს.<sup>262</sup> გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენებისა<sup>263</sup> და სხვისი ნივთის დაზიანების<sup>264</sup> ფაქტზე მიმდინარეობს;<sup>265</sup>
- ❖ 28 ოქტომბერს, „ლეიბორისტული პარტიის“ ინფორმაციით, პარტიის აქტივისტებს სოფელ მარტყოფში ფლავერების დარიგებისა და მოქალაქეებთან შეხვედრის დროს დაესხნენ თავს.<sup>266</sup> პარტიის განცხადებით, „ქართული ოცნების“

<sup>248</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>249</sup> იქვე, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>250</sup> იქვე, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>251</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>252</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, გვ. 12-13.

<sup>253</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>254</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 9.

<sup>255</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>256</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 3 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>257</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 10.

<sup>258</sup> იქვე.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>261</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>262</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 12.

<sup>263</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

<sup>264</sup> იქვე, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>265</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>266</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში*, გვ. 8.

ოთხმა მხარდამჭერმა ახალგაზრდებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და საა-გიტაციო მასალა გაუნადგურა, ხოლო მას შემდეგ, რაც აქტივისტებმა აგიტაცია არ შეწყვიტეს, ადგილზე მანქანით მივიდნენ პირები, რომლებმაც მათ მიმართ ფიზიკური ძალა გამოიყენეს და აიძულეს, სოფელი დაეტოვებინათ.<sup>267</sup> პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის თქმით, თავდასხმაში გარდაბნის მერის მრჩეველი გიორგი შინჯიაშვილი მონაწილეობდა.<sup>268</sup> შსს-ს ინფორმაციით, პარტიის აქტივისტებთან გასაუბრების შედეგად, მათ მიმართ რაიმე სახის შეურაცხყოფის ფაქტი არ გამოკვეთილა, ამიტომ გამოძიება არ დაწყებულა.<sup>269</sup> საია მიიჩნევს, რომ ეს საქმე შეიცავს ჯგუფური ძალადობის ნიშნებს და მნიშვნელოვანია, რომ მასზე გამოძიება დაწყებულიყო.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებზე თავდასხმის რამდენიმე ინციდენტი 31 ოქტომბრის შემდეგ, მეორე ტურამდეც მოხდა.

- ❖ 7 ნოემბერს ბათუმში, ე.წ. „ხოფას ბაზრობის“ ტერიტორიაზე, ოპოზიციის წარმომადგენლებს ფლაერების დარიგებისას თავს უცნობი პირები დაესხნენ.<sup>270</sup> შსს-მ პირველ ფაქტზე ჯგუფური ძალადობის მუხლით<sup>271</sup> დაიწყო გამოძიება;<sup>272</sup>
- ❖ 10 ნოემბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ განცხადებით, მათი პარტიის წევრ ლაშა ქველადეს ოჯახში მიუვარდნენ „ქართული ოცნების“ საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები.<sup>273</sup> ლაშა ქველადემ განმარტა, რომ მის საცხოვრებელთან მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძე თანმხლებ პირებთან ერთად ნასვამ მდგომარეობაში მიიჭრა და ოჯახის წევრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.<sup>274</sup> ამ დროს თვითონ სახლში არ იმყოფებოდა. ამ ინციდენტზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.<sup>275</sup> საიას შეფასებით ამ საქმეზე უნდა დაწყებულიყო სისხლის სამართლის გამოძიება.

წინასაარჩევნო პერიოდში ცნობილი გახდა ოპოზიციური პარტიების ოფისებზე თავდასხმის შესახებ.

- ❖ 26 ივნისს გორში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისი დაარბიეს.<sup>276</sup> ამ საქმეზე გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე დაიწყო. პოლიციამ 1969 წელს დაბადებული მამაკაცი დ.მ. დააკავა.<sup>277</sup> გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქვეები დაუშინა ენმ-ის გორის ოფისის შენობის შუშებს და ჩაამსხვრია, ასევე, ოფისიდან გამოიტანა ტელევიზორი, კომპიუტერის მონიტორი და დაზიანა.<sup>278</sup> ეს საქმე სასამართლოში წარიმართა;<sup>279</sup>

<sup>267</sup> იქვე.

<sup>268</sup> იქვე.

<sup>269</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>270</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში, გვ. 9.

<sup>271</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>272</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>273</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში, გვ. 9-10.

<sup>274</sup> იქვე.

<sup>275</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>276</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო, გვ. 17-18.

<sup>277</sup> იქვე.

<sup>278</sup> იქვე.

<sup>279</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

- ❖ 18 სექტემბერს იმავე პარტიის სამგორის საარჩევნო შტაბი გახდა თავდასხმის ობიექტი.<sup>280</sup> შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე.<sup>281</sup> ის ჯერ არ დასრულებულა.<sup>282</sup>
- ❖ 13 ოქტომბერს უცნობი პირები შეეცადნენ, „ევროპული საქართველოს“ ქუთაისის ოფისი დაეზიანებინათ.<sup>283</sup> შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. მათ წარსულში ნასამართლევ პირი ამხილეს და დაადგინეს, რომ მიყენებული ზარალი 80 ლარს შეადგენდა.<sup>284</sup> ვინაიდან მომხდარი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა, საქმე ადმინისტრაციული წესით განსახილველად სასამართლოში გადაიგზავნა.<sup>285</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მომხდარი წვრილმან ხულიგნობად შეაფასა<sup>286</sup> და პირს სიტყვიერი შენიშვნა მისცა;<sup>287</sup>
- ❖ 16 ნოემბერს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისი დაიწვა.<sup>288</sup> სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, ჩადენილი ცეცლის წაკიდებით.<sup>289</sup> მიმდინარე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.<sup>290</sup>

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არაერთი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ინციდენტი მოხდა.

- ❖ ახალციხეში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი ენზელ მკოიანი და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი სამველ პეტროსიანი და მათი მხარდამჭერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.<sup>291</sup> 26 მარტს ამ საქმეზე გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო, თუმცა შეიცვალა კვალიფიკაცია და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისა და ჯგუფური ხულიგნობის ბრალდებით გაგრძელდა. 29 მარტს სამართალდამცავებმა სამველ პეტროსიანი და ენზელ მკოიანის ძმისშვილი დააკავეს.<sup>292</sup> გამოძიებით დადგინდა, რომ სიტყვიერი დაპირისპირების დროს ბრალდებულებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლეს.<sup>293</sup> მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.<sup>294</sup> ამ ინციდენტში იკვეთება პრობლემური გარემოება - გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში ჩანს, როგორ იყენებს იარაღს დეპუტატი მკოიანი, თუმცა იქ მყოფ პოლიციელს უკანონო ქმედების აღსაკვეთად ზომები არ მიუღია;

<sup>280</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, გვ. 12.

<sup>281</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>282</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>283</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 10.

<sup>284</sup> იქვე.

<sup>285</sup> იქვე.

<sup>286</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 166-ე მუხლი.

<sup>287</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, *შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი*, 2020 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dSO3ro>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>288</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში*, გვ. 10.

<sup>289</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>290</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>291</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 18-19.

<sup>292</sup> იქვე.

<sup>293</sup> იქვე.

<sup>294</sup> იქვე.



შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 2020 წლის 25 მარტს ძალადობისა<sup>295</sup> და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა, შენახვისა და ტარების ფაქტზე<sup>296</sup> დაიწყო.<sup>297</sup> 2020 წლის 27 მარტს, აღნიშნულ საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვით და ტარებით<sup>298</sup> და ჯგუფური ხულიგნობისა ჩადენილი იარაღით.<sup>299</sup> ეს საქმე წარიმართა სასამართლოში.<sup>300</sup>

- ❖ 16 ოქტომბერს შიდა ქართლში, გორში, სოფელ ახალუბანში, ერთმანეთს „ქართული ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ აქტივისტები დაუპირისპირდნენ.<sup>301</sup> მმართველი პარტიის განმარტებით, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი მოსახლეობას ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა.<sup>302</sup> მუქარა მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს „ევროპული საქართველოს“ წევრის მიერ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატის ჩამოხვევის გამო.<sup>303</sup> ამ ინციდენტზე შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება<sup>304</sup> ამჟამადც მიმდინარეობს;<sup>305</sup>
- ❖ 27 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში დაპირისპირება მოხდა გაერთიანებული ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის.<sup>306</sup> დაპირისპირებისას რამდენიმე მოქალაქე დაშავდა.<sup>307</sup> ერთ-ერთი მათგანის თქმით, ადგილობრივ ჩაიხანასთან მყოფ ოპოზიციის წევრებთან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, მათ შორის, მაჟორიტარობის კანდიდატის, გოგი მეშველიანის ძმა მივიდნენ და თავს დაესხნენ.<sup>308</sup> გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო,<sup>309</sup> ხოლო 2 ოქტომბერს ამ საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და ის ჯგუფური ძალადობისა<sup>310</sup> და ძალადობის<sup>311</sup> მუხლებით გაგრძელდა.<sup>312</sup> საქმე სასამართლოში გადაიგზავნა.<sup>313</sup>
- ❖ 29 სექტემბერს მარნეულში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები.<sup>314</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების აქცია მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიასთან მალევე

<sup>295</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>296</sup> იქვე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

<sup>297</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>298</sup> იქვე, 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილები.

<sup>299</sup> იქვე, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილი.

<sup>300</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>301</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, 2020, გვ. 11-12.

<sup>302</sup> იქვე.

<sup>303</sup> იქვე.

<sup>304</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>305</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>306</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, 2020, გვ. 13.

<sup>307</sup> იქვე.

<sup>308</sup> იქვე.

<sup>309</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

<sup>310</sup> იქვე.

<sup>311</sup> იქვე, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>312</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>313</sup> იქვე.

<sup>314</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, 2020, გვ. 13-14.

გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში.<sup>315</sup> „მთავარი არხის“ ინფორმაციით, თავად მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარე და „ქართული ოცნების“ წევრი ამირან გიორგაძე მონაწილეობდა დაპირისპირებაში და უსწორდებოდა აქციის მონაწილეებს.<sup>316</sup> მწვავე დაპირისპირების შედეგად, რომელმაც მთელ დღეს გასტანა, დაშავდნენ ჟურნალისტები, აქტივისტები და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები.<sup>317</sup> „მთავარ არხს“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს ტექნიკა დაუზიანდათ. მეორე დღით თბილისი-მარნეულის გზაზე სასტიკად გაუსწორდნენ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი შტაბის თანამშრომელს. ამ ინციდენტზე გამოძიება მიმდინარეობს 3 მიმართულებით: მოქალაქეთა მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე ძალადობის მუხლით;<sup>318</sup> 2020 წლის 2 ოქტომბერს ამ საქმეზე კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება გაგრძელდა არჩევნებში ნების განხორციელების ხელშეშლის მუხლით<sup>319</sup> (საქმე წარმართა სასამართლოში<sup>320</sup>); ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტზე<sup>321</sup> გამოძიება გრძელდება.<sup>322</sup> ძალადობის ფაქტზე<sup>323</sup> საქმე წარმართა სასამართლოში;<sup>324</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ინციდენტი ეწინააღმდეგებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობის მიერ ხელმოწერილ ქვეყის კოდექსს, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობდნენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მიმართავდნენ ძალადობას და არც მისი გამოყენებისკენ მოუწოდებდნენ;

- ❖ 21 ოქტომბერს დმანისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, რამდენიმე ადამიანი დაშავდა.<sup>325</sup> ამ ინციდენტზე გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად სამი პირის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე<sup>326</sup> მიმდინარეობს და ჯერ არ დასრულებულა.<sup>327</sup>

საერთო ჯამში, 28 შემთხვევიდან<sup>328</sup> 19-ზე მიმდინარეობს გამოძიება,<sup>329</sup> 3-ზე გამო-

<sup>315</sup> იქვე.

<sup>316</sup> იქვე.

<sup>317</sup> იქვე.

<sup>318</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>319</sup> იქვე, 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>320</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>321</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>322</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>323</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>324</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>325</sup> იქვე.

<sup>326</sup> იქვე, 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

<sup>327</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 19 თებერვლის და 17 ივნისის წერილები.

<sup>328</sup> მათგან ერთი შემთხვევა დანაშაულის სერიებად იყოფა.

<sup>329</sup> (1) სპორტსმენების მობილიზება აჭარაში; (2) „ლელოს“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლის მიმართ „ქართული ოცნების“ ზუგდიდის საკრებულოს წევრების მხრიდან სავარაუდო ზეწოლა; (3) 16 სექტემბერს „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე თავდასხმა; (4) 18 სექტემბერს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სამგორის საარჩევნო შტაბის ოფისი დარბევა; (5) 16 ნოემბერს, გლდანში, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“, ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისის დარბევა; (6) 13 აგვისტოს ანა დოლიძესა და მის მხარდამჭერებზე თავდასხმა; (7) 4 სექტემბერს პარტია „ლელოს“ წევრზე თავდასხმა; (8) 18 სექტემბერს თავდასხმა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტზე; (9) 24 სექტემბერს კიდე ერთი თავდასხმა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტზე; (10) 27 სექტემბერს ნიკა მელიას ქვები დაუშინეს; (11) 29 სექტემბერს „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირება მარნეულში (საქმე ნაწილობრივ წარმართა სასამართლოში/ გამოძიება გრძელდება); (12) 11 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრზე თავდასხმა; (13) 12 ოქტომბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, „ევროპული საქართველოს“ წევრზე თავდასხმა;

ძიება არ დაწყებულა,<sup>330</sup> 1 საქმეზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება<sup>331</sup> და 3 წარიმართა სასამართლოში და შედგა სამართალდარღვევის ოქმი<sup>332</sup> ხოლო 2 საქმე წარიმართა სასამართლოში და შესაბამის პირებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა.<sup>333</sup> როგორც გამოჩნდა, საქმეთა 2/3 -ზე მეტ შემთხვევაში გამოძიება ჭიანჭურდება და პასუხისმგებელი პირები ჯერ კიდევ არ არიან გამოვლენილნი. საია მიიჩნევს, რომ შესაბამისი უწყებების მხრიდან საჭიროა უფრო ეფექტიანი რეაგირება, გამოძიების ოპერატიულად დასრულება და დამნაშავეთა დასჯა. იმ საქმეებზე, სადაც გამოძიება არ დაწყებულა, საიას შეფასებით, არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და საგამოძიებო ორგანოები ვალდებული იყვნენ, რეაგირება მოეხდინათ. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს რეაგირება ამგვარ ფაქტებზე არადაამაყოფილებელია და ნორმალური წინასაარჩევნო გარემოს ფორმირებაში სათანადო წვლილი ვერ შეაქვს.

### სახელმწიფოს მიერ ოპოზიციის საარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრაციის წესის თანახმად, პარტიას, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ცესკოს თავმჯდომარისთვის არჩევნების წლის პირველი იანვრიდან 15 ივლისამდე ინტერვალში უნდა მიემართა.<sup>334</sup> ეს წესი ეხებოდა იმ პარტიებს, რომლებსაც პარლამენტში წარმომადგენელი იმ დროისთვის არ ჰყავდათ.<sup>335</sup> თუ პარტია რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა, ცესკო უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.<sup>336</sup>

2020 წლის არჩევნებში ცესკომ „რესპუბლიკური პარტია“ საარჩევნო სუბიექტად არ დაარეგისტრირა.<sup>337</sup> საარჩევნო ადმინისტრაციამ ამის მიზეზად პარტიის მიერ გაცხადების კანონით დადგენილი ვადის დარღვევა დაასახელა.<sup>338</sup> პარტიის წარმო-

(14) 16 ოქტომბერს, შიდა ქართლში, სოფელ ახალუბანში, „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება; (15) 19 ოქტომბერს, ბოლნისში, კახა ოქრიაშვილის მხარდაჭერებზე თავდასხმა; (16) 21 ოქტომბერს, დმანისში, „ქართული ოცნების“ ოფისთან მომხდარი ინციდენტი; (17) 7 ნოემბერს, ბათუმში, ოპოზიციის წარმომადგენლებზე თავდასხმა; (18) საჯარო მოხელეებზე სავარაუდო ზეწოლა (19) 27 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში გაერთიანებული ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის დაპირისპირების ინციდენტი (ეს საქმე წარიმართა სასამართლოში).

<sup>330</sup> (1) პარტია „ლელოს“ სოციალურად დაუცველ წევრზე სავარაუდო ზეწოლა; (2) პარტია „ლელოს“ პრესსამსახურის უფროსზე ზეწოლა და კომპიუტერში უკანონო შეღწევა; (3) 28 ოქტომბერს, სოფელ მარტყოფში, „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებზე თავდასხმა.

<sup>331</sup> (1) 9 სექტემბერს დაპირისპირება ზუგდიდში „ლელოს“ მაჟორიტარული კანდიდატის წარდგენის ღონისძიებაზე; (2) 9 სექტემბერს თავდასხმა „სტრატეგია აღმაშენებლის“ აქტივისტებზე ვარკეთილის მეტროსთან; (3) „ევროპული საქართველოს“ ოფისის აგური ესროლეს, რაც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საქმე წვრილმან ხულიგნობად შეაფასა და პირს სიტყვიერი შენიშვნა მისცა;

<sup>332</sup> 10 ნოემბერს მარნეულში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ოჯახზე თავდასხმა.

<sup>333</sup> (1) 26 ივნისს გორში პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დარბევაზე 1969 წელს დაბადებული მამაკაცი დ.შ. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქვები დაუშინა ენმ-ის გორის ოფისის შენობის შუშებს და დააზიანა; (2) ნინოწმინდა-ახალქალაქის მაჟორიტარ დეპუტატ ენზელ მკოიანსა და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრ სამველ პეტროსიანს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე ორი პირი დააკავეს.

<sup>334</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>335</sup> იქვე.

<sup>336</sup> იქვე, მე-10 ნაწილი.

<sup>337</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო, გვ. 21-22.

<sup>338</sup> იქვე.

მადგენლებმა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გაასაჩივრეს.<sup>339</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული სარჩელი დაკმაყოფილდა. მათ კანონმდებლობის მოთხოვნა არ დაურღვევიათ და განცხადება საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის მოთხოვნით, დადგენილ ვადაში, 14 ივლისს ჩააბარეს ფოსტას. განცხადება ცესკომ მომდევნო დღეს - 15 ივლისს მიიღო. საია მიესალმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და კანონის ამგვარ ინტერპრეტაციას.

პარტიებმა აქტივობები წინასარჩევნო კამპანიის ოფიციალური დაწყების თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე წამოიწყეს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მათ ამის საშუალება არ მიეცათ. მაგალითად, 9 ივლისს პარტია „ლელოს“ წარმომადგენლები სოფელ დიციში მოსახლეობასთან შეხვედრას გეგმავდნენ, მაგრამ ისინი სამართალდამცავებმა არ შეუშვეს.<sup>340</sup> „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კოჭორიძემ განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ამ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართა, პრობლემა მოიხსნა.<sup>341</sup> ეს არ არის კამპანიის ხელშეშლის ერთადერთი შემთხვევა „ლელოსთან“ დაკავშირებით. 25 სექტემბერს პარტიის აქტივისტებს თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე სკვერთან, გამლილი ჰქონდათ ტენტი და სააგიტაციო მასალები (გაზეთები, ფლაერები), თუმცა მერიის საზედამხედველო სამსახურმა კამპანიისთვის საჭირო ინვენტარი ააღებინა.<sup>342</sup> ამის საპასუხოდ, აქტივისტებმა მოშორებით ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, თუმცა მერიის წარმომადგენლებმა მათ კვლავ მოსთხოვეს ადგილის დატოვება.<sup>343</sup> პარტია „ლელოს“ აქტივისტები იმავე პრობლემის წინაშე დადგნენ 28 სექტემბერს სააგიტაციო მასალების განთავსებისას ახმეტელის მეტროს შესასვლელის წინ.

მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლებმა პარტიის წარმომადგენლებს კარვის და მაგიდის აღება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იერსახის თვითნებურად შეცვლის აკრძალვის მოტივით მოსთხოვეს.<sup>344</sup> კანონით, დახლების ან სხვა მსუბუქი კონსტრუქციების განთავსების აკრძალვის<sup>345</sup> მიზანია ქალაქის იერსახის დაცვა თვითნებური ჩარევებისგან.<sup>346</sup> ტერმინი „მსუბუქი კონსტრუქცია“ ფართო ცნებაა და მნიშვნელოვანია, რომ იგი განიმარტებოდეს ნორმის მიზნიდან გამომდინარე, იმგვარად, რომ ადამიანის უფლებები არაპროპორციულად არ შეიზღუდოს.<sup>347</sup> ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პარტიის აქტივისტების მიერ კარვის გაშლა ხანმოკლე აქტივობა იყო, რომელიც პოლიტიკურ აგიტაციას ემსახურებოდა, კანონმდებელს კი მიზნად არ ჰქონია ამგვარი ატრიბუტების გამოყენების შეზღუდვა.<sup>348</sup> აგიტაციის მიზნებისთვის დროებით ტენტების დადგმის აკრძალვა, საიას შეფასებით, არაპროპორციული შე-

<sup>339</sup> იქვე.

<sup>340</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო, გვ. 18.

<sup>341</sup> იქვე.

<sup>342</sup> მერიის საზედამხედველო სამსახურმა განმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის 150 მეტრის რადიუსში კონსტრუქციის განთავსება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სულხან-საბას ქ. №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი იყო.

<sup>343</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო, გვ. 18.

<sup>344</sup> იქვე.

<sup>345</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 150<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

<sup>346</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 15.

<sup>347</sup> იქვე.

<sup>348</sup> იქვე.

ზღუდვას, რომელიც კანონის არასწორ ინტერპრეტაციას ეფუძნება.<sup>349</sup>

კიდევ ერთ ოპოზიციურ პარტიას შეუზღუდა საარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა და, ამის გამო, საკმაოდ მძიმე ფინანსური პასუხისმგებლობის წინაშე დადგა. პარტია „სტრატეგია აღმაშენებელს“ წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ტენდების განთავსებისთვის, თვითმმართველობის იერსახის დამახინჯებისთვის,<sup>350</sup> გამოწერილი აქვს 58,000 ლარის ოდენობის ჯარიმები.<sup>351</sup> 5 ოქტომბერს პარტიამ მერიასთან აქცია-პერფორმანსი გამართა, სადაც მისი წევრები და მხარდამჭერები გამოწერილ ჯარიმებს აპროტესტებდნენ.<sup>352</sup> ადგილზე წინასწარ იყო მოხილიზებული მერიის დაცვის სამსახური, რომელსაც რკინის ჯებირებით ჰქონდა ჩახერგილი შენობის ცენტრალური შესასვლელი.<sup>353</sup> პარტიის ლიდერთა მოთხოვნას, გაეხსნათ მოქალაქეთა მისაღები და მიეცათ განცხადების შეტანის შესაძლებლობა, მერიის დაცვის სამსახურმა და პოლიციელებმა უარით უპასუხეს.<sup>354</sup> ამას მოჰყვა „სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივნისა და აქტივისტების დაკავება, სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველზე.<sup>355</sup> პოლიცია, პარალელურად, მერიის წინ განთავსებული კარავების დამლას შეუდგა.<sup>356</sup> დაკავებულები იმავე დღეს გაათავისუფლეს.<sup>357</sup>

აქციის მიმდინარეობისას სხვადასხვა კონსტრუქციის დადგმა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით დაცულ სფეროში ექცევა. ის მხოლოდ მაშინ არის დაუშვებელი, თუ ტრანსპორტის სავალ ნაწილს კეტავს.<sup>358</sup> მოცემულ შემთხვევაში ტენდების განლაგება ტრანსპორტის გადაადგილებას ხელს არ უშლიდა. ამდენად, მათი აღება იყო უსაფუძვლო და შეკრების თავისუფლებაში არაპროპორციული და არააუცილებელი ჩარევა.

კამპანიის ხელშემშლის კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდება ოპოზიციურ პარტიას - „ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა“. პარტიის ლიდერს ნინო ბურჯანაძეს ქარელის მუნიციპალიტეტმა უარი უთხრა ქარელის კულტურის სახლის სკვერში მოსახლეობასთან შეხვედრის გამართვაზე, ვინაიდან, მათი თქმით, ამით გადაადგილებაში ხელი შეეშლებოდათ კულტურის სახლში განთავსებულ სახელოვნებო წრეებსა და ცეკვის სტუდიებში დასაქმებულ და მოსარგებლე პირებს.<sup>359</sup> საიამ ეს შემთხვევაც შეკრების თავისუფლებაში უსაფუძვლო ჩარევად შეაფასა. კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი

<sup>349</sup> იქვე.

<sup>350</sup> პარტიის მოწოდებული ჯარიმის ქვითრის მიხედვით, 1000-ლარიანი ჯარიმა გამოწერილია აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>3</sup>-ე მუხლის მიხედვით.

<sup>351</sup> პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახელზე ფიქსირდება სულ 34 ჯარიმა. აქედან 33 ჯარიმა გასაჩივრებულია სასამართლოში, ხოლო 1-ის გასაჩივრებას პარტია უახლოეს მომავალში გეგმავს. საერთო ჯამში, ჯარიმების თანხის ოდენობა შეადგენს 58,000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარს. ამასთანავე, განმეორებითი ჯარიმა პარტიას არ ჰქონია, იხ. პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლის 2021 წლის 15 აპრილის წერილი.

<sup>352</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 14-15.

<sup>353</sup> იქვე.

<sup>354</sup> იქვე.

<sup>355</sup> იქვე.

<sup>356</sup> იქვე.

<sup>357</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, გვ. 14-15.

<sup>358</sup> შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონი, მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>359</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, გვ. 16.



ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობას, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება,<sup>360</sup> სკვერი კი ასეთი არ არის.<sup>361</sup> ამდენად, პარტიას შეხვედრის შესახებ შეტყობინების ვალდებულება არ ჰქონია, ხოლო ქარელის მერიის უარი, თავის მხრივ, უსაფუძვლო იყო.<sup>362</sup>

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ შენობა-ნაგებობების და ადგილების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია/დაშვებულია საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება და საჯარო ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება.<sup>363</sup> 12 სექტემბერს ცესკომ გამოაქვეყნა 64 მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.<sup>364</sup> ყველა მუნიციპალიტეტს (გარდა აბაშის მუნიციპალიტეტისა) გაგზავნილი ჰქონდა მონაცემები სააგიტაციო მასალების განთავსების შესახებ.<sup>365</sup> რაც შეეხება შენობა-ნაგებობების ნუსხას, ის არ გაუგზავნია: ასპინძის, ახალქალაქის, გარდაბნის, კასპის, მცხეთის, ნინოწმინდის, რუსთავის, სენაკისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს.<sup>366</sup> ამ თვითმმართველობებმა, კანონის მოთხოვნების დარღვევით, პარტიებს ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმართვაში ხელი შეუშალეს.

„პატრიოტთა ალიანსმა“ აჭარაში საარჩევნო ბილბორდები გააკრა, სადაც საქართველოს რუკაზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მსგავსად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც წითლად არის მონიშნული წარწერით - „დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო!“. პარტიამ სოციალურ ქსელში ასევე განათავსა 9 ვიდეორგოლი, საიდანაც 6-ში, „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიის ლიდერები, დავით თარხან-მოურავი და ირმა ინაშვილი, სხვა პირებთან ერთად, თურქეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობენ. ეს ფაქტი საზოგადოების ნაწილმა ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებად აღიქვა. ცესკომ მიიჩნია, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ განთავსებული ზოგიერთი ვიდეორგოლის შინაარსი საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს<sup>367</sup> ეწინააღმდეგება და პარტია დააჯარიმა.<sup>368</sup> საია არ ეთანხმება ცესკოს გადაწყვეტილებას, რადგან მას არც საარჩევნო კოდექსის აკრძალვის მიზნებზე უმსჯელია, რომელიც პოლიტიკურ გამოხატვაზე ვრცელდება, მიიღო შაბლონური გადაწყვეტილება, რომელიც მოკლებულია მყარ საფუძველსა და არგუმენტაციას და, ამის საპირისპიროდ, კანონის ვიწრო ინტერპრეტაციას ეფუძნება. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ, მართალია, „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერის განთავსება მთელი პარტიის იდეოლოგიას აჩვენებს, თუმცა მყისიერ საფრთხეს დემოკრატიისთვის ვერ/

<sup>360</sup> შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>361</sup> ქარელის კულტურის სახლის ეზოს დია სივრცეა, მას ორი თავისუფალი შესასვლელი აქვს და მასში ნებისმიერ მსურველს დაუბრკოლებლად შეუძლია გადაადგილდეს, იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 16.

<sup>362</sup> იქვე.

<sup>363</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>364</sup> ლაცაბიძე მ. და სხვები, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 16-17.

<sup>365</sup> იქვე.

<sup>366</sup> იქვე.

<sup>367</sup> ეს ოქმი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით შედგა, რომლის თანახმადაც „საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამსობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას“.

<sup>368</sup> 2020 წლის 10 სექტემბრის აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №001964, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ffEHqP>, განახლებულია: 30.05.2021.

არ წარმოშობს. მიუხედავად იმისა, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ქმედებები საიას-სთვის ეთიკურად მიუღებელია და ეწინააღმდეგება საარჩევნო კამპანიის წარმოების კარგ პრაქტიკას, ორგანიზაციის განმარტებით, ის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს არ სცდება.<sup>369</sup>

## აუდიტის სამსახური

წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსებს ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ის უწყვეტ რეჟიმში ამოწმებს პოლიტიკური პარტიების ფინანსურ დეკლარაციებს როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდში. არჩევნების დანიშვნის დღიდან, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსური ანგარიში დადგენილი ფორმით.<sup>370</sup> შემოწირულების მიღების, ასევე, საწევრო შენატანის განხორციელების შესახებ ინფორმაცია პარტიამ 5 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიაწოდოს აუდიტის სამსახურს.<sup>371</sup> საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიში გენერალური აუდიტის ბრძანების შესაბამისად წარედგინება.<sup>372</sup>

აუდიტის სამსახურმა საარჩევნო პერიოდში წარმოება 13 საქმეზე დაიწყო.<sup>373</sup> აქედან სამართალდარღვევის 1 ფაქტის არარსებობის გამო თავად შეწყვიტა, 1-ზე - თბილისის საქალაქო სასამართლომ, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, 10-ზე დასრულდა სამართალწარმოება, შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და სასამართლომაც მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, ხოლო 1 გაგზავნილია სასამართლოში და ჯერ არ განუხილავთ.<sup>374</sup> ეს საქმეები შეეხებოდა პარტიებს: „ქართული ოცნება“ (1 შემთხვევა),<sup>375</sup> „თავისუფალი საქართველო“ (1 შემთხვევა), „გირჩი“ (1 შემთხვევა), „პატრიოტთა ალიანსი (2 შემთხვევა), „ლელო“ (1 შემთხვევა), „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ (1 შემთხვევა), „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ (1 შემთხვევა), „თეთრები“ (2 შემთხვევა), „ქართული არჩევანი (2 შემთხვევა). სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აგრეთვე შეისწავლა ორგანიზაციის - „დავასრულოთ“ მიერ Facebook-გვერდებზე გაშვებული პოლიტიკური რეკლამის შემცველი ფასიანი ვიდეორგოლების განთავსების საკითხი და სასამართლოში გაგზავნა.<sup>376</sup>

<sup>369</sup> საიას შეფასება ამ საკითხზე ვრცელად იხ. ლაცაბიძე მ. და სხვები, *2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, ივნისი-აგვისტო*, გვ. 23-26.

<sup>370</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>371</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 27<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>372</sup> პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ გენერალური აუდიტის 2016 წლის 5 მაისის №2915/21 ბრძანება.

<sup>373</sup> *2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის საბოლოო ანგარიში*, გვ. 7.

<sup>374</sup> იქვე, გვ. 7-8.

<sup>375</sup> აუდიტის სამსახურის მიერ მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დასაბუთდა შემომწირველების მიერ შემოწირულებების განხორციელების შესაძლებლობა.

<sup>376</sup> *2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის საბოლოო ანგარიში*, გვ. 12.

## 6. კენჭისყრის დღე

### უბნის გახსნა

საარჩევნო უბანი კენჭისყრის დღეს დილის 7 საათზე იხსნება.<sup>377</sup> საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა, მოაწყონ კენჭისყრის შენობა.<sup>378</sup> საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა ჰქონდეს, *inter alia*, 1 სარეგისტრაციო მაგიდა ყოველ 300 ამომრჩეველზე<sup>379</sup> და 1 კენჭისყრის კაბინა ყოველ 500 ამომრჩეველზე.<sup>380</sup> ამასთანავე, კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნიებული ვერსიები.<sup>381</sup>

პირველი ტურის ეტაპზე კენჭისყრის პროცედურები საიას მონიტორინგს დაქვემდებარებულ უბნებზე დროულად და არსებითი დარღვევების გარეშე დაიწყო.<sup>382</sup> მეორე ტურში ეს წესი ცალკეულ უბნებზე დაირღვა. მაგალითად, 1200 ამომრჩეველზე 3 სარეგისტრაციო მაგიდა იყო გათვალისწინებული,<sup>383</sup> ან უბანზე არ იყო გამოკრული კანდიდატთა სია.<sup>384</sup> საიას დამკვირვებლების ზეპირი შენიშვნის შემდეგ ორივე ფაქტთან დაკავშირებით ხარვეზი აღმოიფხვრა.

### წილისყრის პროცედურის დარღვევა

უბნის გახსნის ეტაპზე კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გასანაწილებლად ატარებს წილისყრას.<sup>385</sup> თავდაპირველად, გამოვლინდებიან საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრები,<sup>386</sup> ხოლო შემდგომ უბანზე ნაწილდება ფუნქციები.<sup>387</sup> კომისიის თავმჯდომარე წილისყრისთვის ამზადებს ერთნაირ ფურცლებს, ერთი და იმავე საწერი საშუალებით, სპეციალური წესით ამოწმებს მათ და კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა.<sup>388</sup> თუ წილისყრით გამოვლინდა, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის ორივე წევრი ერთსა და იმავე პარტიას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში, ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრება მათგან ერთ-ერთს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხოლო მეორე წევრის გამოსავლენად გაიმართება ხელახალი წილისყრა.<sup>389</sup> თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, იგი კარგავს მორიგე წილისყრაში მონაწილეობის უფლე-

<sup>377</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>378</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 აგვისტოს №21/2020 დადგენილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, „კენჭისყრის შენობის მოწყობა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t1Cu7y>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>379</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე.ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>380</sup> იქვე, 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>381</sup> იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>382</sup> გამონაკლისია საზღვარგარეთის უბნები, სადაც კენჭისყრის შენობა ბარსელონაში 08:05 საათზე, ხოლო პარიზში 08:09 საათზე დაგვიანებით გაიხსნა.

<sup>383</sup> ფაქტი ნაძალადევის №27 უბანზე გამოვლინდა.

<sup>384</sup> ფაქტი რუსთავის №43 უბანზე გამოვლინდა.

<sup>385</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>386</sup> იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>387</sup> იქვე, „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>388</sup> იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>389</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 აგვისტოს №21/2020 დადგენილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, „საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები“.

ბას.<sup>390</sup> წილისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში წილისყრით გამოვლენილი ფუნქციის შედეგებს ასახავს.<sup>391</sup>

კომისიის წევრი ვალდებულია, დანიშნის დღიდან მონაწილეობდეს კომისიის საქმიანობაში.<sup>392</sup> შესაბამისად, მინიჭებულ ვალდებულებაზე უარის თქმა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობაა<sup>393</sup> და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს ითვალისწინებს.<sup>394</sup>

საიამ კენჭისყრის დღის ორივე ეტაპზე წილისყრის პროცედურის დარღვევის არაერთი შემთხვევა გამოავლინა. პირველ ტურში ეპიცენტრი რეგიონის უბნები იყო. ეს, ძირითადად, უკავშირდებოდა წილისყრის პროცედურის არასათანადოდ ჩატარებას და მინიჭებული ფუნქციების შეუსრულებლობას. მეორე ტურში მსგავსი ფაქტები გამოვლინდა როგორც რეგიონებში, ისე დედაქალაქში. წესი დაირღვა, მაგალითად, ფუნქციების თვითნებურად განაწილებით, პროცედურის ზეპირად ჩატარებით ან ფარულობის პრინციპის დარღვევით. დამატებით, აღსანიშნავია, რომ საიას მიერ ამ შემთხვევებზე მომზადებული საჩივრების გადაწყვეტის პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

## 1 ტური

პირველ ტურში ცალკეულ უბნებზე კომისიის წევრებმა წილისყრის პროცედურის შედეგად გამოვლენილი ფუნქციები თვითნებურად გაცვალეს,<sup>395</sup> ან, თავმჯდომარის თანხმობით, წილისყრის გარეშე გადაინაწილეს.<sup>396</sup> იყო შემთხვევა, როდესაც გადასატან ყუთზე მიმაგრებული წევრების გამოსავლენი და ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრები ერთდროულად ჩატარდა.<sup>397</sup> ერთ უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებმა კომისიის წევრებმა<sup>398</sup> უარი თქვეს საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე.<sup>399</sup> საიას დამკვირვებელი შეესწრო, თუ როგორ ატარებდა კომისიის თავმჯდომარე წილისყრას სხვადასხვა ფერის ფურცლებით.<sup>400</sup>

ყველა ამ შემთხვევის გამო, საიამ საჩივრით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას. მათგან სამი დაკმაყოფილდა.<sup>401</sup> ფუნქციების თვითნებურად განაწილება წილისყრის გარეშე, წილისყრების ერთდროულად ჩატარება და კომისიის წევრის უარი დაკისრებული ფუნქციის შესრულებაზე - ყველა ეს შემთხვევა საოლქო კომისიებმა დარღვევად მიიჩნიეს. დანარჩენ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება წილისყრით გამოვლენილი ფუნქციების თვითნებურად გაცვლას, წილისყრის ჩატარებლობას,

<sup>390</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>391</sup> იქვე, „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>392</sup> იქვე, მე-8 მუხლის მე-19 ნაწილი.

<sup>393</sup> იქვე, 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>394</sup> იქვე, მე-2 მუხლი.

<sup>395</sup> ფაქტი საბურთალოს №23 და თელავის №54 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>396</sup> ფაქტი შუახევის №1 უბანზე გამოვლინდა.

<sup>397</sup> ფაქტი შუახევის №41 უბანზე გამოვლინდა.

<sup>398</sup> კომისიის წევრები პარტია „ქართული ოცნების“ დანიშნულები იყვნენ.

<sup>399</sup> ფაქტი ზუგდიდის №65 უბანზე გამოვლინდა.

<sup>400</sup> ფაქტი მარნეულის №85 უბანზე გამოვლინდა.

<sup>401</sup> №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №43/2020 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30y5d7K>, განახლებულია: 30.05.2021; №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №21/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q47N9t>, განახლებულია: 30.05.2021.

ერთდროულად და სხვადასხვა ფერის ფურცლებით ჩატარებას - კომისიებმა არ დააკმაყოფილეს.<sup>402</sup> აღსანიშნავია, რომ ფუნქციების თვითნებურად გაცვლის საქმეზე ერთი საჩივარი დაკმაყოფილდა, მეორე კი - არა, რაც საოლქო კომისიების მიერ დავების გადაწყვეტის არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს.

## II ტური

მეორე ტურში წილისყრის წესი დაირღვა - საარჩევნო უბანზე გადასატანი ყუთის გამოვლიდა, ორის ნაცვლად, ერთი პირი გამოვლინდა. შესაბამისად, გადასატანი საარჩევნო ყუთიც მან წაიღო.<sup>403</sup> სხვა შემთხვევაში თავმჯდომარემ ფუნქცია-მოვალეობის განაწილებისას ფურცლებზე ბეჭედი ისე დაარტყა, რომ ფუნქციების გამოვლენა შესაძლებელი იყო.<sup>404</sup> საიასთვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტებიც, როდესაც წილისყრას ატარებდნენ ზეპირად,<sup>405</sup> ან წილისყრის შედეგად გამოვლენილ ფუნქციებს თვითნებურად ცვლიდნენ კომისიის წევრები.<sup>406</sup> ერთ-ერთ უბანზე წილისყრის შედეგად ერთი პარტიიდან წარმოდგენილი ორი წევრი გამოვლინდა,<sup>407</sup> რაც კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა ვერ შენიშნეს და მხოლოდ საიას დამკვირვებლის მითითების შემდეგ ჩაატარეს ხელახალი წილისყრა.<sup>408</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტების ნაწილზე, საიას დამკვირვებლის რეაგირების შედეგად, ხარვეზი მყისიერად აღმოიფხვრა. დანარჩენი ფაქტები საიამ საოლქო კომისიებში გაასაჩივრა. საოლქომ დარღვევა დაადგინა ფაქტზე, სადაც ყუთის გამოვლიდა ორის ნაცვლად ერთი პირი გამოვლინდა,<sup>409</sup> ხოლო ორი საჩივარი, სადაც თავმჯდომარემ მონიშნა ბიულეტენები და თვითნებურად განაწილა ფუნქციები, არ დაკმაყოფილდა.<sup>410</sup> ეს უკანასკნელი შემთხვევა საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან საჩივრების გადაწყვეტის არათანმიმდევრულ და არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიანიშნებს, ვინაიდან ანალოგიური ტიპის ხარვეზი პირველ ტურში მან დარღვევად მიიჩნია.

იყო ასევე შემთხვევა, როდესაც კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში არ იყო შევსებული კომისიის წევრების უფლება-მოვალეობების გრაფა.<sup>411</sup> საოლქო კომისიამ ეს საჩივარი დაკმაყოფილა და საუბნო კომისიის მდივანს შენიშვნა გამოუცხადა.<sup>412</sup>

<sup>402</sup> №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №62/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dFb41h>, განახლებულია: 30.05.2021; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №32/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mrle9P>, განახლებულია: 30.05.2021; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №66/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dHxyyF>, განახლებულია: 30.05.2021; №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №21/2020 განკარგულება.

<sup>403</sup> ფაქტი ქუთაისის №56 უბანზე გამოვლინდა.

<sup>404</sup> ფაქტი ქუთაისის №42 უბანზე გამოვლინდა.

<sup>405</sup> ფაქტი მთაწმინდის №39 და ვაკის №34 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>406</sup> ეს ფაქტი მთაწმინდის № 35, ისინის №25, ვაკის №44, რუსთავის №12 და №13, ზუგდიდის №102 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>407</sup> ისინი იყვნენ პარტია „ქართული ოცნებიდან“.

<sup>408</sup> ფაქტი ქუთაისის №91 უბანზე გამოვლინდა.

<sup>409</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №460/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bvvcms>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>410</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №461/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bzOyHe>, განახლებულია: 30.05.2021; №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №59/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qzPM4>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>411</sup> ფაქტი ქუთაისის №39 უბანზე გამოვლინდა.

<sup>412</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №462/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2O11yl>, განახლებულია: 30.05.2021.



## ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა

საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველს მარკირება უკეთდება.<sup>413</sup> ამ პროცედურის მიზანია, გამორიცხოს ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მრავალჯერადად მიცემა. ამომრჩეველი მარკირების შემოწმების პროცედურას გადის კენჭისყრის ოთახში შესვლისას, საარჩევნო კომისიის შესაბამის წევრთან.<sup>414</sup> კომისიის წევრებმა არ უნდა დაუშვან კენჭისყრის შენობაში პირი, თუ აღმოჩნდება, რომ მას უკვე აქვს მარკირება,<sup>415</sup> ან თუ უარს ამბობს ამ პროცედურის გავლაზე.<sup>416</sup> ამ მოთხოვნათა დამრღვევ კომისიის წევრს, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა ან არაჯეროვნად შესრულებისთვის, დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება.<sup>417</sup>

საიასთვის ცნობილი გახდა მარკირების წესის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა. ამგვარი ფაქტი გამოვლინდა მხოლოდ პირველ ტურში მარნეულის ცალკეულ უბნებზე, აგრეთვე, საზღვარგარეთის ერთ უბანზე, სადაც, საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ამომრჩევლებს არ უმოწმდებოდათ მარკირება.<sup>418</sup> საოლქო კომისიამ მარკირების წესის დარღვევის ფაქტებზე დაწერილი საჩივრებიდან არცერთი არ დააკმაყოფილა,<sup>419</sup> რადგან მიიჩნია, რომ ეს შემთხვევები არ მიეკუთვნებოდა კანონმდებლობის ისეთ უხეშ დარღვევას, რომელსაც შეეძლო, ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე.<sup>420</sup>

კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის შესაბამის სარეგისტრაციო მაგიდასთან, წარუდგენს რეგისტრატორს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან პასპორტს.<sup>421</sup> ამის შემდეგ რეგისტრატორი ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან.<sup>422</sup> დადასტურების შემთხვევაში რეგისტრატორი უზრუნველყოფს ამომრჩევლის მარკირებას და ხელს აწერს სიის სათანადო გრაფაში.<sup>423</sup> ამის შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს ბიულეტენის მიღებას.<sup>424</sup> კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი კონვერტი და შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი.<sup>425</sup> ამასთანავე, საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერით და ბეჭდით.<sup>426</sup>

ხმის მიცემის წესის დარღვევა პირველ ტურში ნაკლებად პრობლემური იყო. თუმცა, ამან მასშტაბური ხასიათი მიიღო მეორე ტურში, როდესაც ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმის მიცემის დროს არაერთი ხარვეზი გამოიკვეთა, ძირითადად, კომისიის წევრების ზედპირულობისა ან/და დაუდევრობის გამო. ზოგჯერ ამის მიზეზი იყო

<sup>413</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>414</sup> იქვე, მე-2 ნაწილი.

<sup>415</sup> იქვე.

<sup>416</sup> იქვე, მე-3 ნაწილი.

<sup>417</sup> იქვე, 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი.

<sup>418</sup> ფაქტი რომის საარჩევნო უბანზე გამოვლინდა.

<sup>419</sup> ფაქტი მარნეულის №10, №15 და №83 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>420</sup> №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №41/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epomkA>, განახლებულია: 30.05.2021; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №44/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t7yrH3>, განახლებულია: 30.05.2021, №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №37/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PGamiP>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>421</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>422</sup> იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>423</sup> იქვე.

<sup>424</sup> იქვე.

<sup>425</sup> იქვე, 63-ე მუხლის მე-20 ნაწილი.

<sup>426</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

არაინფორმირებულობა. წარდგენილი საჩივრებიდან მხოლოდ ნახევარი დაკმაყოფილდა.

## I ტური

პირველი ტურის დროს საიას სადამკვირვებლო მისიამ ამომრჩევლის მიერ ორჯერ ხმის მიცემის ერთი ფაქტი გამოავლინა.<sup>427</sup> ერთ შემთხვევაში ბიულეტენები ყუთში ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე იყო ჩაყრილი.<sup>428</sup> ზოგან მოქალაქეებმა ხმა მისცეს არასათანადო დოკუმენტაციით, კერძოდ, მართვის მოწმობის საფუძველზე.<sup>429</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტების ნაწილთან მიმართებით საია უბანზე შენიშვნით შემოიფარგლა. სხვა შემთხვევებში კი დარღვევები ოლქში გაასაჩივრა. საოლქო კომისიამ ერთი ამომრჩევლის მიერ ორჯერ ხმის მიცემა დარღვევად მიიჩნია.<sup>430</sup> სხვაგან - დაუმოწმებელი ბიულეტენები უბანმა თავად გააბათილა.<sup>431</sup> თუმცა, ამ უკანასკნელ ფაქტზე საია, დამატებით, რეგისტრატორისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდა.<sup>432</sup> იმის გამო, რომ საოლქო კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია კომისიის იმ წევრების ვინაობის დადგენა, რომელთა არაჯეროვანმა ქმედებამაც გამოიწვია ეს შემთხვევა, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.<sup>433</sup>

## II ტური

მეორე ტურში ზემოთ ხსენებული წესის დარღვევა რამდენიმე უბანზე იკვეთება. ერთგან აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველთა სიას აკლდა ორი ამომრჩევლის ხელმოწერა. ისინი რეგისტრატორს გამორჩა.<sup>434</sup> იყო შემთხვევა, როცა რეგისტრატორმა მოაწერა ხელი ამომრჩევლის გრაფაში,<sup>435</sup> ან უბანზე მისულ ამომრჩეველს რეგისტრატორის გრაფაში წინასწარ გაკეთებული ხელმოწერა<sup>436</sup> ან, შეცდომით, სხვა ამომრჩევლის ხელმოწერა დახვდა.<sup>437</sup> ერთგან მოქალაქეს საერთოდ არ დახვდნენ რეგისტრატორები (აღვიწილზე არ ისხდნენ შემცვლელები, არც შესაბამისი ცვლილება იყო ასახული კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში).<sup>438</sup>

ერთ-ერთ უბანზე ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ არა კაბინაში, არამედ პირდაპირ სარეგისტრაციო მაგიდასთან.<sup>439</sup> სხვა შემთხვევაში უბანზე მისულ პირს კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, როდესაც თავისი ბიულეტენი კონვერტში უნდა ჩაედო, იქ სხვა ბიულეტენი დახვდა.<sup>440</sup> უბანზე ხმის მიცემისას რეგისტრატორმა პირადობის მოწმო-

<sup>427</sup> ფაქტი მარნეულის №7 უბანზე გამოვლინდა.

<sup>428</sup> ფაქტი ზუგდიდის №47 უბანზე გამოვლინდა.

<sup>429</sup> ფაქტი გლდანის №78, ბაღდათის №2, და თეთრიწყაროს №21 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>430</sup> №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №35/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qAolGj>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>431</sup> №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №45/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ceRFDM>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>432</sup> იქვე.

<sup>433</sup> იქვე.

<sup>434</sup> ფაქტი ზუგდიდის №98 უბანზე გამოვლინდა.

<sup>435</sup> ფაქტი საბურთალოს №41 უბანზე გამოვლინდა.

<sup>436</sup> ფაქტი საბურთალოს №41, ქუთაისის №43 და ზუგდიდის №53 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>437</sup> ფაქტი ქუთაისის №66 უბანზე გამოვლინდა.

<sup>438</sup> ფაქტი გლდანის №104 უბანზე გამოვლინდა.

<sup>439</sup> ფაქტი გარდაბნის №19 უბანზე გამოვლინდა.

<sup>440</sup> ფაქტი ზუგდიდის №105 უბანზე გამოვლინდა.

ბის გარეშე გადასცა ბიულეტენი.<sup>441</sup> გამოვლინდა სხვისი პირადობით ხმის მიცემის მცდელობაც.<sup>442</sup>

ხმის მიცემის წესი დაირღვა ერთგან - გადასატანი საარჩევნო ყუთის წაღებისას სი-  
აში მითითებულმა ამომრჩეველმა ვერ მისცა ხმა, რადგან მას არ გადასცეს ბიულე-  
ტენი.<sup>443</sup>

ზოგიერთი ამ შემთხვევის გამო, საიამ საჩივრით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაცია-  
ს. საოლქო კომისიამ ხუთიდან ორი საჩივარი დააკმაყოფილა, კერძოდ, დარღვე-  
ვად მიიჩნია ის, რომ უბანზე მისულ ამომრჩეველს თავისი სახელისა და გვარის გა-  
სწვრივ გრაფა უკვე ხელმოწერილი დახვდა, ასევე, როცა გადასატანი ყუთის სიაში  
მყოფმა ამომრჩეველმა ვერ მისცა ხმა.<sup>444</sup> შემთხვევები, სადაც (1) ერთიან სიას აკლდა  
ორი ამომრჩევლის ხელმოწერა; (2) რეგისტრატორმა ამომრჩევლის მისვლამდე მო-  
აწერა ხელი რეგისტრატორის გრაფაში და (3) რეგისტრატორები არ იმყოფებოდნენ  
კენჭისყრის დღის ოთახში<sup>445</sup> - საოლქო კომისიებმა დარღვევად არ მიიჩნიეს.

### საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების წესების დარღვევა

კომისიის მდივანს ამომრჩეველთა რაოდენობა და მიღებული საარჩევნო ბიულეტე-  
ნების შესახებ ინფორმაცია შეაქვს ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმში.<sup>446</sup>  
მდივანი, კანონის წესის დაცვით, აღრიცხავს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველ-  
თა ხელმოწერების რაოდენობას და უთითებს კენჭისყრის შედეგებს სადემონსტრაც-  
ციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში, დამატებით, აცნობებს საოლქო საარჩევნო კომი-  
სიას.<sup>447</sup>

პირველ ტურში საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების წესების დარღვევა საიას სა-  
დამკვირვებლო მისიას არ აღმოუჩენია. თუმცა, ამ კუთხით ხარვეზები მეორე ტურში  
დედაქალაქსა და რეგიონებშიც შეინიშნებოდა, რაც კომისიის მდივნების მიერ მოვა-  
ლეობის არაჯეროვანი შესრულებით იყო გამოწვეული.

კენჭისყრის მეორე ტურში ერთგან უბნის სადემონსტრაციო ოქმში არ იყო მონაცე-  
მები შეყვანილი.<sup>448</sup> სხვა შემთხვევაში სადემონსტრაციო ოქმი შევსებული იყო ფან-  
ქრით.<sup>449</sup> რამდენიმე უბანზე არ იყო მითითებული ამომრჩეველთა აქტივობა დრო-  
ულად,<sup>450</sup> ან მასში არასწორი მონაცემები შეიყვანეს.<sup>451</sup> ზოგან მითითებული არ იყო

<sup>441</sup> ფაქტი რუსთავის №2 უბანზე გამოვლინდა.

<sup>442</sup> ფაქტი რუსთავის №50 უბანზე გამოვლინდა.

<sup>443</sup> ფაქტი გარდაბნის №50 უბანზე გამოვლინდა.

<sup>444</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №464/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tc3Zvz>, განახლებულია: 30.05.2021; №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №092/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38rwbTg>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>445</sup> №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №60/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3erlYsv>, განახლებულია: 30.05.2021; №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №61/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eo1amQ>, განახლებულია: 30.05.2021; №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №065/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vccOXX>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>446</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>447</sup> იქვე, მე-6 ნაწილი.

<sup>448</sup> ფაქტი რუსთავის №59 და ქუთაისის №39 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>449</sup> ფაქტი ჩუღურეთის №7 და №25 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>450</sup> ფაქტი მთაწმინდის №18 და ქუთაისის №117 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>451</sup> ფაქტი მთაწმინდა №15 უბანზე გამოვლინდა.

მიღებული ბიულეტენების რაოდენობა<sup>452</sup> ან გადასატანი ყუთის სია, მაშინ, როდესაც გადასატანი ყუთი უკვე უბანზე ჰქონდათ მოტანილი.<sup>453</sup> ამ ფაქტებზე საიას დამკვირვებლებმა უბანზე ზეპირი ან წერილობითი შენიშვნა გააკეთეს. საიას ინფორმაციით, ეს ხარვეზები ცალკეულ შემთხვევებში მყისიერად აღმოიფხვრა.

### დისბალანსი გადასატან საარჩევნო ყუთებში

კენჭისყრის შენობაში დაბრუნებულ გადასატან საარჩევნო ყუთს ამოწმებს კომისიის მდივანი.<sup>454</sup> უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, თანმხლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება.<sup>455</sup> აქ დამოწმებული მონაცემები შესაბამისი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში აისახება.<sup>456</sup>

პირველ ტურში საიამ ცალკეულ უბნებზე გადასატან საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების დისბალანსი გამოავლინა. ყველა ეს შემთხვევა სამეგრელოში მოხდა. წარდგენილი საჩივრებიდან საოლქო არცერთი არ დააკმაყოფილა.

სამ სხვადასხვა უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის დაბრუნებისას გამოყენებული და დარჩენილი ბიულეტენების რაოდენობა არ შეესაბამებოდა წაღებული ბიულეტენების რაოდენობას.<sup>457</sup> საოლქო კომისიამ ერთ ასეთ შემთხვევაზე დაწერილი საჩივარი განუხილველად დატოვა იმ არგუმენტით, რომ პრობლემა ადგილზევე აღმოიფხვრა.<sup>458</sup> ორი საჩივარი ამავე საფუძვლით არ დააკმაყოფილა.<sup>459</sup> ამ გადაწყვეტილებიდან ორ შემთხვევაში არ არის მითითებული, როგორ გამოსწორდა ეს ხარვეზი, ხოლო ერთში წერია, რომ ადგილზე შედგა ახსნა-განმარტება, კომისიამ დაითვალა ხმები და დადგინდა ბალანსი.

### დალუქვის წესის დარღვევა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.<sup>460</sup> გადასატანი საარჩევნო ყუთის ქრილი კენჭისყრის

<sup>452</sup> ფაქტი გლდანის №66 და №70 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>453</sup> ფაქტი ჩუღურეთის №30 უბანზე გამოვლინდა.

<sup>454</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 აგვისტოს №21/2020 დადგენილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

<sup>455</sup> იქვე.

<sup>456</sup> იქვე.

<sup>457</sup> მარტვილის №13 უბანზე გამოვლინდა შემდეგი ფაქტი: გადასატანი ყუთის კომისიის წევრებმა წაიღეს 46 ბიულეტენი, ხმა მისცა 44-მა, უბანზე დაბრუნდა 3 პროპორციული და 4 მაჟორიტარული ბიულეტენი; მარტვილის №19 უბანზე გადასატანი ყუთის კომისიის წევრებს გადაეცათ 45-45 ბიულეტენი, საარჩევნო უბანზე დაბრუნდა 3 გაფუჭებული ბიულეტენი, რაც ნიშნავს, რომ ხმა 41-მა ამომრჩეველმა მისცა, ხოლო თითო-თითო ბიულეტენი დაიკარგა; ზუგდიდის №47 უბანზე გადასატანი ყუთის სიაში იყო 39 ამომრჩეველი, კომისიის წევრებმა გაიტანეს 43 ბიულეტენი. სიაში ასახულია 38 ხელმოწერა, ხოლო საარჩევნო უბანზე 4 გამოუყენებელი ბიულეტენის ნაცვლად მობრუნდა 3 გამოუყენებელი ბიულეტენი.

<sup>458</sup> №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №22/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t6UCwV>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>459</sup> №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №30/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v6CKUV>, განახლებულია: 31.05.2021; №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №31/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t885EY>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>460</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 აგვისტოს №21/2020 დადგენილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, „საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t1Cu7y>, განახლებულია: 10.03.2021.

დამთავრებისას იმგვარად ილუქება, რომ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს მისი გახსნა.<sup>461</sup> თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ კომისიას.<sup>462</sup>

დარღვევები ცალკეულ უბნებზე ორივე ტურში გამოვლინდა. ეს გადაცდომები, ძირითადად, უკავშირდებოდა გადასატანი საარჩევნო ყუთის არასათანადოდ დალუქვას და უბანზე დაულუქავ მდგომარეობაში დაბრუნებას. ამ კუთხით, საოლქო კომისიების გადაწყვეტილებების პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

## I ტური

პირველ ტურში დალუქვის წესის დარღვევა რამდენიმე უბანზე იკვეთება. ერთ შემთხვევაში საარჩევნო უბანზე საიას დამკვირვებელს განუცხადეს, რომ წებოვანი ლენტის არ ჰქონდათ. თუმცა, მიღება-ჩაბარების აქტების გადამოწმებამ აჩვენა, რომ არგუმენტი სიმართლეს არ შეესაბამებოდა.<sup>463</sup> სხვა შემთხვევებში გადასატანი ყუთი უბანზე დაულუქავ მდგომარეობაში დააბრუნეს.<sup>464</sup> ამ შემთხვევებზე საჩივრებიდან ორი დაკმაყოფილდა, ხოლო ერთი - არა.<sup>465</sup> დაკმაყოფილებული საჩივრებიდან ერთ შემთხვევაში, სადაც გადასატანი ყუთი უბანზე ლენტის გარეშე დააბრუნეს, ბიულეტენები გაბათილდა, ხოლო მეორე შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად გამოეცხადა „შენიშვნა“.

## II ტური

ცალკეულ უბნებზე საუბნო კომისიაში გადასატანი საარჩევნო ყუთი დაულუქავ მდგომარეობაში შეიტანეს.<sup>466</sup> თუმცა, საოლქო კომისიამ მიიჩნია, რომ გამოკვეთილი არ ყოფილა საარჩევნო ყუთის შედეგების ბათილობის საფუძვლები ან გადაცდომის ნიშნები ყუთის თანმხლები პირების ქმედებაში. ამიტომ, ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა.<sup>467</sup>

## არაუფლებამოსილი პირების დასწრება

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება მხოლოდ სპეციალურად აკრედიტებულ პირებს აქვთ. კერძოდ, საუბნო და ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს, რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების

<sup>461</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 66-ე მუხლის მე-10 ნაწილი.

<sup>462</sup> იქვე, 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>463</sup> ფაქტი ისნის №27 უბანზე გამოვლინდა.

<sup>464</sup> ფაქტი შუახევის №1 და ბოლნისის №37 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>465</sup> №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №062/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ceUEfs>, განახლებულია: 31.05.2021; №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №21/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rE3HwQ>, განახლებულია: 31.05.2021; №23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №33/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30yrNeXA>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>466</sup> ფაქტი გლდანის №93 და ქუთაისის №103 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>467</sup> №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №064/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cdPQac>, განახლებულია: 31.05.2021; №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №463/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cNe9a4X>, განახლებულია: 31.05.2021.



დამკვირვებლებს, მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს.<sup>468</sup> ყველა ეს პირი თავისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს უნდა ატარებდეს.<sup>469</sup>

ეს წესი ცალკეულ უბნებზე ორივე ტურის ეტაპზე დაირღვა. პირველ ტურში საიას დამკვირვებელმა ერთ-ერთ უბანზე შენიშნა, რომ იქ იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები.<sup>470</sup> სხვაგან ასეთ პირებს ჰქონდათ მცდელობა, უშუალოდ დასწრებოდნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას.<sup>471</sup> ცალკეულ უბნებზე ეს პრობლემა მეორე ტურშიც გამოიკვეთა.<sup>472</sup> ერთ შემთხვევაში საიას დამკვირვებელმა ზეპირი შენიშვნით მიმართა საუბნო კომისიას, რის შედეგადაც ამ პირებმა უბანი დატოვეს.

## ორგანიზაციული საკითხები

კომისიის წევრი ვალდებულია, დანიშნის დღიდან მონაწილეობდეს კომისიის საქმიანობაში.<sup>473</sup> ფუნქციის დროებით გადაცემა სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში აღნუსხავს.<sup>474</sup> სხვა შემთხვევაში ეს სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულ შეუსრულებლობად მიიჩნევა<sup>475</sup> და გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.<sup>476</sup>

ორივე ტურში ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა საუბნო კომისიის წევრების არაორგანიზებულობა და დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას გამოვლენილი არაპროფესიონალიზმი. კომისიის წევრებს უჭირდათ პროცესის ეფექტიანად და თანმიმდევრულად წარმართვა, რაც აფერხებდა კენჭისყრის მიმდინარეობას.

### 1 ტური

საიას ინფორმაციით, ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა სუსტი ორგანიზება და კომისიის წევრთა დაბალი კვალიფიკაცია.<sup>477</sup> იყო შემთხვევა, როდესაც კომისიის მდივანმა საკუთარი ფუნქციები სრულფასოვნად არ იცოდა, მათ შორის, არც სადემონსტრაციო და შემაჯამებელი ოქმების შევსების წესები.<sup>478</sup> ცალკეულ შემთხვევებში კომისიის წევრების არაორგანიზებულობა აფერხებდა კენჭისყრის პროცესს და ზრდიდა პროცედურული დარღვევების რაოდენობას. მაგალითად, რეგისტრატორებს უჭირდათ ხმის მისაცემად მისული ამომრჩევლის დროულად რეგისტრაცია, რის გამოც უბანთან რიგები დგებოდა.<sup>479</sup>

ორგანიზაციული პრობლემები და ტექნიკური ხარვეზები ხშირი იყო საზღვარგარეთის უბნებზეც. ერთ შემთხვევაში მოქალაქეები არ აღმოჩნდნენ სიაში იმის მიუხედა-

<sup>468</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-16 ნაწილი.

<sup>469</sup> იქვე, მე-17 ნაწილი.

<sup>470</sup> ფაქტი ზუგდიდის №47 უბანზე გამოვლინდა.

<sup>471</sup> ფაქტი სამტრედიის №20 უბანზე გამოვლინდა.

<sup>472</sup> ფაქტი რუსთავის №54 და №72, გლდანის №44 და №55 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>473</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-19 ნაწილი.

<sup>474</sup> იქვე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>475</sup> იქვე, 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>476</sup> იქვე, მე-2 მუხლი.

<sup>477</sup> ეს შენიშვნა ვაკის ოლქში შემავალ უბნებს შეეხება.

<sup>478</sup> ფაქტი სამგორის №114 უბანზე გამოვლინდა.

<sup>479</sup> ფაქტი მთაწმინდის №29 უბანზე გამოვლინდა.

ვად, რომ ისინი დარეგისტრირებულნი იყვნენ.<sup>480</sup> ასევე, ერთ შემთხვევაში დამკვირ-  
ვებელი საარჩევნო უბანზე მხოლოდ საიას მოთხოვნის შემდეგ დარეგისტრირეს.<sup>481</sup>

საიამ აღნუსხა ფაქტები, სადაც კომისიის წევრი ასრულებდა კომისიის სხვა წევ-  
რისთვის მინიჭებულ ფუნქციას - იქდა რეგისტრატორის გვერდით და ეხმარებოდა  
მას ამომრჩევლების მოძიებაში.<sup>482</sup> იყო შემთხვევა, როცა ხმის დათვლის პროცედურის  
დროს კომისიის წევრი ჩართული იყო ხმის დათვლის პროცესში მაშინ, როდესაც  
ეს არ იყო მისი ფუნქცია.<sup>483</sup>

## II ტური

ორგანიზაციული ხარვეზები მეორე ტურშიც გამოიკვეთა, მათ შორის, როდესაც ნა-  
კადის მომწესრიგებლის ფუნქციას კომისიის სხვა წევრი ან დამკვირვებელი ითავ-  
სებდა,<sup>484</sup> ან კომისიის მდივანი ასრულებდა რეგისტრატორის მოვალეობას,<sup>485</sup> ან  
საარჩევნო ყუთთან, კომისიის წევრის ნაცვლად, იქდა დამკვირვებელი.<sup>486</sup> ერთ შემ-  
თხვევაში კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახი გაუფრთხილებლად დატოვა.<sup>487</sup>

### COVID-19-ის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული პრობლემები

COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკომ მიიღო დადგენილება, რომ-  
ლითაც განსაზღვრა 2020 წლის არჩევნების კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური  
პროტოკოლი. კენჭისყრის შენობაში პირბადის ტარება ყველასთვის სავალდებულო  
განბდა.<sup>488</sup> გამონაკლისი იყო ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუ ეს დასტურდებოდა  
შესაბამისი სამედიცინო ცნობით.<sup>489</sup> ამომრჩეველი უბანზე მისვლისას ორჯერ, მცირე  
ხნით, ვინაობის დასადასტურებლად და კანონით განსაზღვრული პროცედურე-  
ბის შესრულების მიზნით იხსნიდა პირბადეს.<sup>490</sup>

კენჭისყრის ორდინარული პროცედურების მიღმა, ორგანიზების პრობლემები შე-  
სამჩნევი იყო COVID-19-თან დაკავშირებული ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზ-  
რუნველსაყოფად დადგენილი წესების შესრულებისას. ასეთი პრობლემები ორივე  
ტურში გამოიკვეთა.

<sup>480</sup> ფაქტი ბარსელონას უბანზე გამოვლინდა.

<sup>481</sup> ფაქტი ათენის №39-ე უბანზე გამოვლინდა.

<sup>482</sup> ფაქტი ჩხოროწყუს №7 უბანზე გამოვლინდა.

<sup>483</sup> ფაქტი ზუგდიდის №6 უბანზე გამოვლინდა.

<sup>484</sup> ფაქტი გლდანის №107 და რუსთავის №76 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>485</sup> ფაქტი გლდანის №54 უბანზე გამოვლინდა.

<sup>486</sup> ფაქტი მთაწმინდის №39 უბანზე გამოვლინდა.

<sup>487</sup> ფაქტი სამგორის №8 უბანზე გამოვლინდა.

<sup>488</sup> ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან  
აცილების მიზნით, 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი/საკრებულოების  
შუალედური/მერების რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა  
და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო  
კომისიის 2020 წლის 18 სექტემბრის №38/2020 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>489</sup> იქვე, მე-3 პუნქტი.

<sup>490</sup> იქვე მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

## I ტური

ცალკეულ შემთხვევებში რეგისტრატორები ამომრჩევლებს არ ახსნევენებდნენ პირბადეს და არ ამოწმებდნენ სამაგიდო სიაში არსებულ ფოტოსურათს,<sup>491</sup> ზოგან თავად დამკვირვებლები არ იცავდნენ პირბადის ტარების წესს - ან საერთოდ არ ეკეთათ პირბადე, ან ეკეთათ არასწორად.<sup>492</sup> ასეთი ტიპის დარღვევები შეინიშნებოდა მთელი დღის განმავლობაში.

## II ტური

პირველი ტურის მსგავსად, ამჯერადაც გამოვლინდა ხარვეზები პანდემიის შესაკავებლად მიღებული ზომების აღსრულებისას. ხშირად კომისიის წევრები (ნაკადის მომწესრიგებელი/რეგისტრატორი) მოქალაქეებს არ ახსნევენებდნენ პირბადეს ვინაობის დასადასტურებლად, როგორც ამას წესი მოითხოვდა.<sup>493</sup>

### ამომრჩევლის ნების კონტროლი

ამომრჩევლის ნების კონტროლი კენჭისყრის დღის მთავარი გამოწვევა იყო. ეს ნეგატიური პრაქტიკა ორივე ტურის მიმდინარეობისას, მისი ფორმის და მასშტაბურობის გათვალისწინებით, საგანგაშო ხასიათს ატარებდა. ზემოქმედების შემთხვევები იყო კენჭისყრის ოთახშიც, თუმცა მთავარი მოვლენები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარდა. ეს პრაქტიკა უმთავრესად გულისხმობდა უბნებთან ბაზირებულ მოთვალთვალებს, რომლებიც ან საკუთარი მხარდამჭერების კენჭისყრის ადგილზე გამოცხადებას აღნუსხავდნენ (ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყოფდნენ მათ გადაყვანა-ტრანსპორტირებასაც), ან აგიტაციას ეწეოდნენ და კენჭისყრის შენობის შესასვლელთან ცდილობდნენ ამომრჩევლის დარწმუნებას, ან, უბრალოდ, იქ ყოფნით ზეწოლის გარემოს ქმნიდნენ. ეს გარემოება, საერთო ჯამში, თვალთვალის განცდას ტოვებდა და ამომრჩევლის ბუნებრივი ქცევის დამახინჯების საფრთხეს აჩენდა.

#### ა) ამომრჩეველზე ზეგავლენა უბანზე

უბნების შიგნით ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებას ცდილობდნენ როგორც დამკვირვებლები, ისე კომისიის წევრები, რომლებიც ამკარად პოლიტიკური პარტიების ინტერესებს ატარებდნენ და, პოტენციურად, ზეგავლენას ახდენდნენ ხმის მისაცემად მისულ მოქალაქეებზე.

## I ტური

ნების კონტროლის ზოგი შემთხვევა უბნის შიგნით უკავშირდებოდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას.<sup>494</sup> ასეთი ფაქტი გამოიკვეთა დმანისის უბანზე,<sup>495</sup> სადაც ამომრჩევლები შემოხაზულ ბიულეტენებს აჩვენებდნენ კომისიის წევრებს ან დამ-

<sup>491</sup> ფაქტი მცხეთის №24 და ზესტაფონის №14 უბანზე გამოვლინდა.

<sup>492</sup> ფაქტი ნაძალადევის №66 და ახალქალაქის №35 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>493</sup> ფაქტი საბურთალოს №58, რუსთავის №13 და №34, გლდანის №94, დიღუბის №46 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>494</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-3 მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>495</sup> ფაქტი დმანისის №19 უბანზე გამოვლინდა.

კვირვებლებს, რომლებიც შემდგომ რვეულში ინიშნავდნენ ამ მონაცემებს. თავმჯდომარემ არათუ არ გაითვალისწინა საიას დამკვირვებლის შენიშვნა, არამედ დაემუქრა, რომ გამგებლისა და პოლიციის ძალით დაატოვებინებდა შენობას.

ხმის მიცემის ფარულობის სისტემური დარღვევა აღნუსხა სადამკვირვებლო მისიამ საგარეჯოში.<sup>496</sup> სადაც ახალგაზრდა მამაკაცი ასაკოვან ამომრჩევლებთან ერთად შედიოდა კაბინაში და ეხმარებოდა მათ ხმის მიცემაში.<sup>497</sup> ეს ამ ადამიანების მიერ ქართული ენის არცოდნით აიხსნა. კანონმდებლობით, ამომრჩევლებს შეუძლიათ, ერთმანეთს დაეხმარონ,<sup>498</sup> მაგრამ ამ შემთხვევის პრობლემურობა მის მრავალჯერად ხასიათში ვლინდება, რადგან ამ კონკრეტული პირის მხრიდან ამგვარი ქმედება მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ერთ უბანზე გამოვლინდა აგიტაციის მცდელობა პარტიის წარმომადგენლის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“) მხრიდან. საიას ინფორმაციით, მან ამომრჩევლებს პირდაპირ მოუწოდა, ბიულეტენში 5 ნომერი შემოეხაზა.<sup>499</sup> მას შემდეგ, რაც საიას დამკვირვებელმა ფაქტის შესახებ თავმჯდომარეს აცნობა, მან დაუყოვნებლივ დაატოვებინა ამ პირს საარჩევნო უბანი.

საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს კომისიის წევრის მიერ უბანზე მისული ამომრჩევლების მონაცემების ჩანიშვნის ფაქტებიც.<sup>500</sup> სხვა უბანზე იგივე ქმედება სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან გამოვლინდა.<sup>501</sup>

ყველა ამ შემთხვევას მისიის დამკვირვებლების შენიშვნა მოჰყვა. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევაზე საიამ საჩივარიც დაწერა,<sup>502</sup> თუმცა საოლქო კომისიამ არ დააკმაყოფილა. მან მიიჩნია, რომ კომისიის თავმჯდომარემ ადგილზე უკვე მოახდინა რეაგირება, როდესაც უბანში მყოფი პირები გააფრთხილა ასეთი ქმედების დაუშვებლობის შესახებ.<sup>503</sup>

## II ტური

ცალკეულ უბნებზე, კენჭისყრის შენობაში, შეინიშნებოდა კოორდინატორებისა და საექვო პირთა კონცენტრაცია, რომლებიც ამომრჩევლებს აკვირდებოდნენ.<sup>504</sup> უბნის შენობაში იმყოფებოდნენ აგიტატორებიც,<sup>505</sup> ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ამაში ჩართულნი იყვნენ დამკვირვებლებიც.<sup>506</sup>

ზოგჯერ უბნის შენობაში მყოფი კოორდინატორები, დაბალი აქტივობის გამო, ამო-

<sup>496</sup> ფაქტი საგარეჯოს №42 უბანზე გამოვლინდა.

<sup>497</sup> „კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 14:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 31.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qKr6fh>, განახლებულია: 10.03.2021.

<sup>498</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 65-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>499</sup> ფაქტი ხაშურის №26 უბანზე გამოვლინდა.

<sup>500</sup> ფაქტი ჩხოროწყუს №25 და თელავის №5 უბანზე გამოვლინდა.

<sup>501</sup> ფაქტი კრწანისის №1 უბანზე გამოვლინდა.

<sup>502</sup> №23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №31/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qB93HQ>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>503</sup> იქვე.

<sup>504</sup> ფაქტი კრწანისის №12, გლდანის №86 და №87, სამგორის №15 და №16, რუსთავის №46, ნაძალადევის №67 და №69, კრწანისის №27 და №28 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>505</sup> ფაქტი რუსთავის №46 უბანზე გამოვლინდა.

<sup>506</sup> ფაქტი დიდუბის №1 უბანზე გამოვლინდა.

მრჩეველთან რეკავდნენ,<sup>507</sup> ან საჯაროდ საუბრობდნენ ხალხის მობილიზებაზე.<sup>508</sup> ერთ შემთხვევაში უბანზე მყოფმა დამკვირვებელმა რეგისტრატორს სამაგიდო სიაში კონკრეტული პირის მოძიება სთხოვა იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა უკვე ხმა მიცემული.<sup>509</sup> ცალკეულ უბნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები ამომრჩეველებს აღრიცხავდნენ.<sup>510</sup> კომისიის ერთ-ერთმა წევრმა (რომელიც ძირითადად ყუთთან ზის) ამომრჩეველს, ხმის მიცემისა და ყუთში ბიულეტენის ჩაგდებას შემდეგ, ტელეფონის ნომერი გამოართვა.<sup>511</sup>

## ბ) ამომრჩეველზე ზეგავლენა პერიმეტრზე

ორივე ტურში, საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, მთელი დღის განმავლობაში უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა საეჭვო პირების კონცენტრაცია და ხალხმრავლობა. ეს სიტუაცია იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველგან, იშვიათი გამონაკლისის გარდა. პარტიების ბაზირებული მოთვალთვალეები და კოორდინატორები აკვირდებოდნენ უბანზე მოსულ ამომრჩეველებს, აწარმოებდნენ მათ აღრიცხვას და უზრუნველყოფდნენ მათ ტრანსპორტირებას. ნაწილი მათგანი კენჭისყრის შენობის შესასვლელთან, ნაწილი კი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 50 მეტრის რადიუსში იმყოფებოდა.

საიას სადამკვირვებლო მისიამ უფრო დეტალური ინფორმაციაც მოაგროვა უბნებთან ბაზირებული მოთვალთვალეების მუშაობის სქემებზე. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პარტიები (როგორც მმართველი, ისე ოპოზიცია - თუმცა ხელისუფლებას უფრო დიდ რესურსზე მიუწვდებოდა ხელი და ამ მიმართულებით უფრო აქტიური იყო) სამი ტიპის მსტოვრებს იყენებდნენ. ზოგჯერ მოთვალთვალეთა ამ სამ ფუნქციას ერთი და იგივე პირი ითავსებდა.

პირველ ტიპს მიეკუთვნებიან კოორდინატორები, რომლებიც აღრიცხავენ უბანზე მისულ ამომრჩეველებს და ამ მონაცემებს აწოდებენ პარტიებს.

პირველ ტურში ასეთი შემთხვევები საიამ არაერთ უბანზე გამოავლინა.<sup>512</sup> ზოგჯერ ეს პირები საუბრობდნენ მობილურ ტელეფონზე და მიუთითებდნენ ამომრჩეველებზე, რომლებიც უკვე იყვნენ ხმის მისაცემად. ზოგჯერ იყენებდნენ პატარა წებოვან ფურცლებს, რომლებიც თვალისთვის ძნელი აღსაქმელია და ჯიბეში ჩასადებად კომფორტულია. ამ ფურცლებზე იწერდნენ ადამიანთა ვინაობას და გვერდით უწერდნენ რიცხვებს. ზოგ შემთხვევაში ეს პირები უზრუნველყოფდნენ ამომრჩეველის მოყვანა-ტრანსპორტირებასაც. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ბაზირებულ პირს A ამომრჩეველმა ხმის მიცემის შემდეგ ჰკითხა, ახლა რა უნდა ვქნაო და მან უპასუხა, რომ გარეთ დალოდებოდა.<sup>513</sup> იმავე პირთან მივიდა B ამომრჩეველი და ჰკითხა, რა ნომერი უნდა შემოეხაზა. იყო შემთხვევა, როცა დაახლოებით 15-20 ადამიანი იმყოფებოდა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.<sup>514</sup> ზოგიერთი მათგანი სარგებლობდა ავტომობილით და ეტაპობრივად მოჰყავდა ამომრჩეველები.

<sup>507</sup> ფაქტი გლდანის №37, №65 და №66, კრწანისის №10, რუსთავის №72 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>508</sup> ფაქტი ისნის №30, №31 და №32 უბანზე გამოვლინდა.

<sup>509</sup> ფაქტი გლდანის №45 უბანზე გამოვლინდა.

<sup>510</sup> ფაქტი საბურთალოს №30 და №31, სამგორის №27 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>511</sup> ფაქტი კრწანისის №14 უბანზე გამოვლინდა.

<sup>512</sup> ფაქტი გამოვლინდა ჩუღურეთის №37 და №38, ისნის №43, გლდანის №79 და №84, გორის №100, გურჯაანის №12 და №6, ასპეტის №25, ქედის №15 და №16 უბნებზე, ასევე გურჯაანის №36-42 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე.

<sup>513</sup> ფაქტი ჩუღურეთის №40 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>514</sup> ფაქტი საბურთალოს №89 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.



მეორე ტურშიც გამოვლინდა ასეთი შემთხვევები, როდესაც უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი კოორდინატორები აღრიცხავდნენ ხმის მისაცემად მისულ ამომრჩევლებს და ამ მონაცემებს აწვდიდნენ პარტიებს.<sup>515</sup> ზოგჯერ სამარშრუტო ტაქსების მეშვეობით უზრუნველყოფდნენ ამომრჩევლების ტრანსპორტირებას.<sup>516</sup> საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოთვალთვალები ავტომობილებში ისხდნენ და ინიშნავდნენ უბანზე მისულ ამომრჩევლებს.<sup>517</sup> ზოგჯერ ამომრჩევლები უბნიდან გამოსვლის შემდეგ მიდიოდნენ ამ მანქანებთან და იქ მსხდომ პირებს ესაუბრებოდნენ.<sup>518</sup> იშვიათად, ამ პირებს უბნებთან სუფრა ჰქონდათ გამლილი.<sup>519</sup>

მეორე ტიპის კოორდინატორები უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მათი მისია ზეწოლის გარემოს შექმნა იყო. ისინი კენჭისყრის დასრულების შემდეგ ბიულეტენების თვლის დროსაც რჩებოდნენ ადგილზე და ელოდებოდნენ შედეგებს.

პირველ ტურში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც უბანზე ამომრჩეველთა გასასვლელ კორიდორში იმყოფებოდნენ საექჟო პირები. ეს ნიშნავდა, რომ ამომრჩეველს უბანზე შესვლამდე და გამოსვლისას მხოლოდ მათი გავლით შეეძლო დანიშნულების ადგილამდე მიღწევა.<sup>520</sup> იყო შემთხვევა, როცა ეს პირები ცდილობდნენ, ხმის მიცემამდე დაემყარებინათ კომუნიკაცია ამომრჩევლებთან და სხვადასხვა ფორმით მოეხდინათ ზეგავლენა მათ ნებაზე. ხსენებულ პირებს ზოგჯერ ამომრჩევლები ამ მიზნით ცალკე ოთახშიც გაჰყავდათ.<sup>521</sup> გამოვლინდა ფაქტები, როდესაც უბანთან მდგარი ადამიანები, რომლებიც, სავარაუდოდ, კრიმინალურ სუბკულტურასთან იყვნენ დაახლოებული, ღიად ზემოქმედებდნენ ამომრჩევლებზე და ეკითხებოდნენ, მაგალითად, რატომ არ იყო არჩევნებზე მისული მისი ოჯახის წევრი.<sup>522</sup>

მეორე ტურზე ამგვარი შემთხვევები უფრო გახშირდა. ეს, ძირითადად, უბნებთან მობილიზებული, სავარაუდოდ, კრიმინალურ სუბკულტურასთან დაახლოებული პირების საშუალებით ხდებოდა. საიას დამკვირვებელმა შეამჩნია საარჩევნო უბანთან მდგომი ორი მანქანა. აქედან ერთში, დამკვირვებლის თქმით, კოორდინატორები ისხდნენ, ხოლო მეორეში - ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც აკვირდებოდნენ ყველა მომსვლელს.<sup>523</sup> იგივე ხდებოდა სხვა უბანთანაც.<sup>524</sup> ერთ ასეთ შემთხვევაში, როდესაც საიას დამკვირვებელმა კოორდინატორების ფურცლებს ფოტო გადაუღო (მათზე ამომრჩევლების სახელები და მისამართები ეწერა), მას თავს დაესხნენ უცნობი პირები და დაემუქრნენ.<sup>525</sup>

მეთვალყურეთა მესამე ტიპს, სხვადასხვა მიზეზის გამო, გავლენიანი პირები განეკუთვნებიან. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო პირველ ტურში. მაგალითად, როდესაც მერის რწმუნებული იმყოფებოდა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, უბანზე მოსულ ამომრჩეველს აღრიცხავდა და ორგანიზებას უწევდა სხვა ამომრჩევლის მოყვა-

<sup>515</sup> ფაქტი ისნის №25, №56, №57, №55 და №75, ჩუღურეთის №40, ჩუღურეთის №11, საბურთალოს №35, გლდანის №13, კრწანისის №13, რუსთავის №23, №27, №28, №44 და №70, თერჯოლის №.3, №14 და №26 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>516</sup> ფაქტი კრწანისის №29 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>517</sup> ფაქტი რუსთავის №39, №41 და №43, გლდანის №54, №55 და №56 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>518</sup> ფაქტი რუსთავის №2 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>519</sup> ფაქტი ნაძალადევის №36 და კრწანისის №15 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>520</sup> ფაქტი თეთრიწყაროს №3 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>521</sup> ფაქტი ახმეტის №25 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>522</sup> ფაქტი კრწანისის №1-№9 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>523</sup> ფაქტი ნაძალადევის №37 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>524</sup> ფაქტი დიდუბის №7 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>525</sup> ფაქტი რუსთავის №45 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

ნასაც.<sup>526</sup> ერთ ასეთ შემთხვევაში სოფლის დეპუტატი იდგა უბნიდან 25-30 მეტრის მოშორებით, ამომრჩევლები ჯერ მასთან მიდიოდნენ, გადიოდნენ კონსულტაციას და შემდეგ მიდიოდნენ საარჩევნო უბანზე.<sup>527</sup> სოფლის დეპუტატი (იგი „პატრიოტთა ალიანსს“ უცხადებდა მხარდაჭერას<sup>528</sup>) იმყოფებოდა კიდეც ერთი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. საიამ აღრიცხა ისეთი ფაქტებიც, როდესაც უბნებთან მთელი საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას იდგნენ ადამიანები, რომლებიც მუდმივად ეკონტაქტებოდნენ ამომრჩევლებს გარკვეული ინტერვალით და ინიშნავდნენ მონაცემებს.<sup>529</sup> ეს პირები აშკარად სარგებლობდნენ ამომრჩეველთა განსაკუთრებული პატივისცემით.

მეორე ტურში ასეთი მხოლოდ ერთი ფაქტი გამოვლინდა. „ქართული ოცნების“ დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში ვლადიმერ მგალობლიშვილი უბნის კართან იდგარამდენიმე ადამიანთან ერთად.<sup>530</sup>

## 25-მეტრიან რადიუსში პირის გადაადგილების შეფერხება და აგიტაცია

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია აგიტაცია.<sup>531</sup> ამასთანავე, ბოლო ცვლილებებით, საარჩევნო კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც მიზნად ისახავს კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის ნების კონტროლის პრობლემის აღმოფხვრას. ამ რეგულაციით, დაუშვებელია კენჭისყრის შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.<sup>532</sup>

საიასთვის ცნობილი გახდა არაერთი შემთხვევის შესახებ, როდესაც 25-მეტრიანი რადიუსის დისტანციაზე აფერხებდნენ ამომრჩევლებს და მათზე სხვადასხვა ფორმით ზემოქმედებდნენ. საიამ ასევე აღნუსხა 25 მეტრის მიღმა ამომრჩევლის ნების კონტროლის ფაქტები. ცალკეულ შემთხვევებში კენჭისყრის შენობაში აგიტაციის აკრძალვის წესი დაარღვიეს პარტიებმა „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“.

### 1 ტური

კენჭისყრის შენობასთან მყოფი პირები ცდილობდნენ ამომრჩეველთან კომუნიკაციას მანამდე, ვიდრე ისინი ხმას მისცემდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ უბანზე 25 მეტრის რადიუსში იყვნენ პირები, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ აგიტაციას, ცალკე გაჰყავდათ და ესაუბრებოდნენ ამომრჩეველს. ასევე ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც საარჩევნო უბნის კარამდე მოჰყავდათ ამომრჩეველი და ეუბნებოდნენ, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა.<sup>533</sup> ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო ამ წესის დამრღვევების პარტიული აფილირების გამოვლენაც, როდესაც მმართველი გუნდი 25

<sup>526</sup> ფაქტი გურჯაანის №12 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>527</sup> ფაქტი ქარელის №30 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>528</sup> ფაქტი მარტვილის №13 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>529</sup> ფაქტი ქედის №15 და №16, ზესტაფონის №10, №14, №16, №13 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>530</sup> ფაქტი ბათუმის №52 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>531</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>532</sup> იქვე, მე-12 ნაწილი.

<sup>533</sup> ფაქტი ზესტაფონის №19, №20, და №42 უბნებზე გამოვლინდა.

მეტრის რადიუსში ახმოვანებდა საკუთარ ინტერესებს.<sup>534</sup> სოფლის რწმუნებული და პარტიის კოორდინატორები მოუწოდებდნენ ამომრჩეველს, მხარი დაეჭირათ მმართველი პარტიისთვის. იქვე მობილიზებული იყო რამდენიმე კაცისგან შემდგარი დაჯგუფება, რომელიც ასევე მოუწოდებდა ამომრჩევლებს, მხარი დაეჭირათ „ქართული ოცნებისთვის“ და ორივე ფურცელზე შემოესაზათ 41 ნომერი. კიდევ ერთ უბანზე რადიუსის მიგნით იმყოფებოდა პირი, რომელიც მოუწოდებდა მისულებს, რომ ხმა მიეცათ ოპოზიციისთვის.<sup>535</sup>

ასეთი შემთხვევები გამოვლინდა კენჭისყრის შენობიდან 50 მეტრის რადიუსში პარტია „ქართული ოცნების“ აგიტატორების მხრიდან, როდესაც ისინი აფერხებდნენ ამომრჩევლებს.<sup>536</sup> ზოგჯერ 50 მეტრის რადიუსში მობილიზებული პირები ცდილობდნენ ამომრჩევლებთან გასაუბრებას და მათ ნებაზე ზემოქმედებას.<sup>537</sup> ცალკეულ უბნებთან ამავე დისტანციაზე შეინიშნებოდა ხალხმრავლობა.<sup>538</sup> ერთ-ერთ უბანთან ამ დისტანციაზე ისმოდა „ქართული ოცნების“ სარეკლამო სიმღერა.<sup>539</sup> არცერთი ეს შემთხვევა კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ცუდი პრაქტიკაა, რადგან 25 მეტრის რადიუსში ამომრჩევლის ნების კონტროლის ამკრძალავი ნორმის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება.

კენჭისყრის შენობაში აგიტაციის აკრძალვის წესი დაარღვიეს პარტია „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორებმა, რომლებიც თითოეულ ამომრჩეველს აჩერებდნენ და ეკითხებოდნენ, მისცეს თუ არა ხმა, ინიშნავდნენ მათ ვინაობას, ჰქონდათ სიები ფოტოებით, რის საფუძველზეც ამოიცნობდნენ მისულ ამომრჩეველს.<sup>540</sup>

## II ტური

საიას ინფორმაციით, აგიტატორები მობილიზებულები იყვნენ ცალკეულ უბნებზე.<sup>541</sup> მეტიც, ერთ-ერთი უბნის გარე პერიმეტრზე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც რამდენიმე ამომრჩეველს ყველას გასაგონად მიუთითეს, რომ გადაესაზათ შალვა შავგულიძე და ხმა მიეცათ „ქართული ოცნებისთვის“.<sup>542</sup> სხვაგან უბნის გარეთ 5-6 ადამიანი იყო შეკრებილი, რომლებმაც მოსულ ამომრჩევლებს 41 ნომერი გადასცეს.<sup>543</sup>

## სააგიტაციო მასალის განთავსება

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრზე ახლოს სააგიტაციო მასალის განთავსება.<sup>544</sup> საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ეს წესი დარღვეული იყო ცალკეულ უბნებთან.

<sup>534</sup> ფაქტი ქარელის №30 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>535</sup> ფაქტი დედოფლისწყაროს №14 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>536</sup> ფაქტი გურჯაანის №6 და №12 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>537</sup> ფაქტი ახმეტის №25 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>538</sup> ფაქტი დედოფლისწყაროს №23 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>539</sup> ფაქტი კრწანისის №1-№9 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>540</sup> ფაქტი მარტვილის №17 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>541</sup> ფაქტი რუსთავის №24, №25 და №26 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>542</sup> ფაქტი მთაწმინდის №32, №33, №34 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>543</sup> ფაქტი ჩუღურეთის №7 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>544</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 25-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

## I ტური

ორ უბანთან კენჭისყრის შენობიდან 25 მეტრის რადიუსის შიგნით იყო გამოკრული პარტია „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატების პლაკატები.<sup>545</sup> თერჯოლის ზოგიერთ უბანთან, 25 მეტრის რადიუსში, სავალ გზაზე ე.წ. „შესასხურებელი საღებავით“ ეწერა ნომერი 41 და უშუალოდ უბნის შესასვლელში ინიციალი „ქ.ო“. ერთი ასეთი შემთხვევა თავმჯდომარემ შეტყობისთანავე აღმოფხვრა.<sup>546</sup> საიამ აღნუსხა ისეთი ფაქტიც, როდესაც პარტიული პლაკატი გამოკრული იყო საავტომობილო მანქანაზე, რომელიც უბანთან იდგა.<sup>547</sup> თუმცა, ამ პირებმა ზეპირი შენიშვნის შემდეგ დატოვეს ტერიტორია და აღარ გამოჩენილან.

## II ტური

მეორე ტურში ორი ასეთი ფაქტი გამოვლინდა. ერთ შემთხვევაში უბნის გარეთ, 10 მეტრის მანძილზე, „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალა იყო გაკრული.<sup>548</sup>

### ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

ამომრჩევლის გულის მოსაგებად ფინანსური სარგებლის გაცემის ხერხს პოლიტიკურმა პარტიებმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, ოფიციალური კამპანიის დაწყებამდე მიმართეს. ამან გააჩინა მოლოდინი, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა არჩევნების დღესაც გაგრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევები ყოველთვის ხილული არ არის და რთულია მათი გამოამჟღავნება, კენჭისყრის პირველ ტურში საიას დამკვირვებლებმა მაინც შეძლეს მათი გამოვლენა. მათ ცალკეულ უბნებზე აღრიცხეს ამომრჩევლებისთვის თანხის ხელიდან ხელში გადაცემის ფაქტები.<sup>549</sup> იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის (სავარაუდოდ, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“) წარმომადგენელს ჰქონდა სია და თანხას გადასცემდა გარეთ მდგომ ამომრჩევლებს.<sup>550</sup>

ქარელის ერთ-ერთი უბნის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღში მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ სოფლის რწმუნებული და მისი მხარდამჭერები.<sup>551</sup> ამ შენობიდან გამოსულმა ქალმა თანხა გადასცა კენჭისყრის შენობასთან მდგარ ერთ-ერთ ამომრჩეველს.

### ფიზიკური დაპირისპირება და ძალადობრივი ქმედებები

31 ოქტომბერს, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში, უბნებსა და გარე პერიმეტრზე საიამ შენიშნა და აღრიცხა ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები. ეს, ძირითადად, პარტიული მოტივით იყო განპირობებული და მათში მონაწილეობდნენ

<sup>545</sup> ფაქტი მარტვილის №15 და №19 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>546</sup> ფაქტი ხაშურის №25 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>547</sup> ფაქტი შუახევის №30 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>548</sup> ფაქტი ჩუღურეთის №17 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>549</sup> ფაქტი ახმეტის №25, ქარელის №30 და №18, ხაშურის №21 და №39 უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>550</sup> ფაქტი თეთრიწყაროს №3 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

<sup>551</sup> ფაქტი ქარელის №30-ე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა.

როგორც დამკვირვებლები, ისე აქტივისტები და მოქალაქეები. ამ ფაქტების უმრავლესობაზე დაიწყო გამოძიება.

გლდანის საარჩევნო უბნებთან<sup>552</sup> მოხდა ფიზიკური დაპირისპირება<sup>553</sup> „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ აფილირებულ პირებს შორის. მმართველი პარტიის მხარდამჭერები მეორე მხარეს აიძულებდნენ, დაეტოვებინათ ტერიტორია და თავიანთი საქმიანობა შეეწყვიტათ.<sup>554</sup> მოძალადეები მათ მოიხსენიებდნენ, როგორც „ნაციონალებს“ და ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.<sup>555</sup> პირები, რომლებიც ამ ფაქტს შეესწრნენ, აღნიშნავდნენ, რომ ინციდენტისას ადგილი ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებას.<sup>556</sup> საიამ მიმართა შსს-ს, გამოეძიებინა ეს ფაქტი, ვინაიდან აქ გამოიკვეთა ისეთი დანაშაულების ნიშნები, როგორიცაა კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობა<sup>557</sup> და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება.<sup>558</sup>

შსს-ს ინფორმაციით, 31 ოქტომბერს გლდანის უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციამ აღმინისტრაციული წესით დააკავა 8 პირი, მათგან 4 - წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე,<sup>559</sup> ხოლო 4 - წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს მიმართ დაუმორჩილებლობის ფაქტზე.<sup>560</sup> ამ პირთაგან ერთ-ერთს აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგანი, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პნევმატური პისტოლეტი იყო და არ მიეკუთვნებოდა ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიას.<sup>561</sup> საია მიესალმება სამართალდამცავთა ოპერატიულ ქმედებას, თუმცა ნეგატიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ არ დაიწყო გამოძიება. ის გარემოება, რომ პნევმატური პისტოლეტი არ განეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიას, არ გამორიცხავს, რომ თუნდაც ამ ტიპის იარაღი გამოყენებული ყოფილიყო ვინმეს დაშინებისა და მუქარის მიზნით (მუქარისას იმ პირის სუბიექტური აღქმა მნიშვნელოვანი, ვისაც ემუქრებიან და არა ის, რეალურად არის თუ არა შესაძლებელი მისი სისრულეში მოყვანა). საია მიიჩნევს, რომ არსებობდა გამოძიების დაწყების საფუძველი, რის შემდეგაც უნდა შეფასებულიყო, შეიცავდა თუ არა იარაღის მქონე პირის ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

უცნობმა პირებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პარტია „ლეიბორისტების“ ქუთაისის მერობის კანდიდატს.<sup>562</sup> ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის მუხლით.<sup>563</sup>

გამოძიება დაიწყო ასევე ღიდმის ერთ-ერთი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტზე,<sup>564</sup> სადაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ერთიანი ნაციონა-

<sup>552</sup> ფაქტი გლდანის №79, №80 და №81 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>553</sup> „კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 18:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 31.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y8EJJ6>, განახლებულია: 30.05.2021

<sup>554</sup> იქვე.

<sup>555</sup> იქვე.

<sup>556</sup> იქვე.

<sup>557</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 162<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>558</sup> იქვე, 236-ე მუხლი.

<sup>559</sup> საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 166-ე მუხლი.

<sup>560</sup> იქვე, 166-ე მუხლი და 173-ე მუხლები.

<sup>561</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 10 მარტის წერილი.

<sup>562</sup> ფაქტი საბურთალოს №37 უბანზე გამოვლინდა.

<sup>563</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 162<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>564</sup> ფაქტი საბურთალოს №40 უბანზე გამოვლინდა.



ლური მოძრაობის“ აქტივისტს. გამოძიება ძალადობის მუხლით<sup>565</sup> მიმდინარეობს.

დამკვირვებლებს შორის კამათი თელავის ერთ-ერთ უბანზე ჩხუბსა და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.<sup>566</sup> უბანზე დაძაბული სიტუაცია მთელი დღის განმავლობაში შეიმჩნეოდა. ამ ფაქტის გამოძიების შესახებ შსს-დან გამოგზავნილ წერილში ინფორმაცია არ იყო მოცემული.<sup>567</sup>

ფიზიკური ძალადობის ფაქტები გამოვლინდა სხვა უბნებზეც. ერთ-ერთ შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ თანასოფელს.<sup>568</sup> ასევე, ძალადობრივი ინციდენტი მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის მიმართ მარნეულის ერთ-ერთ უბანთან. შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეებზე გამოძიება ძალადობის მუხლით მიმდინარეობს.<sup>569</sup>

საია დადებითად აფასებს სამართალდამცავების დროულ რეაგირებასა და გამოძიების დაწყებას კენჭისყრის დღეს მომხდარ დაპირისპირებებსა და ძალადობრივ ქმედებებზე. გარდა ერთი ინციდენტისა, სადაც, საიას შეფასებით, უნდა დაწყებულიყო გამოძიება, რადგან იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ამასთანავე, საია მიესალმება, რომ საგამოძიებო უწყებამ ორგანიზაციას პროაქტიულად მიაწოდა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საქმეების ეფექტიანი და დროული გამოძიება.

## დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლა

დამკვირვებელი კენჭისყრის დღეს სარგებლობს საარჩევნო კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებებით. მათ შორის, მას უფლება აქვს, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე თვალი ადევნოს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან, დააკვირდეს ამომრჩევლის რეგისტრაციას, განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება, დაესწროს ხმის დათვისა და შეჯამების პროცესს.<sup>570</sup> მას აგრეთვე შეუძლია, საარჩევნო პროცედურებისთვის ხელშეშლის გარეშე, კენჭისყრის შენობაში აწარმოოს ფოტო/ვიდეო გადაღება, გარდა კენჭისყრის კაბინისა და ამომრჩეველთა სამაგიდო სიისა.<sup>571</sup>

დღის განმავლობაში რამდენიმე უბანზე საიას დამკვირვებლებს არ მიეცათ თავიანთი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვის საშუალება. ეს გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, კომისიის მიერ მათი მუშაობის ხელშეშლაში (უბნიდან უსაფუძვლოდ გაძევება, პროცედურაზე არდაშვება, საჩივრის დაწერაში ხელის შეშლა), ხოლო მეორე მხრივ - უმოქმედობაში, როდესაც კომისიის თავმჯდომარე არ იღებდა შესაბამის ზომებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად. კენჭისყრის მეორე ტურში დამკვირვებლების საქმიანობის ხელშეშლის შემთხვევების რაოდენობამ და ფორმამ საგანგაშო ხასიათი მიიღო. გამოვლინდა ზეწოლისა და მუქარის ფაქტები საიას და-

<sup>565</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>566</sup> ფაქტი თელავის №54 უბანზე გამოვლინდა.

<sup>567</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 10 მარტის წერილი.

<sup>568</sup> ფაქტი მარნეულის №52 უბანზე გამოვლინდა.

<sup>569</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 162<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>570</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>571</sup> იქვე, მე-8 მუხლის 25-ე ნაწილი.

მკვირვებლების მიმართ. ეს, საერთო ჯამში, სადამკვირვებლო მისიას ხელს უშლიდა სრულფასოვან დაკვირვებაში და ქმნიდა მტრულ, დაძაბულ გარემოს უბნებზე.

### 1 ტური

საიას დამკვირვებელი, რომელიც უბანზე დროულად გამოცხადდა დამკვირვებლისთვის საჭირო ყველა ატრიბუტივით, უბანზე არ შეუშვეს იმ არგუმენტით, თითქოს მას არ ჰქონდა წილისყრის პროცედურებზე დასწრების უფლება.<sup>572</sup> დამკვირვებელს რეგისტრაციის პრობლემა შეექმნა საზღვარგარეთის ერთ-ერთ უბანზეც და ის მხოლოდ ორგანიზაციის ჩარევის შემდეგ აღმოიფხვრა. მანამდე მას განუმარტავდნენ, რომ დამკვირვებლები უბანზე მხოლოდ როტაციის წესით დაიშვებოდნენ.<sup>573</sup>

ერთ-ერთ უბანზე კენჭისყრის მიმდინარეობისას კომისიის წევრებმა საიას დამკვირვებელს არ მისცეს საშუალება, გასცნობოდა ჩანაწერთა წიგნს და მასში შენიშვნა დაეფიქსირებინა.<sup>574</sup> მაშინ, როდესაც ის ტელეფონით იღებდა დარღვევის ფაქტს, კომისიის წევრებმა მობილური წაართვეს, ფოტო წაუშალეს და უბნიდან გამოაძევეს.<sup>575</sup> კიდევ ერთ შემთხვევაში დამკვირვებელს უსაფუძვლოდ დაატოვებინეს უბანი და არ მისცეს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა.<sup>576</sup>

ამ საქმეებიდან ზოგიერთზე საიამ საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც მიიჩნია, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ქმედებებში არ იკვეთებოდა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა,<sup>577</sup> ან წარდგენილი საჩივარი არ იყო საკმარისად დასაბუთებული.<sup>578</sup> არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მარნეულში საიას დამკვირვებელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო საზოგადოების“ დამკვირვებელმა.<sup>579</sup> კომისიის თავმჯდომარის უმოქმედობის გამო, საია ითხოვდა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობას დაკისრებას. თავმჯდომარის განმარტებით, ამ დროს დროს იგი დერეფანში იმყოფებოდა და, როდესაც დაბრუნდა, ინციდენტი აღმოფხვრილი იყო. საოლქო კომისიამ არ დაადგინა თავმჯდომარის ბრალეულობა და არ გამოიყენა მის მიმართ დისციპლინური ზომა.<sup>580</sup> ამ ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.<sup>581</sup>

<sup>572</sup> ფაქტი გარდაბნის №19 უბანზე გამოვლინდა.

<sup>573</sup> ფაქტი ათენის №39 უბანზე გამოვლინდა.

<sup>574</sup> ფაქტი ქუთაისის №59, სამტრედიის №95, სენაკის №25 და წალენჯიხის №25 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>575</sup> ფაქტი თელავის №5 უბანზე გამოვლინდა.

<sup>576</sup> ფაქტი სამტრედიის №51 და თელავის №5 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>577</sup> ქუთაისის №59 საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 02 ნოემბრის №260/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3byxjGs>, განახლებულია: 31.05.2021; №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 02 ნოემბრის №260 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3l7BsnR>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>578</sup> მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 02 ნოემბრის №41/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qvr22p>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>579</sup> ფაქტი მარნეულის №5 უბანზე გამოვლინდა.

<sup>580</sup> მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 02 ნოემბრის №31/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30yHULj>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>581</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 9 მარტის წერილი.

## II ტური

ერთ-ერთ უბანზე კომისიის თავმჯდომარე საიას დამკვირვებელს არ აძლევდა საშუალებას, კანონის ფარგლებში გაეკონტროლებინა რეგისტრატორის საქმიანობა და დარწმუნებულიყო, რომ იგი ნამდვილად სვამდა ბეჭედსა და ხელმოწერას ბიულეტენზე.<sup>582</sup> გამოვლინდა ასევე ფაქტი, როდესაც დამკვირვებელს არ მისცეს შენიშვნის დაფიქსირების შესაძლებლობა.<sup>583</sup> კიდევ ერთ შემთხვევაში, დამკვირვებლის მცდელობას, შენიშვნა გაეკეთებინა ჩანაწერთა წიგნში, კომისიის წევრების მხრიდან მოჰყვა აგრესიული რეაქცია, რაც შემდგომ სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა.<sup>584</sup> ერთ-ერთ უბანზე კომისიის წევრებმა საიას დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა გადაასწორეს და მას დოკუმენტის ნახვის უფლებას არ აძლევდნენ.<sup>585</sup> მას შემდეგ, რაც მან ჩანაწერთა წიგნში ამის შესახებ დამატებითი შენიშვნის ჩაწერა სცადა, იგი უცნობმა პირებმა გარეთ გაიყვანეს და დაემუქრნენ. უთხრეს, რომ მისი მისამართი იცოდნენ და მისთვისვე უკეთესი იყო, თუ საჩივარს უკან გამოიტანდა და ოლქშიც არ გაასაჩივრებდა. კიდევ ერთ შემთხვევაში უცნობმა პირებმა საიას დამკვირვებლის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება გამოხატეს მას შემდეგ, რაც მან ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ღიად ისაუბრა კოორდინატორების მხრიდან ამომრჩეველთა მობილიზებაზე. ამ პირებმა მას „მოლაღატე“ უწოდეს. არსებული მტრული გარემოს გამო, საიას დამკვირვებელს უბნის დატოვება მოუწია.<sup>586</sup>

ერთ-ერთ უბანთან მობილიზებული იყო ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი, რომლებსაც ჰქონდათ ამომრჩეველთა სიები. მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს, რომ დამკვირვებელმა მათ ფოტო გადაუღო, მასთან კონფლიქტი დაიწყო. იქვე გამოჩნდა ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ დამკვირვებელი, რომელიც ასევე აგრესიული იყო საიას დამკვირვებლის მიმართ და ხელს უშლიდა ფოტოგადაღებაში.<sup>587</sup> კიდევ ერთ სხვა შემთხვევაში საიას დამკვირვებელმა დააფიქსირა უბანთან მდგომი კოორდინატორები. ამან „ახალგაზრდული ცენტრი - საქართველოს“ დამკვირვებლის გაღიზიანება გამოიწვია.<sup>588</sup> მან აგრესიულად მიმართა საიას დამკვირვებელს, თუმცა სიტუაცია თავმჯდომარემ განმუხტა. მტრული გამოკიდებულების კიდევ ერთი ფაქტი გამოვლინდა ჩუღურეთში. ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მობილიზებულნი იყვნენ „ქართული ოცნების“ კოორდინატორები, რომლებსაც დამკვირვებელმა ფოტო გადაუღო. მას ფოტო იძულებით წააშლევინეს და დაემუქრნენ.<sup>589</sup>

ერთ-ერთ უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა საიას დამკვირვებელს არ მისცა უფლება, საკუთარი ხელით ჩაეწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.<sup>590</sup> სხვა შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დამკვირვებელმა დარღვევა დააფიქსირა, მას სხვა დამკვირვებლებმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო კომისიის წევრები ხელს უშლიდნენ საქმიანობის განხორციელებაში, რაზეც თავმჯდომარეს რეაგირება არ ჰქონია.<sup>591</sup> ამასთან, საიას დამკვირვებელს სურდა მტკიცებულების სახით ფოტოს

<sup>582</sup> ფაქტი რუსთავის №31 და №32 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>583</sup> ფაქტი ისნის №46 უბანზე გამოვლინდა.

<sup>584</sup> ფაქტი საბურთალოს №41 უბანზე გამოვლინდა.

<sup>585</sup> ფაქტი სამგორის №8 უბანზე გამოვლინდა.

<sup>586</sup> ფაქტი ისნის №30, №31 და №32 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>587</sup> ფაქტი საბურთალოს №4 უბანზე გამოვლინდა.

<sup>588</sup> ფაქტი გლდანის №76 უბანზე გამოვლინდა.

<sup>589</sup> ფაქტი ჩუღურეთს №10 უბანზე გამოვლინდა.

<sup>590</sup> ფაქტი ისნის №46 უბანზე გამოვლინდა.

<sup>591</sup> ფაქტი გლდანის №104 უბანზე გამოვლინდა.

გადაღება, რისი საშუალებაც არ მისცეს. ამ ფაქტებზე დაწერილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან, საოლქოს თქმით, მათი არსებობა ვერ დადასტურდა.<sup>592</sup>

### ჟურნალისტიკის საქმიანობის ხელშეშლა

პირველ ტურში, დღის მეორე ნახევარში, ცალკეულ უბნებზე სადამკვირვებლო მისიის ყურადღების ცენტრში მოექცა ჟურნალისტიკა შეურაცხყოფისა და მათი საქმიანობის ხელშეშლის შემთხვევები. ერთი ასეთი ფაქტი გამოვლინდა თელავში, სოფელ ყარაჯალაში,<sup>593</sup> სადაც „TV პირველის“ ჟურნალისტები უბანზე არ დაუშვეს. პოლიციის თანამშრომლებმა მათ განუცხადეს, რომ მოუწევდათ გამოკითხვაზე მისვლა, ვინაიდან ისინი კომისიას მუშაობაში ხელს უშლიდნენ.<sup>594</sup> პოლიციის მხრიდან ამგვარი ქმედებები მიუღებელია.

შემაშფოთებელი იყო გლდანის ინციდენტი. აგრესიული მოქალაქე თავს დაესხა „პუბლიკის“ ჟურნალისტს და მას ფეხი გაართყა. ამ ინციდენტის შედეგად, ჟურნალისტს მობილური ტელეფონი დაუზიანდა.<sup>595</sup> მოქალაქე გამოირჩეოდა აგრესიულობით და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა იქ მყოფ სხვა ჟურნალისტებსაც.<sup>596</sup> ამავე ტერიტორიაზე დაზიანება მიიღო „TV პირველის“ ჟურნალისტმა ანა ახალაიამაც,<sup>597</sup> რომელმაც თქვა, რომ დაპირისპირების დროს სახეში კამერა მოხვდა. მოგვიანებით, მან პოლიციაში გამოკითხვაზე განაცხადა, რომ მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედება არ ჩადენილა და დაზიანება მიიღო შემთხვევით.<sup>598</sup> „პუბლიკას“ ჟურნალისტთან დაკავშირებულ ინციდენტზე შსს-მ გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე დაიწყო.<sup>599</sup> ამის თაობაზე საიამ განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ საკმარისი არ იყოს გამოძიების დაწყება სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, არამედ ის უნდა დაწყებულიყო ძალადობისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის მუხლით.<sup>600</sup> შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ საქმეზე დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანებისა<sup>601</sup> და ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის<sup>602</sup> მუხლებით გაგრძელდა.<sup>603</sup> შემდგომ საქმე ისევ გადაკვალიფიცირდა და გამოძიება ასევე ძალადობის ბრალდებით გაგრძელდა.<sup>604</sup> ეს საქმე წარიმართა სასამართლოში.

<sup>592</sup> №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №154/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OiDHJ7>, №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ნოემბრის №065/2020 განკარგულება.

<sup>593</sup> ფაქტი თელავის №38 უბანზე გამოვლინდა.

<sup>594</sup> „კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 21:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 31.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a13KLw>, განახლებულია: 30.05.2021.

<sup>595</sup> ფაქტი გლდანის №79 უბანზე გამოვლინდა.

<sup>596</sup> „კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 18:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 31.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y8EJJ6>, განახლებულია: 10.03.2021.

<sup>597</sup> იქვე.

<sup>598</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 10 მარტის წერილი.

<sup>599</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>600</sup> „კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 18:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2020 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TZyZSX>, განახლებულია: 16.06.2021. აგრეთვე, იხ. „საია მედიის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებას მოითხოვს“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iJwNt4>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>601</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 187-ე მუხლი.

<sup>602</sup> იქვე, 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>603</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 10 მარტის წერილი.

<sup>604</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

## ფოტო-ვიდეო გადაღების წესების დარღვევა

კენჭისყრის დღეს უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება კენჭისყრის პროცესის ხელშეშლის გარეშე.<sup>605</sup> კენჭისყრის შენობაში ეს თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან არის შესაძლებელი.<sup>606</sup> მინიმალური მანძილი ფოტო-ვიდეო გადაღებისთვის უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი გადასაღები სუბიექტისგან/ობიექტისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შენობა არ იძლევა ამის საშუალებას.<sup>607</sup> ასეთ დროს ადგილს განსაზღვრავს საუბნო კომისიის თავმჯდომარე.<sup>608</sup> კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია.<sup>609</sup>

საიას დამკვირვებლებმა სხვადასხვა უბანზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, დააფიქსირეს ფოტო-ვიდეო გადაღების წესების დარღვევა მედიასაშუალება newpost-ის წარმომადგენლების მხრიდან.<sup>610</sup> დამკვირვებელთა ინფორმაციით, ფოტოგადაღება მიმდინარეობდა ახლო დისტანციიდან, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რომლითაც ხდებოდა ამომრჩეველთა სახის სკანირება, რაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევაა.<sup>611</sup>

საიამ ოთხი ასეთი შემთხვევა გაასაჩივრა ოლქის დონეზე. ამ ფაქტზე დაწერილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.<sup>612</sup> გადაწყვეტილების მიხედვით, კანონი არ ავალდებულებს კომისიის თავმჯდომარეს, გააკონტროლოს, რა საშუალებით ხდება ფოტო-ვიდეო გადაღება.<sup>613</sup> გამონაკლისია ერთი საქმე, როდესაც საოლქო კომისიამ საჩივარი პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს გადაუგზავნა.<sup>614</sup>

<sup>605</sup> ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილების მე-2 მუხლი.

<sup>606</sup> იქვე, 1-ლი პუნქტი.

<sup>607</sup> იქვე, მე-2 პუნქტი.

<sup>608</sup> იქვე.

<sup>609</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 58-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>610</sup> ფაქტი რუსთავის №2, კრწანისის №3 და №4, ნაძალადევის №47, ოზურგეთის №34, ზუგდიდის №24, აბაშის №17 და №22, მთაწმინდის №5, დიდუბის №13, მარტვილის №13, თელავის №12 უბნებზე გამოვლინდა.

<sup>611</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>612</sup> №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №71/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qyA2v>, განახლებულია: 31.05.2021; №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №52/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rATZLS>; განახლებულია: 31.05.2021.

<sup>613</sup> იქვე.

<sup>614</sup> №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №207/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Olf9Px>, განახლებულია: 31.05.2021.



## 7. კენჭისყრის დღის შუაგამება

საიამ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვებით არაერთი პროცედურული დარღვევა და ხარვეზი გამოავლინა. პრობლემური იყო საარჩევნო დოკუმენტაციის სათანადო წესით წარმოება. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ოლქებში **საარჩევნო დოკუმენტაცია ზოგჯერ დაუღებულად მდგომარეობაში იგზავნებოდა**. ეს ნეგატიური პრაქტიკაა, რადგან ასეთ დროს იზრდება მასში ჩარევის რისკები. იმავდროულად, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს ჰქონდა უამრავი ხარვეზი, მათ შორის, **ისინი არასწორად იყო შევსებული, აკლდა კომისიის წევრების ხელმოწერა ან/და ბეჭედი**. უარყოფითი ტენდენციის სახით გამოიკვეთა საუბნო საარჩევნო კომისიების **შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის არსებობა**. მეტიც, ხშირად მათ თან არ ახლდა შესწორების ოქმი ან/და ახსნა-განმარტება. გასაჩივრებული ოქმების გადათვლაზე უარმა გააჩინა შესაბამისი უბნების შედეგების მიმართ უნდობლობა და ხელი არ შეუწყო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას.<sup>615</sup>

შემაჯამებელი ოქმების დარღვევებთან დაკავშირებით საია 109 უბანზე<sup>616</sup> ითხოვდა დალუქული დოკუმენტაციის გახსნას/მონაცემების გადათვლას და შემაჯამებელი ოქმის ბათილობას, აგრეთვე, შესაბამისი წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.<sup>617</sup> გასაჩივრებული შემაჯამებელი ოქმებიდან.<sup>618</sup>

- 19 უბნის დალუქული დოკუმენტაცია გაიხსნა და გადაითვალა.<sup>619</sup> შედეგად, შეიცვალა 3 უბნის მონაცემი;<sup>620</sup>
- 78 უბანთან მიმართებით შედეგების გადათვლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.<sup>621</sup> აქედან 38 უბნის შედეგები საიამ სასამართლოში გაასაჩივრა.<sup>622</sup>

### დალუქვის წესის დარღვევა

საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს კენჭისყრის დასრულების შემდგომ დოკუმენტაციის დალუქვისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში მათი წარდგენის წესებს. ბიულეტენების დათვლის შემდეგ მთვლელები ცალ-ცალკე პაკეტებად ლუქავენ ბათილ (მათ ეწერება „ბათილია“) და ნამდვილ ბიულეტენებს.<sup>623</sup> შედეგების შეჯამების შემდეგ იხურება ჩანაწერთა წიგნი.<sup>624</sup> მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კო-

<sup>615</sup> საარჩევნო დავების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ბექიშვილი ლ. და სხვები, *საარჩევნო დავების ანალიზი (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები, პირველი და მეორე ტური)*.

<sup>616</sup> აქედან 67 იყო პროპორციული, 23 - მაჟორიტარული და 7 - ორივე (დანარჩენი 12 უბნის შესახებ ზუსტი ინფორმაცია საიამ ცესკოს საჩივრების რეესტრის მეშვეობით ვერ მოიძია).

<sup>617</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო დავები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uvKiio>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>618</sup> იქვე.

<sup>619</sup> დისბალანსი გამოვლინდა: მხოლოდ პროპორციულ - 15, მხოლოდ მაჟორიტარულ - 2, ორივე სახის - 3-3 შემაჯამებელ ოქმში.

<sup>620</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო დავები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი*, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uvKiio>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>621</sup> დისბალანსი გამოვლინდა: მხოლოდ პროპორციულ - 52, მხოლოდ მაჟორიტარულ - 21, ორივე სახის - 4-4 შემაჯამებელ ოქმში.

<sup>622</sup> დისბალანსი გამოვლინდა: მხოლოდ პროპორციულ - 27, მხოლოდ მაჟორიტარულ - 1, ორივე სახის - 10 შემაჯამებელ ოქმში.

<sup>623</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-6, მე-7, მე-8, მე-9 ნაწილები.

<sup>624</sup> იქვე, 62-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

მისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, რაც მოწმდება კომისიის ბეჭდით.<sup>625</sup> ჩანაწერთა წიგნი შემოსულ განცხადებებთან/საჩივრებთან ერთად ილუქება და შემაჯამებელ ოქმებთან ერთად გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.<sup>626</sup>

საიას დამკვირვებლებმა ამ წესის დარღვევა არაერთ უბანზე გამოავლინეს. ეს პრობლემური პრაქტიკა უფრო პირველ ტურში შეინიშნებოდა. კერძოდ, ცალკეულ რეგიონებში საარჩევნო დოკუმენტაციას საუბნო კომისიებიდან ოლქებში ხშირად დაულუქავ მდგომარეობაში აგზავნიდნენ. ამ საკითხზე დაწერილი საჩივრების უმეტესობა არ დაკმაყოფილდა.

პირველ ტურში სხვადასხვა უბანზე გამოიკვეთა საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩანაწერთა წიგნის დაულუქავად გაგზავნის ფაქტებიც.<sup>627</sup> ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიაში დაულუქავ მდგომარეობაში მიიტანეს გამოუყენებელი ბიულეტენები,<sup>628</sup> ან ყუთში ამ წესის დარღვევით იყო ჩაყრილი გამოუყენებელი, ასევე გამოუყენებელი ბიულეტენები და ამომრჩეველთა სიები.<sup>629</sup> გამოვლინდა საოლქო საარჩევნო კომისიაში ბეჭდის,<sup>630</sup> სარეგისტრაციო ჟურნალისა<sup>631</sup> და სიების<sup>632</sup> დალუქვის გარეშე მიტანის შემთხვევებიც.

მეორე ტურში საიამ ამ წესის დარღვევის მხოლოდ ერთი ფაქტი აღრიცხა - საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთ-ერთი უბნიდან კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი შევიდა დაულუქავ მდგომარეობაში.<sup>633</sup>

## შემაჯამებელი ოქმები

შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი.<sup>634</sup> მასში დაფიქსირებული დისბალანსის (მეტობა ან ნაკლებობა) შესასწორებლად საარჩევნო ადმინისტრაცია იყენებდა შემდეგ მექანიზმებს:

ა) საუბნო კომისიის ანსნა-განმარტების საფუძველზე მონაცემების დაზუსტება

თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას კომისიის წევრმა დაუშვა შეცდომა (მაგალითად, გამორჩა ხელმოწერა, გადასცა ნაკლები/მეტე ბიულეტენი), მის გამოსასწორებლად იმავე ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“.<sup>635</sup> საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი, რომელშიც

<sup>625</sup> იქვე.

<sup>626</sup> იქვე.

<sup>627</sup> ფაქტი გამოვლინდა ხარაგაულის №10, №20, №35; მარტვილის №16, №18; ლენტეხის №24, №10, №12, №4, №21, №7, №9, №19; ფოთის №27, №26, №13, №31, №5, №7, №17, №12; ცაგერის №23, №24, №30, №32, №40 უბნებზე (საჩივრები არ დაკმაყოფილდა); ფაქტი გამოვლინდა საბურთალოს №34, №91; ვანის №19, №24, №15; მთაწმინდის №6 უბნებზე (საჩივრები დაკმაყოფილდა).

<sup>628</sup> ფაქტი გამოვლინდა ხარაგაულის №11, №28 საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>629</sup> ფაქტი ფოთის №10 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>630</sup> ფაქტი გამოვლინდა ხარაგაულის №11, №28, მარტვილის №19 საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>631</sup> ფაქტი გამოვლინდა მარტვილის №16, №18 საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>632</sup> ფაქტი გამოვლინდა ფოთის №34 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>633</sup> ფაქტი ქუთაისის №96 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა).

<sup>634</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>635</sup> იქვე, მე-4 ნაწილი.

ადინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო.<sup>636</sup> შესწორების ოქმს ხელს აწერს საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი და მოწმდება კომისიის ბეჭდით.<sup>637</sup> ის უნდა დაერთოს იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც მონაცემი შესწორდა.<sup>638</sup>

ბ) კენჭისყრის დღის მეორე დღეს შესწორების ოქმის შედგენა

საჭიროების შემთხვევაში, არაუგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა, საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.<sup>639</sup>

გ) საოლქო კომისიების მიერ საკუთარი განკარგულებით მონაცემების შესწორება

დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შემაჯამებელი ოქმის მონაცემის შესწორება შეუძლიათ საოლქო საარჩევნო კომისიებსაც.<sup>640</sup>

### **შემაჯამებელი ოქმის შევსების წესის დარღვევა**

შემაჯამებელი ოქმი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და მას ხელს აწერს ამ კომისიის ყველა წევრი.<sup>641</sup> ამით დასტურდება მათი ყოფნა უბანზე.<sup>642</sup> დაუშვებელია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება.<sup>643</sup> ეს იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის პასუხისმგებლობას.<sup>644</sup> ასეთი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს ზემდგომი საარჩევნო კომისია.<sup>645</sup> შემაჯამებელი ოქმის შევსების წესის დარღვევაზე საჩივრების მხოლოდ ნახევარი დაკმაყოფილდა. ის გარემოება, რომ ზოგიერთმა საოლქო კომისიამ მხედველობაში არ მიიღო გადასწორებული ოქმები და ხარვეზები მისი შევსებისას, დაკვების გადაწყვეტის არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს.

### **1 ტური**

საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს მაჟორიტარულ ან/და პროპორციულ შემაჯამებელ ოქმებში მონაცემების გადასწორების შემთხვევები,<sup>646</sup> ისე, რომ მათ არ ახლდა შესწორების ოქმი ან ახსნა-განმარტება. მაგალითად, ერთ ასეთ შემთხვევაში შემაჯამებელ ოქმში პარტიის ხმების რაოდენობის ამსახველი ციფრები იყო გამუქებუ-

<sup>636</sup> იქვე.

<sup>637</sup> იქვე.

<sup>638</sup> იქვე.

<sup>639</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>640</sup> იქვე, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>641</sup> იქვე, 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>642</sup> იქვე.

<sup>643</sup> იქვე, მე-3 ნაწილი.

<sup>644</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>645</sup> იქვე.

<sup>646</sup> ფაქტი ახალციხის №11 უბანზე გამოვლინდა (დაკმაყოფილდა და გაიხსნა ჩანაწერთა წიგნი); ფაქტი საგარეჯოს №49, სიდნაღის №9 და №11, ლაგოდეხის №30, მთაწმინდის №8, ოზურგეთის №23, №32, №34, №43 და ლანჩხუთის №10 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში დაკმაყოფილდა); ფაქტი საბურთალოს №96, ახალციხის №33, ბორჯომის №14, რუსთავის №61, ქუთაისის №128 უბნებზე გამოვლინდა (არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

ლი და რამდენიმეს ეტყობოდა გადასწორება.<sup>647</sup> ზოგჯერ სხვადასხვა მონაცემი იყო გადასწორებული და შეუძლებელი იყო მისი წაკითხვა.<sup>648</sup> ამასთან, ამ ოქმებს არ ახლდა არც შესწორების ოქმი, არც ახსნა-განმარტება.

საიას საჩივრებიდან 6 უბანზე დაყენებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა,<sup>649</sup> 10 უბანზე შესაბამის კომისიის წევრებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა,<sup>650</sup> ხოლო 10 უბანზე (ყველა, ერთის გარდა, ერთ ოლქში შემავალია) დოკუმენტაცია გაიხსნა, გადაითვალა და მონაცემი დაზუსტდა.<sup>651</sup>

ზოგიერთ უბანზე შემაჯამებელი ოქმი არასწორად იყო შევსებული. მაგალითად, მასში შეცდომით ჩაიწერა ბიულეტენების საერთო რაოდენობა (1300-ის მაგივრად 130), რის გამოც, საჭირო გახდა შესწორების ოქმის შედგენა. თუმცა, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების ნაცვლად, შეცდომით, პროპორციული შედეგები შესწორდა.<sup>652</sup> ცალკეულ შემთხვევაში შემაჯამებელ ოქმს არ ჰქონდა შედგენის დრო,<sup>653</sup> ან არასწორი იყო ბეჭდის მონაცემები.<sup>654</sup> გამოვლინდა შემაჯამებელი ოქმების არასრულყოფილად ან/და არასწორად (მაგალითად, საარჩევნო სუბიექტის გრაფის გასწვრივ მონაცემში აღნიშვნა “XXXX” ოქმით შესწორდა, თუმცა თავად შემაჯამებელ ოქმზე არ არის მითითება „შესწორებულია“) შედგენის შემთხვევები.<sup>655</sup>

<sup>647</sup> ფაქტი ჩუღურეთის №5 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>648</sup> ფაქტი ისნის №18, №19, №23, №67, №40, №74, №27, №26, №50 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნის ნაწილში დაკმაყოფილდა, გადამოწმდა და დაზუსტდა მონაცემები).

<sup>649</sup> №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aZ3jmk>, განახლებულია: 31.05.2021; №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №060/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ujFhdt>, განახლებულია: 31.05.2021; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №97/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33df5q6>, განახლებულია: 31.05.2021; №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №28/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uaQOvD>, განახლებულია: 31.05.2021; №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №29/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3um9bOs>, განახლებულია: 31.05.2021; №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №78/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aZ29HB>, განახლებულია: 31.05.2021; №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №279/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uaCYJH>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>650</sup> №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №91/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3h5QpXs>, განახლებულია: 31.05.2021; №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №49/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3niHTYo6>, განახლებულია: 31.05.2021; №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №49/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ePLtn4>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>651</sup> №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №095/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vGnCgy>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>652</sup> ფაქტი მთაწმინდის №12 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა და კომისიის წევრ(ებ)ს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა).

<sup>653</sup> ფაქტი ხელვაჩაურის №23 და №24 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა და კომისიის წევრ(ებ)ს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა).

<sup>654</sup> ფაქტი გარდაბნის №22 და №62 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა და კომისიის წევრ(ებ)ს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა).

<sup>655</sup> ფაქტი ახმეტის №20 და №26 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა და კომისიის წევრ(ებ)ს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა); ფაქტი საბურთალოს №68 და ახმეტის №7 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

საიას საჩივრებიდან 7 უბანთან მიმართებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საოლქო კომისიის წევრ(ებ)ს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა.<sup>656</sup> 2 საჩივარი არ დაკმაყოფილდა.<sup>657</sup>

შემაჯამებელი ოქმის შევსების წესი დაირღვა რამდენიმე უბანზე, კერძოდ, მაჟორიტარული ან/და პროპორციული სახის შემაჯამებელ ოქმს არ ჰქონდა რეგისტრატორის ან/და კომისიის ბეჭედი,<sup>658</sup> ან შემაჯამებელ ოქმს აკლდა კომისიის წევრ(ებ)ის ან/და თავმჯდომარის ხელმოწერა<sup>659</sup> ან ორივე ერთად.<sup>660</sup>

წარდგენილი საჩივრებიდან 11 უბანთან მიმართებით კომისიის წევრებს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა,<sup>661</sup> ხოლო 15 არ დაკმაყოფილდა.<sup>662</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში შემაჯამებელ ოქმში არ ეწერა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, რის გამოც, ვერ მოხერხდა ბალანსის შედგენა,<sup>663</sup> ან ეს მონაცემი გადასწორდა.<sup>664</sup> ამ ფაქტებზე დაწერილი საჩივრებიდან (სულ 2) არცერთი არ დაკმაყოფილდა.<sup>665</sup>

<sup>656</sup> №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №66/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eWjd2i>, განახლებულია: 31.05.2021; №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №30/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aZfEqL>, განახლებულია: 31.05.2021; №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №64/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ePLtn4>, განახლებულია: 31.05.2021; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება.

<sup>657</sup> №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №97/2020 განკარგულება; №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №66/2020 განკარგულება.

<sup>658</sup> ფაქტი დიდუბის №23, სიდნაღის №9, მთაწმინდის №29 გლდანის №27, ქედის №32, ხელვაჩაურის №23 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა); ფაქტი ვაკის №8, ნაძალადევის №8, №25, №28, №61, საბურთალოს №72, გარდაბნის №26, ისნის №67, №36 და №26 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>659</sup> ფაქტი მთაწმინდის №18, ქედის №17, შუახევის №26, ხელვაჩაურის №23 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა); ფაქტი ქუთაისის №133 და №26, სამგორის №29 და №35, საბურთალოს №84 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>660</sup> ფაქტი საშურის №16 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა).

<sup>661</sup> №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №44/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ebFE4i>, განახლებულია: 31.05.2021; №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №78/2020 განკარგულება; №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №49/2020 განკარგულება; №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №64/2020 განკარგულება; №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 2 ნოემბრის №30/2020 განკარგულება.

<sup>662</sup> №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №095/2020 განკარგულება; №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №43/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QI9jt3>, განახლებულია: 31.05.2021; №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №279/2020 განკარგულება; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №97/2020 განკარგულება; №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №85/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eTRWx4>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>663</sup> ფაქტი რუსთავის №86 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>664</sup> ფაქტი საბურთალოს №93 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საოლქომ მიუთითა, რომ ამ უბნის ხელმძღვანელების მიმართ უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა).

<sup>665</sup> №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №93/2020 განკარგულება; №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №060/2020 განკარგულება.



## II ტური

რამდენიმე უბანზე საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს შემთხვევები, როდესაც შემაჯამებელ ოქმს არ ჰქონდა კომისიის ბუქედი,<sup>666</sup> ან მონაცემი იყო გადასწორებული.<sup>667</sup> ზოგან მითითებული არ იყო ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობა,<sup>668</sup> ზოგან - მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა,<sup>669</sup> ზოგან კი - ოქმის შედგენის დრო.<sup>670</sup>

ამ საჩივრებიდან 6 უბანთან (ერთ ოლქში შემავალი უბნები) მიმართებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა<sup>671</sup> და კომისიის წევრებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო 2 (ერთ ოლქში შემავალი უბნები) შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა.<sup>672</sup>

### დისბალანსი შემაჯამებელ ოქმებში

შემაჯამებელი ოქმის შევსებისას მასში აღინიშნება არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობა, სუბიექტებისთვის მიცემული ხმებისა და, ასევე, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.<sup>673</sup> სუბიექტებისთვის მიცემული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების ჯამი უნდა ემთხვეოდეს არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობას. თუ, ამის ნაცვლად, იკვთება დისბალანსი და ფიქსირდება მეტობა ან ნაკლებობა, ეს არის შემაჯამებელი ოქმის ბათილობის საფუძველი.

ცალკეულ უბნებზე საიამ გამოავლინა, რომ ოქმში შეტანილი ბათილი ბიულეტენების რაოდენობა აღემატებოდა ბათილი ბიულეტენების რაოდენობის საშუალო სტატისტიკას. ამან გააჩნია ეჭვი, რომ ზოგიერთი ბიულეტენი შეიძლებოდა ნამდვილი ყოფილიყო.<sup>674</sup>

ორგანიზაციამ ამგვარ დარღვევებზე საოლქო კომისიებს მიმართა. საია ითხოვდა შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობას, ხმების ხელახლა გადათვლას ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას შესაბამისი კომისიის წევრ(ებ)ის მიმართ.

წარდგენილი საჩივრებიდან 79 უბანთან დაკავშირებით გადათვლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საოლქოებმა დაკმაყოფილეს მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილი 47 უბანთან მიმართებით. საოლქო საარჩევნო კომისიები განკარგულებებში ამის მიზეზად უთითებდნენ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას, ან განმარტავდნენ, რომ გადაცდომა გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით და ის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა, ზოგჯერ კი არგუმენტი საერთოდ არ იყო მოცემული.

<sup>666</sup> ფაქტი რუსთავის №5 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>667</sup> ფაქტი რუსთავის №44 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა) და ქუთაისის №39 უბანზე გამოვლინდა (მაჟორიტარული სისტემის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში კანდიდატ ზაზა ლომინაძის მონაცემი გადასწორებულია) (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა).

<sup>668</sup> ფაქტი ქუთაისის №9 და №126 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა).

<sup>669</sup> ფაქტი ქუთაისის №101 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა).

<sup>670</sup> ფაქტი ქუთაისის №91 და №93 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა).

<sup>671</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 ნოემბრის №467/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uhfK4K>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>672</sup> №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 ნოემბრის №093/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uffX8B>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>673</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ი“, „ლ“, „მ“ ქვეპუნქტები.

<sup>674</sup> ფაქტი დიდუბის №24 და კრწანისის №29, №30, №31 უბნებზე გამოვლინდა.

### ა) მეტობა შემაჯამებელ ოქმებში

იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტისთვის მიცემული ხმების და ბათილი ბიულეტენების ჯამი აღემატება არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, შემაჯამებელ ოქმში ფიქსირდება დისბალანსი მეტობის ფორმით.

**პირველ ტურში შემაჯამებელ ოქმებში მეტობა** გამოიკვეთა სხვადასხვა უბანზე მთელი საქართველოს მასშტაბით. შემაჯამებელ ოქმებში მეტობა იყო მხოლოდ **პროპორციულ**,<sup>675</sup> მხოლოდ **მაჟორიტარულ**<sup>676</sup> ან **ორივე სახის** შემაჯამებელ ოქმებში.<sup>677</sup> ისინი შესწორდა შესწორების ოქმების საფუძველზე, თუმცა ზოგიერთ მათგანს, ცვლილების მიუხედავად, თან არ ახლდა შესაბამისი ოქმი<sup>678</sup> ან ახსნა-განმარტება.<sup>679</sup> ასეთ შემთხვევებში გაუგებარია, რის საფუძველზე შეიცვალა მონაცემი.

საჩივრები 32 უბანთან<sup>680</sup> მიმართებით არ დაკმაყოფილდა არცერთ ნაწილში,<sup>681</sup> 11 უბანზე დაკმაყოფილდა მხოლოდ დისციპლინურის ნაწილში,<sup>682</sup> 4 უბანზე - მხოლოდ

<sup>675</sup> ფაქტი გამოვლინდა ოზურგეთის №22, საშურის №10, გორის №57 და №76 უბნებზე (საჩივრები გადათვლის და დისციპლინურის ნაწილში დაკმაყოფილდა); ფაქტი გამოვლინდა მარნეულის №34 (საჩივარი გადათვლის ნაწილში დაკმაყოფილდა), გორის №5, სამგორის №91 და №38, ლანჩხუთის №10, გარდაბნის №22, დიდუბის №14 უბნებზე (საჩივრები დაკმაყოფილდა მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში); ფაქტი გამოვლინდა საშურის №16 და №42, სამგორის №32, №92, №94, გარდაბნის №11, გლდანის №68, №27, ბათუმის №4, საბურთალოს №15, №18, №25, №41, №46, №51, რუსთავის №5, №11 და №52, ჩუღურეთის №2 და №8, ქარელის №42 უბნებზე (არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>676</sup> ფაქტი ბათუმის №19 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა ბიულეტენების გადათვლის ნაწილში); ფაქტი ლანჩხუთის №12, ბათუმის №12, №53, №64, №85 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში); ფაქტი ვაკის №81, ისნის №79, ქუთაისის №76 და №117, ბათუმის №59, №69, №70, №97, მარნეულის №51, №52, №67 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>677</sup> ფაქტი გორის №4 და მარნეულის №38 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა ხმები გადაითვალა); ფაქტი გლდანის №99 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>678</sup> ფაქტი გამოვლინდა ქუთაისის №76 და №117, ბათუმის №19, №53, რუსთავის №5, №11 და №52 უბნებზე.

<sup>679</sup> ფაქტი გამოვლინდა გორის №4, №5, №76, ვაკის №81, ჩუღურეთის №8 და №14 უბნებზე.

<sup>680</sup> 13 - პროპორციული, 8 - მაჟორიტარული და 1 - ორივე სახის შემაჯამებელი ოქმი.

<sup>681</sup> №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №43/2020 განკარგულება, №35 საშურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №59/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xLWAKY>, განახლებულია: 31.05.2021; №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №44/2020 განკარგულება; №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №095/2020 განკარგულება; №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №279/2020 განკარგულება; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №91/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eTQ0ES>, განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №127/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nL8KKJ>, განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №135/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aU47JI>, განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №149/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QRROWX>, განახლებულია: 31.05.2021; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება; №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №78/2020 განკარგულება; №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №060/2020 განკარგულება; №2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №71/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eOTJIE>, განახლებულია: 31.05.2021; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №98/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vIooCt>, განახლებულია: 31.05.2021; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №97/2020 განკარგულება; №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №78/2020 განკარგულება.

<sup>682</sup> №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №43/2020 განკარგულება; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №104/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eRTyAK>, განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №124/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vIw1eB>,

გადათვლის ნაწილში,<sup>683</sup> 4 უბანზე კი - გადათვლისა და დისციპლინურის ნაწილში.<sup>684</sup>

მეორე ტურში შემაჯამებელ ოქმში მეტობა გამოვლინდა ცალკეულ უბნებზე.<sup>685</sup> ამ შემაჯამებელი ოქმებიდან ერთს არ ახლდა შესწორების ოქმი,<sup>686</sup> ერთს კი - არც შესწორების ოქმი და არც ახსნა-განმარტება.<sup>687</sup> აქედან 1 საჩივარი (მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი) სრულად დაკმაყოფილდა,<sup>688</sup> 1 - მხოლოდ დისციპლინურ ნაწილში,<sup>689</sup> ხოლო 2 არ დაკმაყოფილდა.<sup>690</sup>

## ბ) ნაკლებობა შემაჯამებელ ოქმებში

იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტისთვის მიცემული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების ჯამი ნაკლებია არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე, შემაჯამებელ ოქმებში იკვეთება დისბალანსი ნაკლებობის ფორმით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შემაჯამებელ ოქმში არასწორად დათვლილი მონაცემების ასახვა, ან, შესაძლოა, დალუქული დოკუმენტაციის გახსნის შემდგომ მასში აღმოჩნდეს ნამდვილი ხმები. ასევე, ეს შეიძლება იყოს გაყალბების ერთ-ერთი ფორმა ე.წ. კარუსული ან რაიმე სხვა ტიპის შეცდომა ხმების გადათვლაში.

**პირველ ტურში დისბალანსი ნაკლებობის ფორმით, ძირითადად, პროპორციულ შემაჯამებელ ოქმებში გამოიკვეთა.**<sup>691</sup> მაჟორიტარულ<sup>692</sup> და ორივე სახის<sup>693</sup> შემაჯამებელ ოქმში ნაკლებობის მხოლოდ თითო-თითო ფაქტი აღირიცხა. მეორე ტურში დისბალანსი ნაკლებობით არ გამოვლენილა.

---

განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №133/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QHUFqP>, განახლებულია: 31.05.2021; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №145/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nk0WJj>, განახლებულია: 31.05.2021; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება; №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №95/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eOT4SH>, განახლებულია: 31.05.2021; №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №91/2020 განკარგულება.

<sup>683</sup> №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №102/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nJYrXw>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>684</sup> №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №59/2020 განკარგულება; №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №102/2020 განკარგულება; №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №98/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gXV2mx>, განახლებულია: 31.05.2021; №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №100/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Sfrrus>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>685</sup> ფაქტი ქუთაისის №56 უბანზე გამოვლინდა (საჩივარი დაკმაყოფილდა გადათვლის და დისციპლინურის ნაწილებში); ფაქტი ჩუღურეთის №5 უბანზე გამოვლინდა (საჩივარი დაკმაყოფილდა მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში); ფაქტი რუსთავის №46 და №71 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა).

<sup>686</sup> ფაქტი ქუთაისის №56 უბანზე გამოვლინდა.

<sup>687</sup> ფაქტი ჩუღურეთის №5 უბანზე გამოვლინდა.

<sup>688</sup> №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 ნოემბრის №467/2020 განკარგულება.

<sup>689</sup> №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 24 ნოემბრის №113/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nHBjJ8>, განახლებულია: 31.05.2021.

<sup>690</sup> №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 ნოემბრის №093/2020 განკარგულება.

<sup>691</sup> ფაქტი მარნეულის №12 და №33 უბნებზე გამოვლინდა (ეს საჩივრები დაკმაყოფილდა დისციპლინურის ნაწილში); ფაქტი ისნის №84, სამგორის №97, საბურთალოს №13, №25, №77, №45, №65, დიდუბის №27, ჩუღურეთის №16, №20, №29 უბნებზე გამოვლინდა (არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა).

<sup>692</sup> ფაქტი მთაწმინდის №12 უბანზე გამოვლინდა (ეს საჩივარი დაკმაყოფილდა დისციპლინურის ნაწილში).

<sup>693</sup> ფაქტი მთაწმინდის №18 უბანზე გამოვლინდა. საიას საჩივრის წარდგენის შემდგომ ოქმმა თავისი ინიციატივით განიხილა ამ უბნის საკითხი 2 ნოემბერს, გადათვალა და დააზუსტა სადავო მონაცემები.

შემაჯამებელ ოქმებში ნაკლებობის შესახებ საიას მიერ, ჯამში, 11 უბანთან მიმართებით დაწერილი საჩივრების დიდი უმრავლესობა გადათვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.<sup>694</sup> მხოლოდ 3 მათგანი დაკმაყოფილდა დისციპლინურის ნაწილში.<sup>695</sup>

---

<sup>694</sup> №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №43/2020 განკარგულება; №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №69/2020 განკარგულება; №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №78/2020 განკარგულება; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №97/2020 განკარგულება; №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №98/2020 განკარგულება; №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 5 ნოემბრის №095/2020 განკარგულება.

<sup>695</sup> №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №65/2020 განკარგულება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PITYHW>, განახლებულია: 31.05.2021; №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №64/2020 განკარგულება.

## 8. რეკომენდაციები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის შედეგებით დასტურდება საარჩევნო კანონმდებლობის ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმის საჭიროება, რომელიც რეალურ გამოწვევებს უპასუხებს. საია იმედოვნებს, რომ წინამდებარე პრიორიტეტული რეკომენდაციები გახდება საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური რეფორმის ნაწილი, რაც, კანონის ეფექტიან აღსრულებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სამომავლოდ საარჩევნო პროცესების გაჯანსაღებას ქვეყანაში:

- ❖ ქვეყანა უნდა გადავიდეს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე (ბუნებრივი ბარიერი), როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე; საწყის ეტაპზე შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შერეული დამოკიდებული მოდელის დანერგვა. ამ სისტემის შემთხვევაში სხვადასხვა პრინციპით მიღებული შედეგები ერთმანეთზე ახდენს გავლენას და მის სამართლიანობას უზრუნველყოფს;
- ❖ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საარჩევნო კომისიის სრულად პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კონსენსუსზე დაფუძნებული წესით; აგრეთვე, აუცილებელია საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე რეგულაციების დახვეწა და გაუმჯობესება: ა) საჭიროა უფრო მკაფიო რეგულაცია, რომელიც ცალსახად გამორიცხავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევას, რომელიც ბოლო მორიგ არჩევნებში საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენილი იყო პოლიტიკური პარტიის მიერ; ბ) პროცესის გაჯანსაღების მიზნით, სასურველია, გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების ვადები ქვედა დონეზე;
- ❖ ამომრჩევლის ნების კონტროლის მიმართულებით დისტანცია 100 მეტრამდე უნდა გაზრდოს და ამ რადიუსში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხების, კენჭისყრის დღეს ამავე დისტანციაზე ადამიანთა შეკრების, ამომრჩეველთა აღრიცხვისა და ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ყოფნა აიკრძალოს; ამ წესის დარღვევისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს;
- ❖ არჩევნების წინა დღე „სიჩუმის დღედ“ უნდა გამოცხადდეს;
- ❖ უნდა დადგინდეს მკაფიო რეგულირება, რომელიც შესაბამის პირებს ონლაინ აგიტაციას აუკრძალავს;
- ❖ წინასაარჩევნოდ „სუბსიდიის“, „გრანტის“, „შრომის ანაზღაურებისა“ და „სხვა ხარჯების“ მიმართულებით ბიუჯეტში ცვლილების შეტანა უნდა შეიზღუდოს. ეს დასაშვები მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში უნდა იყოს;
- ❖ საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო რეგისტრაციისას პარტიულ სიაში საარჩევნო სუბიექტებისთვის 50%-იანი განსხვავებული სქესის წარმომადგენლობის ვალდებულება უნდა დადგინდეს;
- ❖ საუბნო კომისიას უნდა დაეკისროს ვალდებულება, გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები, როდესაც მის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ თან არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან/და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, ან/და ფიქსირდება დისბალანსი;
- ❖ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელი უნდა გახდეს.